გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
13 თებერვალი შაბათი 2010
№ 035 (13 023) ფასი 60 თეთრი

ლელოს სპეციალური კორესპონდენტები **თენგიზ გაჩეჩილაძე და კახა ბერიძე** ვანკუვერიდან გვატყობინებენ...

# ტრაგედია ვანკუვერში







ჟაკ როგმა საქართველოს დელეგაციას მოუსამძიმრა

## 21 წლის მოციგავე ნოდარ ქუმარიტაშვილი ვარჯიშის დროს მიღებული ტრავმით დაიღუპა

ოლიმპიადის გახსნამდე რამდენიმე საათით ადრე, ვანკუვერი საშინელმა ტრაგედიამ შეძრა. ოფიციალური სტარტის წინ, ბოლო ვარჯიშზე ქართველი ოლიმპიელი მოციგავე ნოდარ ქუმარიტაშვილი დაიღუპა. ის ტრასაზე 130 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა, როცა ციგით ტრასიდან ამოვარდა და გვერდით ბოძს თავით შეასკდა. ნოდარი უმალ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა უმძიმესი ტრავმის გამო მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. მოციგავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის ფელიქს ქუმარიტაშვილის ვაჟი 21 წლის იყო...

კოლეგები, რიგითი მოქალაქეები გულწრფელად გვისამძიმრებენ. მომხდარ უბედურებასთან დაკავშირებით ოფიციალური სამძიმრის განცხადებები გააკეთეს სოკ-ის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა და საციგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობამ. ბუნებრივია, ინფორმაციის მიღებისთანავე სეოკ-ის ხელმძღვანელები - პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი და პირველი ვიცე-პრეზიდენტი რამაზ გოგლიძე, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური ვანკუვერიდან დაუყოვნებლივ გაემგზავრნენ უისტლერში, სადაც ეს საშინელება დაგვატყდა თავს...

*P.S. წუხელ საერთაშორისო არხებით გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს საქართველოს დელეგაცია ვანკუვერის დატოვებას აპირებდეს, რაც „ლელოს“ კორესპონდენტებმა არ დაგვიდასტურეს.*

## ტრაგედიამდე...




# სამი ქართველი ოლიმპიელი თანაკლასელია

11 თებერვალს ოლიმპიურ სოფელში აფრიალდა საქართველოს დროშა და აჟღერდა ეროვნული ჰიმნი, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ჩვენი ქვეყანა ოფიციალურად დაფიქსირდა ვანკუვერის ზამთრის XXI ოლიმპიური თამაშების მონაწილე ქვეყნად. ამ ცერემონიალში ჩვენს დროშასთან ერთად აღიმართა ლატვიისა და სან-მარინოს სახელმწიფო დროშები. საქართველოდან ამ ღონისძიებაში ოლიმპიელ სპორტსმენთა გარდა მონაწილეობდნენ საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელები: სეოკ-ის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი,** პირველი ვიცე-პრეზიდენტი **რამაზ გოგლიძე,** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური,** ზამთრის სპორტის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი **გიორგი რამიშვილი,** ოლიმპიურ სოფელში ჩვენი დელეგაციის მისიის ხელმძღვანელი **ირაკლი ჯაფარიძე,** რომელმაც თეთრი ოლიმპიადის ორგანიზატორებს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა საქართველოს ოლიმპიელთა სახელით. ცერემონიალს ესწრებოდნენ ვანკუვერში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს წევრები, რომელთა უმრავლესობა მოხალისეებად ემსახურება ოლიმპიადას, მათ შორის, ბუნებრივია, ჩვენს დელეგაციასაც. ისინი, აეროპორტიდან მოყოლებული, აქტიურად უდგანან მხარში ჩვენს გუნდს და ეხმარებიან საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში. სხვათა შორის, ჩავფრინდით თუ არა ვანკუვერში, მთელი აქაური ქართველობა ეროვნული დროშების ფრიალით შეგვეგება აეროპორტში. მათ შორის ყველაზე უმცროსი იყო ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი 5 წლის ალექსანდრე დარასელია.

აქვე ვიტყვით, რომ თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქში თბილისიდან 36-საათიანი მგზავრობის შემდეგ ჩამოვედით თბილისი-მიუნხენი-ტორონტო-ვანკუვერის მარშრუტით. თვითმფრინავის სავარძელში საერთო ჯამში, 20 საათამდე გავატარეთ.

ისე, სად არ შეხვდებით ქართველებს, მათ შორის საქმიან ხალხს. მიუნხენის აეროპორტში შევხვდით ქვემო ქართლის დელეგაციას, რომელიც ბრაზილიიდან სამშობლოში ბრუნდებოდა საფეხბურთო კლუბ რუსთავის „ოლიმპისთვის" ჩემპიონთა ლიგაზე იჯარით 4 ფეხბურთელის დამატებასთან დაკავშირებით, წარმატებული მოლაპარაკების შემდეგ.

...უნდა გითხრათ, რომ ვანკუვერში აეროპორტიდანვე ნაკლებად იგრძნობა, რომ ეს ქალაქი ზამთრის სახეობებში მსოფლიოს უდიდეს სპორტულ ფორუმს მასპინძლობს. სადაც შეხება გვქონდა, ჯერჯერობით ვერ ვიტყვით, რომ ორგანიზაციული კუთხით ყველაფერი წესრიგშია, თუმცა მთავარ პრესცენტრში ბევრი სიახლე კი არა, პირდაპირ ნახტომი შევნიშნეთ, რაც მასმედიის წარმომადგენელთა უკეთ მომსახურებას უკავშირდება. ახლა ასე ჩანს, მერე ვნახოთ... სასიამოვნო დამთხვევაა, რომ ჟურნალისტების სასტუმრო, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ახლოსაა როგორც მთავარ პრესცენტრთან, ისე ოლიმპიურ სოფელთან და მთავარ ოლიმპიურ სარბიელთან.

ოლიმპიურ სოფელში დროშის აღმართვის შემდეგ გავესაუბრეთ სამთომოთხილამურეთა მწვრთნელს **გერა აბრამიშვილს,** რომელსაც ეიმედება, რომ **იასონ აბრამაშვილი** ოლიმპიადაზე წარმატებით იასპარეზებს. ამის გარანტად მან გასული წლის დეკემბერში და ახლახან, ოლიმპიური სტარტების წინ ნაჩვენები მაღალი შედეგები დაასახელა. რაც შეეხება იანვარში შედარებით ჩავარდნას, ეს მწვრთნელმა დროებით მოვლენად მიიჩნია, რასაც თავისი მიზეზი ჰქონია. მისგანვე შევიტყვეთ, რომ იასონი და ამ ოლიმპიადის კიდევ ორი მონაწილე, მოციგავეები ნოდარ ქუმარიტაშვილი და ლევან გურეშიძე თანაკლასელები ყოფილან. სამივემ ბაკურიანის საშუალო სკოლა დაამთავრა. ასე რომ, მაშინ, როცა მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ვანკუვერის ოლიმპიადაზე თუნდაც ერთი სპორტსმენითაც არ არის წარმოდგენილი, ბაკურიანის ერთი სკოლიდან სამი თანაკლასელი იცავს საქართველოს სპორტულ ღირსებას. ჯერჯერობით ზამთრის XXI ოლიმპიადაზე 80 ქვეყნის მონაწილეობაა დარეგისტრირებული.

როგორც ქართულ დელეგაციაში გადაწყდა, ოლიმპიადის საზეიმო გახსნის ცერემონიალზე ჩვენი ქვეყნის მედროშე იასონ აბრამაშვილი იქნება. ჩვენთვის ოლიმპიადა 13 თებერვალს იწყება — სტარტზე მოციგავეები გამოვლენ.

# თეთრი ოლიმპიადის ქართული ქრონიკები

მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, ქართველმა ათლეტებმა ვანკუვერამდე ზამთრის ოთხი ოლიმპიადა (ნორვეგიული ლილეჰამერის, იაპონური ნაგანოს, ამერიკული სოლტ ლეიკ სიტის და იტალიური ტურინის) მოილიეს. საბჭოეთის პერიოდიდან კი გასახსენებელიც ბევრი არაფერია. გვყავდა ერთადერთი საერთაშორისო დონის სპორტსმენი ზამთრის სახეობებში: კობა ნაქაძე, რომელმაც ოთხ ოლიმპიადაზე იასპარეზა და 1960 წელს 80-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მე-9 ადგილი დაიკავა...

## პირველად იყო ლილეჰამერი...

1994 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები, რომელიც ნორვეგიის ქალაქ ლილეჰამერში გაიმართა, ისტორიულია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისთვის. მაშინ სეოკ-ის პრეზიდენტი **ნონა გაფრინდაშვილი** იყო, ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი კი „ლელოს" რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე,** რომელიც ახლა ვანკუვერში იმყოფება. სხვათა შორის, მაშინ გაზეთ „სარბიელისთვის" რეპორტაჟებს ნორვეგიიდან, დღეს ჩვენი თანამშრომელი **ილია ბაბუნაშვილი** წერდა...

სწორედ ვიკინგთა ტრადიციულ მთიანეთში, გუდბრანდსდალში ჩაეყარა საფუძველი დამოუკიდებელ ქართულ ოლიმპიზმს, საქართველო მსოფლიო სპორტის უდიდეს ფორუმზე პირველად წარდგა, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა. აქამდე, 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიადა ერთიანი პოსტსაბჭოური გუნდის ბოლო გამოსვლა იყო (უბრალოდ, მას საბჭოთა კავშირი აღარ ერქვა), გამარჯვების შემთხვევაში კი ცალკეული ქვეყნის დროშა იწეოდა ცერემონიალზე და ჰიმნი იკვრებოდა.

ლილეჰამერის ოლიმპიადაზე საქართველო ხუთი სპორტსმენით წარდგა: ჩვენ გვყავდა ორი სამთო მოთხილამურე (**ზურაბ ჯიჯიშვილი, ლევან აბრამიშვილი**), ორი მოციგავე (**ლევან თიბილოვი, კახა ვახტანგიშვილი**) და ერთიც ტრამპლინიდან მხტომელი (**კახა ნაქაძე**). მაშ ასე, ისტორია ასე დაიწერა: 1994 წლის 13 თებერვალს პირველმა სპორტსმენმა იასპარეზა დამოუკიდებელი საქართველოს სახელით, ის მაშინ 20 წლის სამთო მოთხილამურე ზურაბ ჯიჯიშვილი იყო, ბაკურიანელმა სპორტსმენმა ლილეჰამერის სწრაფდაშვების ტრასა დააგემოვნა. ოლიმპიური ჩემპიონი ამერიკელი **ტომი მოუ** გახდა. ჩვენებურმა კი პროგრამა-მინიმუმი შეასრულა, ტრასა უვნებლად ჩაამთავრა და 47-ე ადგილიც დაიკავა 1:53,27 წუთი შედეგით. სულ 50-მა სპორტსმენმა დაასრულა ტრასა, ქართველმა სულ სამ კონკურენტს გაუსწრო. ზურამ კომბინაციაში ველარ ჩაამთავრა ტრასა, ვერც ლევან აბრამიშვილმა ჩაამთავრა კომბინაციის ტრასა.

18 თებერვალს ოლიმპიელები ლევან თიბილოვი და კახა ვახტანგიშვილი გახდნენ, მათ მოციგავე წყვილთა შეჯიბრებაში 1:39,384 წუთი შედეგით მე-17 ადგილი დაიკავეს. ქართველებმა იაპონურ, ბულგარულ და ნორვეგიულ ეკიპაჟებს გაასწრეს, ოლიმპიური ჩემპიონები კი იტალიელები, **კურტ ბრუგერი** და **ვილფრედ ჰუბერი** გახდნენ. დაბოლოს, ლილეჰამერის ოლიმპიადაზე ასპარეზობა ქართველთაგან კობა ნაქაძის ვაჟმა, კახამ დაასრულა. მან საშუალო ტრამპლინიდან ხტომაში 50-ე ადგილი დაიკავა, ხოლო დიდი ტრამპლინიდან - 55-ე.

## ჯიჯიშვილის კომბინაცია

ლილეჰამერის შემდეგ საქართველოს ოლიმპიურმა დელეგაციამ იაპონიაში, ნაგანოს ოლიმპიადაზე (1998) იასპარეზა. ამჯერად ჩვენი დელეგაცია 4 კაცისგან შედგებოდა, აქედან სამი ლილეჰამერის ოლიმპიადის მონაწილე იყო: ზურაბ ჯიჯიშვილი, ლევან აბრამიშვილი და კახა ნაქაძე. იაპონიაში დებიუტი ჰქონდა **სოფიკო ახმეტელს,** სამთო მოთხილამურეს, რომელიც ისტორიაში პირველი ქართველი ქალია, ვინც ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზა. ზურაბ ჯიჯიშვილი 4 წლით დაღვინებული ეწვია ოლიმპიადას და ახლა შედეგიც აჩვენა - სამთო კომბინაციაში ქართველმა სპორტსმენმა მე-14 ადგილი დაიკავა. მართალია, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ვერ ჩაამთავრა კომბინაცია, სულ 15 სპორტსმენი მივიდა ფინიშამდე. ოლიმპიური ჩემპიონი ავსტრიელი **მარიო რაიტერი** გახდა, რომელმაც ძალიან მცირე უპირატესობით აჯობა ნორვეგიელ ლასე კიუსს. წლების განმავლობაში, **ელენე გედევანიშვილის** გაბრწყინებამდე ეს შედეგი ითვლებოდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საუკეთესო შედეგად. ვაჟთა სუპერგიგანტში ზურაბს ხელი მოეცარა. სამწუხაროდ, ლევან აბრამიშვილმა ვერც ამ ოლიმპიადაზე შეძლო რომელიმე დისციპლინაში ტრასის ჩამთავრება. ამჯერად, მას ვაჟთა სლალომში მოეცარა ხელი.

სოფიო ახმეტელი არა მარტო პირველი ქართველი ქალი ოლიმპიელი გახდა, რომელმაც ზამთრის ოლიმპიადაზე იასპარეზა, არამედ ის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეც იყო - ნაგანოში ის 16 წლისა და 329 დღის იყო (2006 წელს ეს რეკორდი ელენე გედევანიშვილმა დაამხო). რამდენადაც ნიჭიერი იყო სოფო, იმდენად უიღბლო გამოდგა. ახმეტელმა ქალთა სლალომის პირველ ცდაზე ერთი კარი გამოტოვა და მას დისკვალიფიკაცია მისცეს. კახა ნაქაძემ ნაგანოში ვერ გააუმჯობესა ლილეჰამერის შედეგები - საშუალო ტრამპლინიდან ხტომაში ის 55-ე ადგილზე გავიდა, დიდიდან - 59-ეზე.

## ციგურებზეც შევდექით, მაგრამ ტრამპლინიდან ჩამოვხტით

2002 წელს ზამთრის ოლიმპიადას ამერიკულმა სოლტ ლეიკ სიტიმ უმასპინძლა. ამჯერად ქართველებს ერთი სახეობა დაგვემატა - ფიგურული ციგურაობა. პირველი ქართველი ოლიმპიელი მოციგურავე კი **ვახტანგ მურვანიძე** გახდა, მის გარდა ოლიმპიადაზე სამმა სპორტსმენმა იასპარეზა, ორმა სამთო მოთხილამურემ (სოფიკო ახმეტელი, **რობერტ მახარაშვილი**) და კახა ნაქაძემ (ტრამპლინიდან ხტომა).

22 წლის ვახტანგ მურვანიძემ ვაჟთა ინდივიდუალურ სრიალში მოკლე პროგრამაში 83,1 ქულით მე-18 ადგილი დაიკავა და თავისუფალში სრიალის უფლებაც მიიღო. თავისუფალში მან კიდევ ოდნავ გააუმჯობესა შედეგი - 86,6 ქულით მე-17 იყო. საერთო ჩათვლაშიც ვახტანგს მე-17 ადგილი ერგო. ბუნებრივია, საქართველოსთვის, რომელსაც არანაირი ტრადიცია არ ჰქონდა სპორტის ამ სახეობაში, ეს ადგილი ნორმალურ მიღწევად შეფასდა.

კახა ნაქაძე ყველაზე ასაკოვანი ქართველი ოლიმპიელი სოლ ლეიკ სიტიში გახდა, მხტომელი მისთვის მე-3 ოლიმპიადაზე 33 წლის იყო. სამწუხაროდ, მან ვერც ამერიკაში აჩვენა კარგი შედეგი. საშუალო ტრამპლინიდან საკვალიფიკაციო ხტომებში კახა 46-ე ადგილზე გავიდა, დიდში კი - 50-ზე (ორივე შემთხვევაში ფინალში 38-38 მონაწილე გავიდა). ამით დასრულდა ქართული ეპოპეა ტრამპლინიდან ხტომებში და, ვინ იცის, კიდევ როდის გველირსება საერთაშორისო კლასის სპორტსმენი სპორტის ამ მამაც სახეობაში...

სამთო სათხილამურო სპორტში სრული ფიასკო გველოდა, 20 წლის სოფიკო ახმეტელმა ვერც სლალომში და ვერც გიგანტურ სლალომში ვერ შეძლო ტრასის ჩამთავრება. ორივე დისციპლინაში 2002 წლის დელეგაციის იმედს ფეხი პირველივე ცდაზე მოეცარა. ხანმოკლე გამოდგა რობერტ მახარაშვილის ოლიმპიური კარიერაც, 20 წლის მოთხილამურემ ვაჟთა სლალომის პირველი ცდა ვერ დაასრულა და მისთვის ოლიმპიადა დასრულდა.

## როცა მთავარი მონაწილეობა აღარ არის

დადგა 2006 წლის ოლიმპიური თამაშების დროც და, **ჟამთაალმწერლის** ენით რომ ვთქვათ, „და დაიწყო მთიებმან აღმობრწყინება" - ტურინის ყინულზე ელენე გედევანიშვილი შედგა... ელენემ ერთი ქართული რეკორდი იტალიაში ჩასვლამდე მოხსნა - ის ზამთრის და ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ყველაზე ახალგაზრდა ქართველი მონაწილე გახდა (16 წლის და 46 დღის).

ტურინის „პალეველა" 21 თებერვალს ნორჩმა ქართველმა ენერგიული სრიალით და ურთულესი ხტომებით გააოგნა, მოკლე პროგრამის შემდეგ ბევრისთვის ჯერ კიდევ უცნობი ელენე გედევანიშვილი მე-6 იყო და „მედლის ზონას" 9 ქულაზე ნაკლებით ჩამორჩებოდა. სამწუხაროდ, ელენემ თავისუფალი პროგრამა ასე წარმატებით ველარ შეასრულა და ის საბოლოოდ მე-10 ადგილს დასჯერდა. ადგილს, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ჯერჯერობით საუკეთესო მიღწევაა (ელენეს შედეგი ვერ სჯობს კობა ნაქაძის მე-9 ადგილს, მაგრამ ცნობილმა მხტომელმა 1960 წელს საბჭოთა კავშირის სახელით იასპარეზა).

ტურინში ელენეს გარდა ვახტანგ მურვანიძემ და **იასონ აბრამაშვილმა** იასპარეზეს. ყველაზე ცოტა მონაწილე ნებისმიერ ოლიმპიურ თამაშებში სწორედ 2006 წელს გვყავდა. ტურინში ოთხი ჩვენებური უნდა გამოსულიყო, მაგრამ სოფიკო ახმეტელმა მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო, რითაც კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ზამთრის სახეობებში ის ყველაზე უიღბლო ქართველი სპორტსმენი იყო. ახმეტელმა ამ ტრავმის შემდეგ 24 წლის ასაკში კარიერა დაასრულა, არადა საერთაშორისო ასპარეზზე უკვე კარგ შედეგებს აჩვენებდა. ტურინში 17 წლის იასონ აბრამაშვილის დებიუტი შედგა. ვაჟთა სლალომის პირველ ჩამოსრიალებაზე ის 46-ე იყო, მეორეზე კი 34-ეზე. ორი ცდის ჯამში ქართველმა მოთხილამურემ 32-ე ადგილი დაიკავა. გიგანტურ სლალომში იასონმა უკეთესი შედეგი აჩვენა, 29-ე ადგილზე გავიდა.

ვახტანგ მურვანიძის გამოსვლას კი ფიასკო ეთქმის: 28-ე ადგილი მოკლე პროგრამაში. მან თავისუფალი პროგრამის საგზურიც ვერ მოიპოვა. ამით მან სპორტსმენის კარიერა დაასრულა.

## ვანკუვერი, ჩვენი ოლიმპიადა?

სულ საქართველომ ზამთრის 4 ოლიმპიადაზე მიიღო მონაწილეობა. ჩვენებმა ოთხი სახეობის (სამთო თხილამურობა, ფიგურული ციგურაობა, ტრამპლინიდან ხტომა, ციგაობა) 12 დისციპლინაში სცადეს ბედი. აქამდე მხოლოდ 10 თეთრი ოლიმპიელი გვყავდა (8 ვაჟი და 2 ქალი).

ვანკუვერი ჩვენებისთვის ახალი გამოწვევაა, საქართველოს არასოდეს ჰყოლია ამდენი მონაწილე (8) და არც არასოდეს ყოფილა ქვეყანა ასე იმედიანად: ორი ქართველისთვის მაინც კანადური სტარტი არ იქნება მონაწილეობა მხოლოდ მონაწილეობის მიზნით. მოკლედ, დღეს საქართველოს დროით დილის 6 საათზე ვანკუვერის „ბი-სი პლეისში" საქართველოს ხუთჯვრიან დროშას იასონ აბრამაშვილიააფრიალებს...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ვანკუვერი 2010

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

## კალენდარი

### 13 თებერვალი

| | |
|---|---|
| 20:30-23:25 | ტრამპლინიდან ხტომა. ინდ. (K-95). I რაუნდი და ფინალი |
| 23:45-01:30 | სამთო-სათხილამურო სპორტი. კაცები. სწრაფდაშვება. |
| 00:00-02:30 | ჰოკეი. ქალები. შვედეთი-შვეიცარია (A ჯგუფი) |
| 00:00-02:20 | ციგურებით სირბილი. კაცები. 5000 მ. |
| 01:00-02:10 | ბიატლონი. ქალები. 7.5 კმ. სპრინტი. |
| 04:30-05:30 | ფრისტაილი მოგული. ქალები. კვალიფიკაცია |
| 05:00-07:30 | ჰოკეი. ქალები. კანადა-სლოვაკეთი (A ჯგუფი) |
| 05:00-07:03 | შორტ-ტრეკი. კაცები. 1500 მ. კვალიფიკაცია |
| 05:00-08:35 | ციგაობა კაცები. ერთადგილიანი. I და II ცდა |
| 05:45-06:24 | შორტ-ტრეკი. ქალები. 500 მ. კვალიფიკაცია |
| 06:24-06:49 | შორტ-ტრეკი. კაცები. 1500 მ. 1/2 ფინალი |
| 06:49-07:18 | შორტ-ტრეკი. ქალები. 3000 მ. ესტაფეტა. 1/2 ფინალი |
| 07:18-07:48 | შორტ-ტრეკი. კაცები. 1500 მ. ფინალი |
| 07:30-08:30 | ფრისტაილი. მოგული. ქალები. ფინალი |

### 14 თებერვალი

| | |
|---|---|
| 21:00-22:50 | სათხილამურო ორჭიდი. ტრამპლინიდან ხტომა (K-95) |
| 22:00-23:30 | სამთო-სათხილამურო სპორტი. ქალები. კომბინაცია - სწრაფდაშვება |
| 23:15-00:25 | ბიატლონი. კაცები. 10 კმ. სპრინტი |
| 00:00-02:30 | ჰოკეი. ქალები. აშშ-ჩინეთი (B ჯგუფი) |
| 01:00-02:00 | სამთო-სათხილამურო სპორტი. ქალები. კომბინაცია - სლალომი |
| 01:00-02:50 | ციგურებით სირბილი. ქალები. 3000 მ |
| 01:00-04:50 | ციგაობა კაცები. ერთადგილიანი. III და IV ცდა |
| 01:45-02:20 | სათხილამურო ორჭიდი. სათხილამურო რბოლა 10 კმ. |
| 02:30-03:30 | ფრისტაილი. მოგული. კაცები. კვალიფიკაცია |
| 04:30-07:55 | ფიგურული სრიალი. სპორტული წყვილები. მოკლე პროგრამა |
| 04:30-07:00 | ჰოკეი. ქალები. ფინეთი-რუსეთი (B ჯგუფი) |
| 05:30-06:30 | ფრისტაილი. მოგული. კაცები. ფინალი |

### 15 თებერვალი

| | |
|---|---|
| 22:00-23:15 | თხილამურებით რბოლა. ქალები. ინდივიდუალური რბოლა. 10 კმ. თავისუფალი სტილი |
| 22:30-00:50 | სნოუბორდი. სნოუბორდ-კროსი. კაცები. კვალიფიკაცია |
| 00:30-02:00 | თხილამურებით რბოლა კაცები. ინდივიდუალური რბოლა. 15 კმ. თავისუფალი სტილი |
| 02:00-03:00 | სნოუბორდი. სნოუბორდ-კროსი. კაცები. 1/8, 1/4, 1/2, ფინალი |
| 02:30-05:00 | ჰოკეი. ქალები. შვეიცარია-კანადა (A ჯგუფი) |
| 03:30-06:50 | ციგურებით სირბილი. კაცები. 500 მ. I და II ცდა |
| 05:00-08:55 | ფიგურული სრიალი. სპორტული წყვილები. თავისუფალი პროგრამა |
| 05:00-07:55 | ციგაობა. ქალები. ერთადგილიანი. I და II ცდა |
| 07:00-09:30 | ჰოკეი. ქალები. შვედეთი-სლოვაკეთი (A ჯგუფი) |

### 16 თებერვალი

| | |
|---|---|
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. ბრიტანეთი-შვედეთი. კაცები. I ტური |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. ნორვეგია-კანადა. კაცები. I ტური |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. აშშ-გერმანია. კაცები. I ტური |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. შვეიცარია-დანია. კაცები. I ტური |
| 22:00-23:30 | სამთო-სათხილამურო სპორტი. კაცები. კომბინაცია - სწრაფდაშვება |
| 22:00-23:40 | სნოუბორდი. სნოუბორდ-კროსი. ქალები. კვალიფიკაცია |
| 22:30-23:10 | ბიატლონი. ქალები. 10 კმ. რბოლა გამოდევნებით |
| 00:00-02:30 | ჰოკეი. კაცები. აშშ-შვეიცარია (A ჯგუფი) |
| 00:15-00:50 | სნოუბორდ-კროსი. ქალები. 1/4, 1/2, ფინალი |
| 00:45-01:25 | ბიატლონი. კაცები. 12.5 კმ. რბოლა გამოდევნებით |
| 01:00-03:50 | ციგურებით სირბილი. ქალები. 500 მ. I და II ცდა |
| 01:00-04:10 | ციგაობა. ქალები. ერთადგილიანი. III და IV ცდა |
| 01:30-02:30 | სამთო-სათხილამურო სპორტი. კაცები. კომბინაცია - სლალომი |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. აშშ-იაპონია. ქალები. I ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. დანია-შვედეთი. ქალები. I ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. გერმანია-რუსეთი. ქალები. I ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. კანადა-შვეიცარია. ქალები. I ტური |
| 02:30-05:00 | ჰოკეი. ქალები. რუსეთი-აშშ (B ჯგუფი) |
| 04:15-08:45 | ფიგურული სრიალი. კაცები. მოკლე პროგრამა |
| 04:30-07:00 | ჰოკეი. კაცები. კანადა-ნორვეგია (A ჯგუფი) |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. კანადა-გერმანია. კაცები. II ტური |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. ჩინეთი-საფრანგეთი. კაცები. II ტური |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. აშშ-ნორვეგია. კაცები. II ტური |
| 07:00-09:30 | ჰოკეი. ქალები. ფინეთი-ჩინეთი (B ჯგუფი) |
| 09:00-11:30 | ჰოკეი. კაცები. რუსეთი-ლატვია (B ჯგუფი) |

### 17 თებერვალი

| | |
|---|---|
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. ჩინეთი-ბრიტანეთი. ქალები. II ტური |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. გერმანია-აშშ. ქალები. II ტური |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. შვეიცარია-შვედეთი. ქალები. II ტური |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. იაპონია-კანადა. ქალები. II ტური |
| 22:15-23:00 | თხილამურებით რბოლა. ქალები. ინდივიდუალური სპრინტი. კვალიფიკაცია |
| 22:45-23:00 | თხილამურებით რბოლა. კაცები. ინდივიდუალური სპრინტი. კვალიფიკაცია |
| 23:00-00:45 | სამთო-სათხილამურო სპორტი. ქალები. სწრაფდაშვება |
| 00:00-02:30 | ჰოკეი. კაცები. ფინეთი-ბელარუსი (C ჯგუფი) |
| 00:30-02:00 | თხილამურებით რბოლა. ქალები. ინდივიდუალური სპრინტი. 1/4, 1/2, ფინალი |
| 00:55-02:00 | თხილამურებით რბოლა. კაცები. ინდივიდუალური სპრინტი. 1/4, 1/2, ფინალი |
| 01:05-03:45 | სნოუბორდი. ჰალფ-პაიპი. კაცები. კვალიფიკაცია |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. ბრიტანეთი-საფრანგეთი. კაცები. III ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. აშშ-შვეიცარია. კაცები. III ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. დანია-ჩინეთი. კაცები. III ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. გერმანია-შვედეთი. კაცები. III ტური |
| 02:30-05:00 | ჰოკეი. ქალები. კანადა-შვედეთი (A ჯგუფი) |
| 04:00-04:30 | ციგურებით სირბილი. კაცები. 1000 მ |
| 04:30-07:00 | ჰოკეი. კაცები. შვედეთი-გერმანია (C ჯგუფი) |
| 05:00-07:15 | შორტ-ტრეკი. ქალები. 500 მ. 1/4, 1/2 ფინალი |
| 05:00-07:15 | ციგაობა. კაცები. ორადგილიანი. I და II ცდა |
| 05:15-06:15 | სნოუბორდი. ჰალფ-პაიპი. კაცები. 1/2 ფინალი |
| 05:27-06:35 | შორტ-ტრეკი. კაცები. 1000 მ. კვალიფიკაცია |
| 06:35-07:07 | შორტ-ტრეკი. კაცები. 5000 მ. ესტაფეტა. 1/2 ფინალი |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. რუსეთი-დანია. ქალები. III ტური |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. ბრიტანეთი-შვედეთი. ქალები. III ტური |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. ჩინეთი-შვეიცარია. ქალები. III ტური |
| 07:00-09:30 | ჰოკეი. ქალები. სლოვაკეთი-შვეიცარია (A ჯგუფი) |
| 07:15-08:15 | სნოუბორდი. ჰალფ-პაიპი. კაცები. ფინალი |
| 09:00-11:30 | ჰოკეი. კაცები. ჩეხეთი-სლოვაკეთი (B ჯგუფი) |

### 18 თებერვალი

| | |
|---|---|
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. დანია-აშშ. კაცები. IV ტური |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. გერმანია- ნორვეგია. კაცები. IV ტური |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. კანადა-შვედეთი. კაცები. IV ტური |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. ბრიტანეთი-შვეიცარია. კაცები. IV ტური |
| 22:00-23:40 | ბიატლონი. ქალები. 15 კმ. ინდივიდუალური |
| 00:00-02:30 | ჰოკეი. კაცები. აშშ-ნორვეგია (A ჯგუფი) |
| 00:30-02:05 | სნოუბორდი. ჰალფ-პაიპი. ქალები. კვალიფიკაცია |
| 01:00-02:35 | ბიატლონი. კაცები. 20 კმ. ინდივიდუალური |
| 01:00-02:30 | ციგურებით სირბილი. ქალები. 1000 მ |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. კანადა-გერმანია. ქალები. IV ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. ჩინეთი-იაპონია. ქალები. IV ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. რუსეთი-ბრიტანეთი. ქალები. IV ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. დანია- აშშ. ქალები. IV ტური |
| 02:30-05:00 | ჰოკეი. ქალები. აშშ-ფინეთი (B ჯგუფი) |
| 04:00-05:00 | სნოუბორდი. ჰალფ-პაიპი. ქალები. 1/2 ფინალი |
| 04:00-06:00 | სკელეტონი. ქალები. I და II ცდა |
| 04:30-07:00 | ჰოკეი. კაცები. შვეიცარია-კანადა (A ჯგუფი) |
| 05:00-09:05 | ფიგურული სრიალი. კაცები. თავისუფალი პროგრამა |
| 06:00-07:00 | სნოუბორდი. ჰალფ-პაიპი. ქალები. ფინალი |
| 06:30-09:00 | სკელეტონი. კაცები. I და II ცდა |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. შვედეთი-ჩინეთი. კაცები. V ტური |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. ბრიტანეთი-დანია. კაცები. V ტური |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. ნორვეგია-შვეიცარია. კაცები. V ტური |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. საფრანგეთი-კანადა. კაცები. V ტური |
| 07:00-09:30 | ჰოკეი. ქალები. ჩინეთი-რუსეთი (B ჯგუფი) |
| 09:00-11:30 | ჰოკეი. კაცები. სლოვაკეთი-რუსეთი (B ჯგუფი) |

### 19 თებერვალი

| | |
|---|---|
| 20:30-23:05 | ტრამპლინიდან ხტომა ინდ. (K-125). კვალიფიკაცია |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. გერმანია-ბრიტანეთი. ქალები. V ტური |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. რუსეთი-აშშ. ქალები. V ტური |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. ჩინეთი-დანია. ქალები. V ტური |
| 23:30-01:30 | სამთო-სათხილამურო სპორტი. კაცები. სუპერ გიგანტი |
| 00:00-01:30 | ჰოკეი. კაცები. ბელარუსი-შვედეთი (C ჯგუფი) |
| 01:00-01:50 | თხილამურებით რბოლა. ქალები. რბოლა გამოდევნებით. 15 კმ. (7.5 კმ. კლასიკური+7.5 კმ. თავისუფალი) |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. გერმანია-შვეიცარია. კაცები. VI ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. დანია-კანადა. კაცები. VI ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. საფრანგეთი-აშშ. კაცები. VI ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. ნორვეგია-ჩინეთი. კაცები. VI ტური |
| 03:45-06:00 | სკელეტონი. ქალები. III და IV ცდა |
| 04:30-07:00 | ჰოკეი. კაცები. ჩეხეთი-ლატვია (B ჯგუფი) |
| 04:45-08:05 | ფიგურული სრიალი. ცეკვა. აუცილებელი ცეკვა |
| 06:20-09:00 | სკელეტონი. კაცები. III და IV ცდა |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. დანია-კანადა. ქალები. VI ტური |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. შვედეთი-ჩინეთი. ქალები. VI ტური |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. ბრიტანეთი-იაპონია. ქალები. VI ტური |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. შვეიცარია-რუსეთი. ქალები. VI ტური |
| 09:00-11:30 | ჰოკეი. კაცები. ფინეთი-გერმანია (C ჯგუფი) |

### 20 თებერვალი

| | |
|---|---|
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. ნორვეგია-დანია. კაცები. VII ტური |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. საფრანგეთი-გერმანია. კაცები. VII ტური |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. ჩინეთი-ბრიტანეთი. კაცები. VII ტური |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. შვედეთი-აშშ. კაცები. VII ტური |
| 21:30-01:10 | ტრამპლინიდან ხტომა ინდ. (K-125). I რაუნდი და ფინალი |
| 22:00-23:45 | სამთო-სათხილამურო სპორტი. ქალები. სუპერგიგანტი |
| 22:00-23:35 | ფრისტაილი. აკრობატიკა. ქალები. კვალიფიკაცია |
| 00:00-02:30 | ჰოკეი. კაცები. ნორვეგია-შვეიცარია (A ჯგუფი) |
| 01:30-03:00 | თხილამურებით რბოლა. კაცები. რბოლა გამოდევნებით. 30 კმ. (15 კმ. კლასიკური+15 კმ. თავისუფალი) |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. შვედეთი-რუსეთი. ქალები. VII ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. აშშ-ბრიტანეთი. ქალები. VII ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. დანია-შვეიცარია. ქალები. VII ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. გერმანია-ჩინეთი. ქალები. VII ტური |
| 02:30-05:00 | ჰოკეი. ქალები. 5-8 ადგილი |
| 04:15-06:00 | ციგურებით სირბილი. კაცები. 1500 მ |
| 04:30-07:00 | ჰოკეი. კაცები. ლატვია-სლოვაკეთი (B ჯგუფი) |
| 05:00-07:40 | ბობსლეი. კაცები. ორადგილიანი. I და II ცდა |
| 05:45-08:05 | შორტ-ტრეკი. ქალები. 1500 მ. კვალიფიკაცია, 1/2, ფინალი |
| 06:29-08:15 | შორტ-ტრეკი. კაცები. 1000 მ. 1/4, 1/2, ფინალი |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. შვეიცარია-ჩინეთი. კაცები.VIII ტური |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. შვედეთი-საფრანგეთი. კაცები. VIII ტური |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. კანადა-ბრიტანეთი. კაცები. VIII ტური |
| 07:00-09:30 | ჰოკეი. ქალები. 5-8 ადგილი |
| 09:00-11:30 | ჰოკეი. კაცები. გერმანია-ბელარუსი (C ჯგუფი) |

### 21 თებერვალი

| | |
|---|---|
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. ბრიტანეთი-შვეიცარია. ქალები. VIII ტური |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. გერმანია-დანია. ქალები. VIII ტური |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. კანადა-აშშ. ქალები. VIII ტური |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. რუსეთი-იაპონია. ქალები. VIII ტური |
| 21:15-22:15 | ფრისტაილი. სკი-კროსი. კაცები. კვალიფიკაცია |
| 22:00-23:45 | სამთო-სათხილამურო სპორტი. კაცები. გიგანტური სლალომი. I ცდა |
| 22:45-23:25 | ბიატლონი. კაცები. 15 კმ. მასსტარტი |
| 00:00-02:30 | ჰოკეი. კაცები. რუსეთი-ჩეხეთი (B ჯგუფი) |
| 00:15-01:30 | ფრისტაილი. სკი-კროსი. კაცები. 1/8, 1/4, 1/2 და ფინალი |
| 01:00-01:45 | ბიატლონი. ქალები. 12.5 კმ. მას-სტარტი |
| 01:30-03:50 | ბობსლეი. კაცები. ორადგილიანი. III და IV ცდა |
| 01:45-03:00 | სამთო-სათხილამურო სპორტი. კაცები. გიგანტური სლალომი. II ცდა |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. აშშ-ბრიტანეთი. კაცები. IX ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. ნორვეგია-შვედეთი. კაცები. IX ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. შვეიცარია-კანადა. კაცები. IX ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. დანია-გერმანია. კაცები. IX ტური |
| 03:00-04:35 | ციგურებით სირბილი. ქალები. 1500 მ |
| 04:15-07:45 | ფიგურული სრიალი. ცეკვა. ორიგინალური ცეკვა |
| 04:40-07:10 | ჰოკეი. კაცები. კანადა-აშშ (A ჯგუფი) |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. ჩინეთი-კანადა. ქალები. IX ტური |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. იაპონია-გერმანია. ქალები. IX ტური |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. აშშ-შვედეთი. ქალები. IX ტური |
| 09:00-11:30 | ჰოკეი. კაცები. შვედეთი-ფინეთი (C ჯგუფი) |

### 22 თებერვალი

| | |
|---|---|
| 20:30-23:55 | ტრამპლინიდან ხტომა გუნდური. I რაუნდი და ფინალი |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. საფრანგეთი-ნორვეგია. კაცები. X ტური |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. კანადა-აშშ. კაცები. X ტური |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. გერმანია-ჩინეთი. კაცები. X ტური |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. შვეიცარია-შვედეთი. კაცები. X ტური |
| 22:45-23:30 | თხილამურებით რბოლა. ქალები. გუნდური სპრინტი. 1/2 ფინალები |
| 23:35-00:20 | თხილამურებით რბოლა. კაცები. გუნდური სპრინტი. 1/2 ფინალები |
| 00:00-02:30 | ჰოკეი. ქალები. 1/2 ფინალი |
| 01:00-01:20 | თხილამურებით რბოლა. ქალები. გუნდური სპრინტი. ფინალი |
| 01:25-01:45 | თხილამურებით რბოლა. კაცები. გუნდური სპრინტი. ფინალი |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. რუსეთი-ჩინეთი. ქალები. X ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. იაპონია-შვეიცარია. ქალები. X ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. შვედეთი-კანადა. ქალები. X ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. ბრიტანეთი-დანია. ქალები. X ტური |
| 02:00-04:30 | ჰოკეი. ქალები. 7-8 ადგილები |
| 04:45-08:55 | ფიგურული სრიალი. ცეკვა. თავისუფალი ცეკვა |
| 05:00-07:30 | ჰოკეი. ქალები. 1/2 ფინალი |
| 06:00-07:35 | ფრისტაილი. აკრობატიკა. კაცები. კვალიფიკაცია |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. გერმანია-ბრიტანეთი. კაცები. XI ტური |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. საფრანგეთი-დანია. კაცები. XI ტური |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. ჩინეთი-აშშ. კაცები. XI ტური |
| 07:00-09:30 | ჰოკეი. ქალები. 5-6 ადგილები |

### 23 თებერვალი

| | |
|---|---|
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. იაპონია-შვედეთი. ქალები. XI ტური |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. შვეიცარია-გერმანია. ქალები. XI ტური |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. აშშ-ჩინეთი. ქალები. XI ტური |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. კანადა-ბრიტანეთი. ქალები. XI ტური |
| 21:00-22:45 | სათხილამურო ორჭიდი ტრამპლინიდან ხტომა. გუნდური |
| 22:30-23:30 | ფრისტაილი. სკი-კროსი. ქალები. კვალიფიკაცია |
| 23:00-01:45 | ციგურებით სირბილი. კაცები. 10 000 მ. |
| 23:30-01:05 | ბიატლონი. ქალები. ესტაფეტა 4x6 კმ |
| 00:00-02:30 | ჰოკეი. კაცები. პლეი ოფი |
| 01:00-02:00 | სათხილამურო ორჭიდი. რბოლა. ესტაფეტა 4x5 კმ |
| 01:00-02:15 | ფრისტაილი. სკი-კროსი. ქალები. 1/8, 1/4, 1/2 და ფინალი |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. ჩინეთი-კანადა. კაცები. XII ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. შვედეთი-დანია. კაცები. XII ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. ბრიტანეთი-ნორვეგია. კაცები. XII ტური |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. შვეიცარია-საფრანგეთი. კაცები. XII ტური |
| 04:30-09:00 | ფიგურული სრიალი. ქალები. მოკლე პროგრამა |
| 04:30-07:00 | ჰოკეი. კაცები. პლეი ოფი |
| 05:00-07:00 | ბობსლეი. ქალები. ორადგილიანი. I და II ცდა |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. შვეიცარია-აშშ. ქალები. XII ტური |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. კანადა-რუსეთი. ქალები. XII ტური |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. იაპონია-დანია. ქალები. XII ტური |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. შვედეთი-გერმანია. ქალები. XII ტური |
| 07:00-09:30 | ჰოკეი. კაცები. პლეი ოფის კლასიფიკაცია |
| 09:00-11:30 | ჰოკეი. კაცები. პლეი ოფის კლასიფიკაცია |

### 24 თებერვალი

| | |
|---|---|
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. ქალები. ტაი-ბრეიკი |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. კაცები. ტაი-ბრეიკი |
| 22:00-23:30 | სამთო-სათხილამურო სპორტი. ქალები. გიგანტური სლალომი. I ცდა |
| 23:15-01:10 | თხილამურებით რბოლა. კაცები. ესტაფეტა. 4x10 კმ. |
| 00:00-02:30 | ჰოკეი. კაცები. 1/4 ფინალი |
| 01:00-02:35 | ციგურებით სირბილი. ქალები. 5000 მ |
| 01:15-02:30 | სამთო-სათხილამურო სპორტი. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. ქალები. ტაი-ბრეიკი |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. კაცები. ტაი-ბრეიკი |
| 04:30-07:00 | ჰოკეი. კაცები. 1/4 ფინალი |
| 05:00-07:00 | ბობსლეი. ქალები. ორადგილიანი. III და IV ცდა |
| 05:00-05:47 | შორტ-ტრეკი. ქალები. 1000 მ. კვალიფიკაცია |
| 05:47-06:25 | შორტ-ტრეკი. კაცები. 500 მ. კვალიფიკაცია |
| 06:26-06:45 | შორტ-ტრეკი. ქალები. 3000 მ. ესტაფეტა. ფინალი |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. ქალები. ტაი-ბრეიკი |
| 07:00-10:00 | ქიორლინგი. კაცები. ტაი-ბრეიკი |
| 07:00-09:30 | ჰოკეი. კაცები. 1/4 ფინალი |
| 07:30-08:35 | ფრისტაილი. აკრობატიკა. ქალები. ფინალი |
| 09:00-11:30 | ჰოკეი. კაცები. 1/4 ფინალი |

### 25 თებერვალი

| | |
|---|---|
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. ქალები. 1/2 ფინალი |
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. ქალები. 1/2 ფინალი |
| 21:00-22:50 | სათხილამურო ორჭიდი. ტრამპლინი (K-125) |
| 23:00-00:05 | თხილამურებით რბოლა. ქალები. ესტაფეტა. 4x5 კმ. |
| 23:00-01:30 | ჰოკეი. ქალები. მე-3 ადგილისთვის |
| 01:00-01:35 | სათხილამურო ორჭიდი სათხილამურო რბოლა 10 კმ. |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. კაცები. 1/2 ფინალი |
| 02:00-05:00 | ქიორლინგი. კაცები. 1/2 ფინალი |
| 03:30-06:00 | ჰოკეი. ქალები. ფინალი |
| 05:00-08:55 | ფიგურული სრიალი. ქალები. თავისუფალი პროგრამა |
| 06:00-07:05 | ფრისტაილი. აკრობატიკა. კაცები. ფინალი |

### 26 თებერვალი

| | |
|---|---|
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. ქალები. მე-3 ადგილისთვის |
| 22:00-23:30 | სამთო-სათხილამურო სპორტი. ქალები. სლალომი. I ცდა |
| 22:00-23:00 | სნოუბორდი. გიგანტური პარალელური სლალომი. ქალები. კვალიფიკაცია |
| 23:30-01:05 | ბიატლონი. კაცები. ესტაფეტა 4x7.5 კმ |
| 00:00-02:30 | ჰოკეი. კაცები. 1/2 ფინალი |
| 00:15-01:50 | სნოუბორდი. გიგანტური პარალელური სლალომი. ქალები. 1/8, 1/4, 1/2 და ფინალი |
| 00:30-01:20 | ციგურებით სირბილი. კაცები. გუნდური გამოდევნება. 1/4 ფინალი |
| 01:00-03:45 | ბობსლეი. კაცები. ოთხადგილიანი. I და II ცდა |
| 01:20-02:05 | ციგურებით სირბილი. ქალები. გუნდური გამოდევნება. 1/4 ფინალი |
| 01:30-02:30 | სამთო-სათხილამურო სპორტი. ქალები. სლალომი. II ცდა |
| 02:07-02:20 | ციგურებით სირბილი. კაცები. გუნდური გამოდევნება. 1/2 ფინალი |
| 03:00-06:00 | ქიორლინგი. ქალები. ფინალი |
| 06:00-07:25 | შორტ-ტრეკი. კაცები. 500 მ. 1/4, 1/2 და ფინალი |
| 06:14-07:52 | შორტ-ტრეკი. ქალები. 1000 მ. 1/4, 1/2 და ფინალი |
| 06:30-09:00 | ჰოკეი. კაცები. 1/2 ფინალი |
| 07:52-08:15 | შორტ-ტრეკი. კაცები. 5000 მ. ესტაფეტა. ფინალი |

### 27 თებერვალი

| | |
|---|---|
| 21:00-00:00 | ქიორლინგი. კაცები. მე-3 ადგილისთვის |
| 22:00-23:45 | სამთო-სათხილამურო სპორტი. კაცები. სლალომი. I ცდა |
| 22:00-23:00 | სნოუბორდი. გიგანტური პარალელური სლალომი. კაცები. კვალიფიკაცია |
| 23:45-01:45 | თხილამურებით რბოლა. ქალები. მასსტარტი. 30 კმ. კლასიკური |
| 00:15-01:50 | სნოუბორდი. გიგანტური პარალელური სლალომი. კაცები. 1/8, 1/4, 1/2 და ფინალი |
| 00:30-02:25 | ციგურებით სირბილი. ქალები. გუნდური გამოდევნება. 1/2 და ფინალი |
| 00:51-02:10 | ციგურებით სირბილი. კაცები. გუნდური გამოდევნება. ფინალი |
| 01:00-03:25 | ბობსლეი. კაცები. ოთხადგილიანი. III და IV ცდა |
| 01:45-03:10 | სამთო-სათხილამურო სპორტი. კაცები. სლალომი. II ცდა |
| 03:00-06:00 | ქიორლინგი. კაცები. ფინალი |
| 04:30-07:00 | ფიგურული სრიალი. საჩვენებელი გამოსვლები |
| 07:00-09:30 | ჰოკეი. კაცები. მე-3 ადგილისთვის |

### 28 თებერვალი

| | |
|---|---|
| 21:30-00:15 | თხილამურებით რბოლა. კაცები. მასსტარტი. 50 კმ. კლასიკური |
| 00:15-02:45 | ჰოკეი. კაცები. ფინალი |
| 06:00-09:00 | ოლიმპიადის დახურვის ცერემონია |

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. XX ტური

12.02. ზუგდიდი. ბაიას ბაზა
500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ბაია | 0 |
| სპარტაკი | 2 |

0:1 მაისურაძე (81), 0:2 კანდელაკი (89)

ბაია: სომხიშვილი - კვეკვესკირი (83. ფიფია), აქუბარდია, ს. თოდუა, კვესიეშვილი - ჩისამბა ლუნგუ, რ. ონიანი, გუგუჩია - შ. ლომია (75. ნურნუმია), ვართაგავა, ბაკარანძე (71. ჭკადუა).

*სათადარიგოები: ზარქუა, სიხარულია, ეხვაია, ქირია*

სპარტაკი: ბათიაშვილი - ბაქრაძე, ფოფხაძე, ბოიომო, მგალობლიშვილი, ჩირიკაშვილი (90. კბილცეცხლაშვილი) - მაისურაძე, თარხნიშვილი, მგელაძე (46. დეკანოიძე), ბუზალაძე (60. კანდელაკი) - მედ ნალო.

*სათადარიგოები: ნონოსი, გ. კვახაძე*

გაფრთხილება: ბოიომო (15), გუგუჩია (34), ბათიაშვილი (63), აქუბარდია (77)

არბიტრი: ლ. სილაგავა

# კრიტიკული სიტუაცია

საკუთარ ბაზაზე (ზუგდიდის სტადიონზე გაზონი მზად არ იყო) მარცხით „ბაიამ" სატურნირო მდგომარეობა შესაძლოა კიდევ უფრო გაიუარესოს. შეგახსენებთ რომ, „ბაია" ბოლოდან მეორე ადგილზეა და გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა.

პირველი ნახევარი მასპინძელს ცუდს არაფერს უქადდა. „ბაიამ" თამაში აქტიურად დაიწყო და ბურთიც უმეტესად სტუმართა ნახევარზე გორავდა. მაგრამ ამ უპირატესობას „ბაიასთვის" არაფერი მოუტანია. არადა, მომენტები იყო. მაგალითად, 39-ე წუთზე **ჩისამბა ლუნგუმ შოთა ლომიას** მშვენიერი პასი გადააწოდა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ზუგდიდელთა მე-14 ნომერმა ბურთის სათანადოდ დამუშავება ვერ შეძლო, შესაბამისად, დარტყმაც უხეირო გამოდგა და ცხინვალელთა გოლკიპერს მისი განეიტრალება აღარ გასჭირვებია.

ტაიმის მიწურულს მასპინძლები კიდევ უფრო გააქტიურდნენ. **გუგუჩიას** მიერ ჩინებულად ჩაწოდებულ კუთხურს თავდამსხმელთა გააზრებული მოქმედება რომ მოჰყოლოდა, „სპარტაკი" გოლს ვერ ასცდებოდა. არადა, ზუგდიდელთა გუნდს თითქოს ამ კომპონენტში არ უნდა გასჭირვებოდა, რადგანაც მწვრთნელმა მოედანზე საბრძოლო შემადგენლობა (4-3-3) გაიყვანა, რასაც ცხინვალელებმა ძირითადად კონტრშეტევებზე აგებული ტაქტიკა (5-4-1) დაუპირისპირეს.

პირველ ტაიმში სტუმრები ძირითადად თავს იცავდნენ და ზუგდიდელთა კარისკენ ერთხელაც არ დაურტყამთ. მეკარეც და მინდვრის მოთამაშეებიც დროის გაყვანას ცდილობდნენ. ცხადი იყო, რომ სტუმართა გუნდს ფრეც აძლევდა ხელს. თამაშის ხარისხზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ამინდმაც - ძლიერი ქარის გამო, ორივე გუნდის ფეხბურთელებს ზუსტი პასების გაკეთება ერთიორად უჭირდათ.

სანახაობით არც მეორე ნახევარი გამოირჩეოდა, თუმცა შესვენების შემდეგ გუნდები უკვე სხვა განწყობით გავიდნენ სათამაშოდ. როგორც ჩანს, სტუმრები მიხვდნენ, რომ მაქსიმალური შედეგის მიღწევაც შეიძლებოდა და მოუმატეს. შედეგად, „ბაიას" კართან რეალური საგოლე მომენტიც შეიქმნა. **მედ ნალომ** მასპინძელთა მცველების შეუთანხმებელი თამაშით ისარგებლა, ბურთი საჯარიმოს სიახლოვეს აართვა მცველს და საჯარიმოში შეიჭრა, თუმცა მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა კარში ოდნავ უზუსტოდ დაარტყა.

„ბაიას" ფეხბურთელები ცდილობდნენ უპირატესობის დაბრუნებას, მაგრამ უშედეგოდ. ტექნიკური წუნი ორივე მხარეს საკმაოდ დიდი იყო და, შესაბამისად, ძირითადი მოქმედება მოედნის ცენტრში ვითარდებოდა. უკმაყოფილო გულშემატკივარი კი გოლს ელოდა...

გოლი კი გავიდა, მაგრამ არა იმ კარში, რომელშიც ადგილობრივი ქომაგები ისურვებდნენ. მას მერე, რაც თითქმის ყველა შეეგუა ფრეს, **ნიკოლოზ მაისურაძე** მცველებს გაექცა, მეკარესთან პირისპირ დარჩა და ახლო კუთხეში გაიტანა. ამის შემდეგ „ბაიას" თამაში სრულიად მოიშალა. სიტუაცია ვერც ახალი თავდამსხმელის გამოსვლამ შეცვალა - **გოგი ფიფიამ** ზუგდიდელთა თამაშში გარდატეხის შეტანა ვერ შეძლო.

თუმცა „ბაია" მაინც ცდილობდა ანგარიშის გათანაბრებას, განსაკუთრებით ზამბიელი ლეგიონერი, მასპინძელთა შორის უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელი ჩისამბა ლუნგუ აქტიურობდა, მაგრამ ვერც ამან მოიტანა შედეგი. მის მიერ შორიდან დარტყმული ბურთებიდან - ერთი მეკარემ აილო, მეორე კი მცირედით ასცდა კარს. ამასობაში „სპარტაკმა" მეორე გოლიც გაიტანა - შეტევაში გართულმა ზუგდიდელებმა საკუთარი კარის დაცვა ვერ შეძლეს და 89-ე წუთზე, შეცვლაზე შესულმა **კანდელაკმა** საბოლოო წერტილი დასვა - 0:2.

### მატჩის შემდეგ

**ელგუჯა ქომეთიანი (ბაია):** „ამ სამწუხარო მარცხით ჩვენი გუნდი კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდა. წაგების მიზეზად შეუთამაშებლობას მივიჩნევ. დიდი ხანი არ არის, რაც ახალი ფეხბურთელები დაგვემატნენ, გამოცდილება გვაკლდა და შედეგიც სახეზეა".

**გელა ინალიშვილი (სპარტაკი):** „მიუხედავად ჩვენი ტაქტიკისა, დაცვაზე ორიენტირებული ფეხბურთი არ გვითამაშია. მეორე ტაიმში უპირატესობა აშკარად ჩვენს მხარეზე იყო და საბედნიეროდ, ფეხბურთელებმა მომენტების რეალიზება შეძლეს. რა თქმა უნდა, თამაშის ხარისხით კმაყოფილები ვართ - სტუმრად მოგება ადვილი არ არის. ვიტყოდი, ჩვენმა ფეხბურთელებმა გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარეს".

**ირაკლი ლაგვილავა**
ზუგდიდიდან

| გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 18 | 14 | 3 | 1 | 42-13 | 45 |
| 2. ზესტაფონი | 19 | 11 | 6 | 2 | 32-16 | 39 |
| 3. დინამო | 19 | 10 | 5 | 4 | 33-12 | 35 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 18 | 9 | 6 | 3 | 26-18 | 33 |
| 5. სპარტაკი | 20 | 8 | 5 | 7 | 28-30 | 29 |
| 6. სამტრედია | 18 | 6 | 4 | 8 | 24-35 | 22 |
| 7. სიონი | 19 | 3 | 8 | 9 | 12-26 | 17 |
| 8. გაგრა | 19 | 3 | 5 | 12 | 19-34 | 14 |
| 9. ბაია | 19 | 3 | 3 | 13 | 15-29 | 12 |
| 10. ლოკომოტივი | 19 | 1 | 7 | 11 | 7-24 | 10 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 18 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 13 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 11 |
| გაბედავა (გაგრა) | 10 |

### მომდევნო ტური

**16 თებერვალი, სამშაბათი**

დინამო-სპარტაკი
ვიტ ჯორჯია-სიონი

**17 თებერვალი, ოთხშაბათი**

ზესტაფონი-გაგრა
ოლიმპი-სამტრედია
ბაია-ლოკომოტივი

### დღეს

**სამტრედია-ზესტაფონი**

13.02. სამტრედია.
ე. მანჯგალაძე
**14:00**

წინა მატჩები: 0:2, 2:4

დისკვალიფიკაცია: არავინ

XX ტურის მატჩები:
სიონი-დინამო
გაგრა-ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი-ოლიმპი
უამინდობის გამო გადაიდო

# სხვა საშველი არაა



ასე გამოიყურებოდა გუშინ ფოლადის სტადიონი

ლევან ჯანეზაშვილის ფოტო

ეროვნული ჩემპიონატის სრულყოფილად განახლებას არა და არ დაადგა საშველი. ბოლო დღეებია, სინოპტიკოსებს დავემსგავსეთ და საფეხბურთო ბატალიების ნაცვლად, კლიმატურ მოვლენებზე გვიწევს საუბარი. ბუნებამ იმგვარად ინება, რომ უკვე მეორედ, თოვლი ზუსტად ტურის დაწყების წინ მოდის. თუკი წინა ტურში ორი მატჩი გადაიდო, ამჯერად უკვე სამი შეხვედრის ჩატარება ვერ მოხერხდა.

გლდანში მდებარე „ამერის" სტადიონის მდგომარეობა იმთავითვე საგანგაშო იყო და იქ „გაგრა"-"ვიტ ჯორჯიას" თამაშის ჩატარება დილიდანვე გამოირიცხა. სამაგიეროდ, რჩებოდა იმის მცირე იმედი, რომ რუსთავის „ფოლადზე" მაინც მოხერხდებოდა „სიონი"-"დინამოს" მატჩის გამართვა. სტადიონზე ორივე გუნდი მივიდა, ფეხბურთელები მოსათელად მოედანზე გავიდნენ, მაგრამ, საბოლოოდ, იქ თამაშიც შეუძლებელი აღმოჩნდა.

გადაიდო დღეისათვის დაგეგმილი „ლოკომოტივი"-"ოლიმპიც", რომელიც ასევე რუსთავში (!) იყო დანიშნული. „ფოლადზე" კი მოედნის ნიჩბებით გაწმენდა დაუშვებელია, ამ მეთოდით ბალახის საფარიდან თოვლის აღება შეიძლება, ხელოვნური გაზონი კი ზიანდება. ისიც კარგად გეხსომებათ, რომ „ოლიმპისა" და „ფოლადის" მესვეურებს გაზონის თოვლისგან გასაწმენდი დანადგარი არ გააჩნიათ და ამიტომაც ისინიც და გულშემატკივრებიც გამოდარების იმედადღა არიან.

მოკლედ, ჩემპიონატის მეორე ეტაპის ორი ტურის მატჩების ზუსტად ნახევარი რუსთავში უნდა გამართულიყო, მაგრამ ამ ხუთიდან მხოლოდ ერთის, „სიონი"-"სპარტაკის" ჩატარება მოხერხდა. შედეგად, მეორე ეტაპის ისედაც შემჭიდროვებული კალენდრის გადამკიდე, უკვე ლამის წარმოუდგენლად მოჩანს, როდის უნდა გაიმართოს გამოტოვებული თამაშები. მეორე ეტაპის საწყისი ათი მატჩიდან უკვე ხუთია გადადებული (იმედია, დღეს დანიშნული „სამტრედია"-"ზესტაფონი" მეექვსე არ იქნება).

ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შემდეგი ტურიც კარსაა მომდგარი - სამშაბათს და ოთხშაბათსაა დაგეგმილი. რუსთავში კი წესით, კვლავ ორი შეხვედრა უნდა გაიმართოს. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ამინდის პროგნოზი არცთუ საიმედოა და მზის გამოსვლის შემთხვევაშიც, მოედანზე თოვლის გადნობას გარკვეული დრო სჭირდება, „ვიტ ჯორჯია"-"სიონისა" (სამშაბათს) და „ოლიმპი"-"სამტრედიას" (ოთხშაბათს) ჩატარებაც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. წესით, ეროვნული სტადიონის თოვლისგან გაწმენდა ამჯერადაც უნდა მოხერხდეს და ალბათ, სამშაბათს „დინამოსა" და „სპარტაკის" დაპირისპირებას ხელი არ შეეშლება. ოთხშაბათს კი „ზესტაფონი" „გაგრას" უმასპინძლებს, ხოლო „ბაია" - „ლოკომოტივს". ჯერჯერობით, დასავლეთ საქართველოში დიდთოვლობა არაა (სამაგიეროდ, გუშინ ძლიერი ქარი იყო) და ამ ორი მატჩის გამართვის რეალური იმედიც არსებობს.

საქართველოს პროფესიული ლიგის საშეჯიბრო კომიტეტიდან რამდენიმე დღის წინ გვითხრეს, რომ გადადებული თამაშებისთვის სულ ორი სარეზერვო დღეა გამოყოფილი. უკიდურეს შემთხვევაში, ჩემპიონატის გამოტოვებული მატჩები შეიძლება თასის ნახევარფინალებთან ერთად ჩატარდეს, მაგრამ რა უნდა ქნას მაგალითად, „ვიტ ჯორჯიამ", რომელიც თასის ნახევარფინალშიც გავიდა, უკვე ორი მატჩიც გადაედო და დიდია იმის ალბათობა, რომ ზედიზედ მესამე შეხვედრაც გაუცდეს?!

ბევრად უკეთეს მდგომარეობაში არც „ფოლადის" „მთავარი" მასპინძელი „ოლიმპია", რომელსაც, „ვიტ ჯორჯიას" მსგავსად, მეორე ეტაპის ორივე მატჩი გაუცდა. ოღონდ, რუსთაველებს ერთი შეღავათი აქვთ - თასიდან უკვე გავარდნილები არიან და შესაბამისად, ჩემპიონატის გამოტოვებული შეხვედრების გამართვას სათასო დღეებში შეძლებენ.

რაც შეეხება თასის ნახევარფინალამდე მისულ სხვა გუნდებს - „დინამოს", ჯერჯერობით, ჩემპიონატის მხოლოდ ერთი მატჩი გაუცდა და შედარებით ნორმალურ ვითარებაშია. კიდევ ერთ ნახევარფინალისტ „სპარტაკს" ტური ჯერ არ გამოუტოვია და ამიტომაც მის წევრებს სანერვიულო არაფერი აქვთ, "ვიტ ჯორჯიას" სათასო მეტოქე „მარტვილი" კი პირველლიგელია, სადაც ჩემპიონატი ჯერ არ განახლებულა.

რაც შეეხება „ზესტაფონს", მატჩი ფეროელებს არც გადასდებიათ და არც თასისთვის ბრძოლას აგრძელებენ. მოკლედ, უმაღლესი ლიგის ბინადართაგან გადალლისა და უსიამოვნებების ყველაზე კარგი „პერსპექტივა" „ვიტ ჯორჯიას" აქვს, სხვებთან შედარებით მშვიდად კი დღეისათვის „სპარტაკი" და „ზესტაფონი" არიან.

დრო კი არ ითმენს, ვალდებულები ვართ, სეზონი დაგეგმილ დროს დავასრულოთ. წარმოქმნილი პრობლემის მიზეზები კი უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავში უნდა ვეძიოთ და არა ამინდში. საქართველო აფრიკის კონტინენტზე არ მდებარეობს, რომ ვინმეს თოვლი გაუკვირდეს. შესაბამისად, თუ ჩემპიონატის მატჩებს თებერვალში ვნიშნავთ, ამ თვისთვის დამახასიათებელი ამინდის ჭირვეულობისთვისაც მზად უნდა ვიყოთ, ხოლო თუ არც თითებზე ჩამოსათვლელი სტადიონების წესრიგში მოყვანის თავი გვაქვს, მართლა სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ ჩემპიონატის სისტემის შეცვლაზე. ამ თემაზე რამდენიმე დღის წინ ვრცლად ვისაუბრეთ და ვფიქრობთ, ეს საკითხი მინიმუმ განსახილველად მაინც ღირს.

**ლევან ჯანეზაშვილი**
რუსთავი-თბილისი

საქართველო-ესტონეთი | ამხანაგური მატჩის წინ




# 12 მოკვეთილის დაბრუნება

## ქეცბაიამ შემადგენლობა დაასახელა

ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ** ესტონეთთან 3 მარტის ამხანაგური მატჩისთვის შემადგენლობა დაასახელა. მოგეხსენებათ, ეროვნული გუნდის თავკაცის პოსტზე დებიუტი მას სწორედ ბალტიისპირელებთან ექნება. ამ თამაშისთვის ქეცბაიამ 21 ფეხბურთელი შეარჩია:

მეკარეები - გიორგი ლომაია (ინტერი, აზერბაიჯანი), ნუკრი რევიშვილი (ანჟი, რუსეთი), გიორგი ლორია (დინამო);

მცველები - კახა კალაძე (მილანი, იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი (რედინგი, ინგლისი), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), ლაშა სალუქვაძე, დავით კვირკველია (ორივე რუბინი, რუსეთი), გიორგი შაშიაშვილი (ერგოტელისი, საბერძნეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი (სპარტაკი ნალჩიკი, რუსეთი) გურამ კაშია (დინამო);

ნახევარმცველები - ლევან კობიაშვილი (ჰერტა, გერმანია), ჯაბა კანკავა (დნიპრო, უკრაინა), ილია კანდელაკი (შტურმი, ავსტრია), ზურაბ მენთეშაშვილი (ჰაპოელი თ-ა, ისრაელი), გოგიტა გოგუა (სპარტაკი ნალჩიკი, რუსეთი);

თავდამსხმელები - ალექსანდრე იაშვილი (კარლსრუე, გერმანია), ლადო დვალიშვილი (მაქაბი ჰაიფა, ისრაელი), დავით სირაძე (სპარტაკი ნალჩიკი, რუსეთი), ოთარ მარცვალაძე (ვოლგა, რუსეთი), გიორგი მერებაშვილი (ვოივოდინა, სერბეთი).

როგორც ხედავთ, გოლკიპერთაგან ქეცბაიამ **კახა ცხადაძის** ბაქოს „ინტერიდან" **გიორგი ლომაია** გამოიძახა. ყაზანის რუბინიდან მახაჩყალის „ანჟიში" ამ ზამთარს გადაბარგებული **ნუკრი რევიშვილი** და „დინამოს" მთავარი მეკარე **გიორგი ლორია** კი ეროვნულში დააბრუნა. ნაკრების თავკაცმა შეცვალა მეკარეთა სამეული, რომელშიც უკვე აღარ არიან „ზესტაფონის" კიპერი **ზურაბ მამალაძე** და „ვიტ ჯორჯიას" მეკარე **გრიგოლ ბედიაშვილი**.

ძველ-ახალი სახეები მცველებს შორისაც არაერთია. როგორც მოსალოდნელი იყო, ქეცბაიას სიაში არიან მოსკოვის „ლოკომოტივის" მცველი **მალხაზ ასათიანი** და ყაზანის „რუბინის" უკანახაზელები, **ლაშა სალუქვაძე** და **დავით კვირკველია**. დიდი პაუზის შემდეგ ეროვნულში კვლავაა გამოძახებული ნალჩიკის „სპარტაკის" მცველი **ალექსანდრე ამისულაშვილი**, რომელიც გასულ სეზონში რუსულ პრემიერლიგაში ერთ-ერთი გამორჩეული იყო. გარკვეული პერიოდის შემდეგ ისევ მიიღებს ნაკრებიდან გამოძახებას „ერგოტელისის" მცველი **გიორგი შაშიაშვილი**.

უკანა ხაზის ფეხბურთელებიდან ეროვნულის სიაში ველარ მოხვდა „ზესტაფონის" მცველი **უჩა ლობჟანიძე**, რომელიც **ექტორ კუპერის** ფორმაციის გუნდში სტაბილურად ძირითად შემადგენლობაში იყო. ასევე აღარ არიან ჩამონათვალში პერიოდულად მოთამაშე ფეხბურთელები: დანიური „ვიბორგიდან" **გიორგი ფოფხაძე**, „ვიტ ჯორჯიადან" **ალექსანდრე კვახაძე**, აზერბაიჯანული „სიმურგიდან" რუსთავის „ოლიმპში" დაბრუნებული **თემურ ლონლაძე** და ფრანგული „ლე მანიდან" **ამირან სანაია**, რომელსაც მთავარ გუნდში, სათასო შეხვედრაში დებიუტი უკვე ჰქონდა. და კიდევ ერთი - „მიუნხენ 1860-ის" მცველი **მათე ლვინიანიძე**, რომელიც 2008 წლის 11 ნოემბერს რუმინეთში გამართული ამხანაგური მატჩის შემდეგ ეროვნულ გუნდში აღარც კუპერს გამოუძახებია.

ნახევარმცველებს შორის 4 ისეთი ფეხბურთელია, რომლებიც კარგა ხანია ეროვნულში არ გამოჩენილან. კერძოდ, გრაცის „შტურმის" ფეხბურთელი **ილია კანდელაკი**, თელ-ავივის „ჰაპოელის" ნახევარმცველი **ზურაბ მენთეშაშვილი** და ნალჩიკის „სპარტაკის" შუახაზელი **გოგიტა გოგუა**. „დნიპროს" საყრდენ ნახევარმცველ **ჯაბა კანკავას** კი ტრავმის გამო საკმაო პერიოდი ისედაც გაუცდა. ეგრეთ წოდებული კუპერიის სიიდან ეროვნულში ამჯერად აღარ გამოიძახეს **დავით დევდარიანი** დანიური „ორჰუსიდან", **ლუკა რაზმაძე** „ვიტ ჯორჯიადან" და ყოფილი თბილისის დინამოელი **ლევან ხმალაძე**, რომელიც ახლახან ჰაიფას „ჰაპოელში" გადავიდა.

თავდამსხმელებიდან მეტ-ნაკლები პაუზის შემდეგ ისევ არიან ეროვნულში ნალჩიკის „სპარტაკის" ფორვარდი **დავით სირაძე** და მახაჭყალის „ანჟიდან" „ვოლგაში" ამ ზამთარს გადასული თავდამსხმელი **ოთარ მარცვალაძე**.

საერთო ჯამში, ქეცბაიას მიერ გამოძახებული 21 ფეხბურთელიდან, ჯაბა კანკავას თუ არ ჩავთვლით, 12 ისეთი მოთამაშეა (რევიშვილი, ლორია, ასათიანი, ამისულაშვილი, კანდელაკი, გოგუა, სალუქვაძე, კვირკველია, შაშიაშვილი, მენთეშაშვილი, სირაძე, მარცვალაძე ), რომლებიც გარკვეული პაუზის შემდეგ ეროვნულ გუნდს დაუბრუნდნენ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ჩემპიონატიდან ნაკრებში ამჯერად მხოლოდ 2 მოთამაშეა გამოძახებული. ნაკრებში დაბრუნებულები და სიის მიღმა დარჩენილები უბრალოდ, თვალსაჩინოებისთვის გამოვარჩიეთ. ეროვნულში გამოძახებულთა კონტინგენტის შერჩევა, მთავარი მწვრთნელის პრეროგატივაა და მის კომპეტენციაში ჩარევა არც კი გაგვიფიქრებია.

ქეცბაიას სიაში არ არის ჩვენი ფეხბურთის ორი მთავარი იმედი - **ლევან ყენია** (გელზენკირხენის „შალკეს" ნახევარმცველი) და მოსკოვის „სპარტაკის" ვუნდერკინდი **ჯანო ანანიძე**. საქმე ის გახლავთ, რომ ტრავმისა და ოპერაციის შემდეგ, ყენია ჯერაც სარეაბილიტაციო პროცესს გადის. ანანიძე კი **მათე ვაწაძის** (რომელიც ორ-სამჯერ ეროვნულში იყო გამოძახებული), ეროვნულ და 21-წლამდელთა ნაკრებების თავკაცთა შეთანხმების შემდეგ, ამჯერად ახალგაზრდულის სიაში იქნებიან.

რაც შეეხება სანაკრებო მზადებას. თემურ ქეცბაია, მისი ასისტენტი **სოსო ჭედია**, მეკარეების მწვრთნელი **მამუკა აბუსერიძე** და ფიზიკური მომზადების სპეციალისტი **მიხალის მიხალისი** (რომელიც ქეცბაიასთან ერთად ფამაგუსტის „ანორთოსისსა" და პირეოსის „ოლიმპიაკოსში" მუშაობდა) ეროვნულ გუნდს 28 თებერვალს თბილისში, ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" შეკრებენ („ბასაში" ახლა სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც 25 თებერვალს უნდა დასრულდეს). 1 მარტისთვის ნაკრები სრულად იქნება შეკრებილი. 3 მარტს, 17 საათზე თემურ ქეცბაიას გუნდი, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ესტონეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს გამართავს.

**დავით ცაბაძე**

ერთი ტრანსფერის გამო...

# სერბული ტრამპლინი

**... წინდაწინ** უნდა ვთქვათ: **გიორგი მერებაშვილის სერბულ „ვოივოდინაში" გადასვლამ გაორებული განცდა დაგვიტოვა, თან, რატომღაც დარწმუნებული ვართ, რომ არა მხოლოდ ჩვენ...**

გაორებული, ალბათ, იმიტომაც, რომ ქართველ ქომაგს მუდამ ახარებს თანამემამულის ძლიერ უცხოურ კლუბში გადასვლა. მეორე მხრივ, ასეთ შემთხვევებში ყოველთვის ჩნდებახოლმე „ბუნებრივი" კითხვა: რამდენად „შესაფერის" კლუბში გადავიდა ესა თუ ის ქართველი ფეხბურთელი? ამ განზოგადებულ პრობლემაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ და მხოლოდ ამ ბოლოდროინდელ ქართულ-ევროპულ ტრანსფერზე მოგახსენებთ: უკანასკნელი სამი-ოთხი სეზონის საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი **გიორგი მერებაშვილი** ამიერიდან სერბეთის „ვოივოდინაში" იასპარეზებს; ევროპული მასშტაბით არაფრით გამორჩეული ლიგის სიძლიერით მესამე გუნდში („ცრვენა ზვეზდასა" და „პარტიზანის" შემდეგ). მერებაშვილის ევროპაში ტრანსფერი მოულოდნელი არავისთვის უნდა ყოფილიყო - უკვე მეორე წელიწადია, ეს ნიჭიერი ფეხბურთელი რამდენიმე ცნობილი უცხოური კლუბის ინტერესის სფეროშიც მოექცა. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, მერებაშვილის შეძენით დაინტერესებული ყველა ის უცხოური კლუბი (თურქული „ტრაბზონსპორი", ბერძნული „პანათინაიკოსი", ბელგიური „ანდერლეხტი", უკრაინული „მეტალისტი" და... გერმანული „ვერდერი"), სერბულ „ვოივოდინაზე" ბევრად სახელიანი, ფინანსურად ძლიერი და, რაც მთავარია, პრესტიჟულიც რომ იყო. თუმცა, როგორც თვითონ ფეხბურთელი აცხადებს, სერბულ კლუბში გადასვლა ერთგვარი „ტრამპლინისთვის" სჭირდება - იქიდან რომ უფრო ძლიერ ჩემპიონატსა და ძლიერ გუნდში მოსინჯოს ძალები. რა თქმა უნდა, თვითონ ფეხბურთელის გადასაწყვეტია, კარიერას რომელ გუნდში გააგრძელებს. უბრალოდ, გული გვწყდება, რომ უკვე მერამდენედ დამაფიქრებელ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ქართველმა ფეხბურთელებმა ოღონდ აქაური ჩემპიონატიდან „გაასწრონ" და სხვაგან ყველგან წამსვლელნი არიან!

მერებაშვილის წასვლა „დინამოს" ხელმძღვანელობისთვისაც დიდი მოულოდნელობა არ უნდა ყოფილიყო; ადრე თუ გვიან ეს უნდა მომხდარიყო და ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ლამის მეორე წელიწადია, ამ ახალგაზრდა ფეხბურთელის სავარაუდო ტრანსფერზე ხმები მოდიოდა. სხვანაირად ვერც იქნებოდა - ჩვენს ჩემპიონატში ბოლო დროს თუ ვინმე იყო გამორჩეული, სწორედ „დინამოს" შემტევი, ფეხბურთელი, ინდივიდუალურად რომ შეეძლო კონკრეტული მატჩის ბედის გადაწყვეტა. უფრო მეტიც: **სანდრო იაშვილის** წასვლის მერე, საქართველოს ჩემპიონატში მერებაშვილი გახლდათ ყველაზე გამოკვეთილი „ფიგურა". თანაც, უცხოელ მენეჯერებსა თუ სელექციონერებს ქართველ ფეხბურთელში მხოლოდ ძლიერი ინდივიდუალური თვისებები როდი მოსწონდათ: მერებაშვილს ხომ ერთნაირი წარმატებით შეეძლო შეტევის ორივე ფლანგზე, თავდამსხმელების უკან თუ გამოკვეთილი ცენტრფორვარდის პოზიციაზე თამაში. ეგ კი არა, შემთხვევები ყოფილა, ფლანგის ნახევარმცველადაც გვინახავს, მაგრამ ამ ბიჭის სტიქია მაინც შეტევა იყო: ეფექტურ დრიბლინგს ზუსტ და ძლიერ დარტყმას რომ „მოაყოლებდა" ხოლმე. ჰო, დრიბლინგი „შემთხვევით" არ გვიხსენებია; არაერთხელ ყოფილა (განსაკუთრებით, უკანასკნელ პერიოდში), როცა ბევრისგან (მათ შორის, ამ სტრიქონების ავტორისგანაც) კრიტიკაც მიუღია... ზედმეტად ინდივიდუალური თამაშის გამო. არადა, მოედნის ჩინებული ხედვით გამორჩეულ ფეხბურთელს ეშმაკური და ზუსტი პასებიც ეხერხება, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირად ისე „გაერთობოდა" ფინტებით, გეგონებოდა, მეტოქის ყველა ფეხბურთელის მოტყუებას აპირებსო...

... გიორგი მერებაშვილს „დინამოს" გარდა სხვაგან არსად უთამაშია; ეგ კი არა, ბევრი თანატოლისგან განსხვავებით ძირითად შემადგენლობაში დებიუტი შედარებით გვიან, 21 წლის ასაკში ჰქონდა. მანამდე კი ჯერ ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის ჭაბუკთა აკადემიაში იყო, 2004 წლიდან კი „დინამო-2"-ში ჩაირიცხა. **გურამ კაშია, ნიკა ფირცხალავა, ლადო დვალიშვილი, ჯაბა დვალი, უჩა ლობჟანიძე, გიორგი ნავალოვსკი, ირაკლი ჩირიკაშვილი, მათე ვაწაძე, დავით გიგაური, შოთა გრიგალაშვილი, გიორგი ლომაია, გულვერდ თომაშვილი** - ერთი-მეორეზე უკეთესი და ნიჭიერი ბიჭები თამაშობდნენ იმდროინდელ „დინამო-2"-ში, მთავარ მწვრთნელად მოგვიანებით **კახა კაჭარავა** რომ დაუნიშნეს. თითქმის ყველა ზემოთჩამოთვლილმა ფეხბურთელმა... მერებაშვილზე ადრე „დააჭაშნიკა" უმაღლესი ლიგა, ზოგმა „დინამოს" ძირითადში დაიმკვიდრა ადგილი, ზოგი სხვა გუნდებში გადავიდა, მერებაშვილი კი საკუთარ შანსს დიდხანს და მოთმინებით ელოდა და აი, ეს შანსიც მიეცა. თან, მის დებიუტს არც სიმბოლური ეთქმოდა (აი, ხანდახან, ბოლო წუთზე რომ შემოიყვანენ ხოლმე ახალგაზრდა ფეხბურთელს) და არც „ჩვეულებრივ" მატჩში სუსტ მეტოქესთან, როცა თამაშის ბედი გადაწყვეტილია. ჰო, ფაქტობრივად, 2005 წლის 14 სექტემბერს გაიცნო კიდეც ქართულმა საფეხბურთო სამყარომ მანამდე ყველასათვის უცნობი 21 წლის გიორგი მერებაშვილი! ეს ყველაფერი კი საქართველოს სუპერთასის მატჩში მოხდა, როცა თბილისური გუნდები - „დინამო" და „ლოკომოტივი" ამ საპატიო პრიზისთვის ბათუმში შეხვდნენ ერთმანეთს. „დინამოს" იმდროინდელმა თავკაცმა **კახა ცხადაძემ** ახალგაზრდა დებიუტანტს ძირითად შემადგენლობაში ადგილი ანდო. თან კონკრეტული დავალებაც მისცა: მეტოქის უპირობო ლიდერის **დავით სირაძის** განეიტრალება! მერებაშვილმა სადებიუტო შეხვედრა, მართლაც შთამბეჭდავად ჩაატარა: მწვრთნელის დავალებაც ჩინებულად შეასრულა და ორ ეპიზოდში გოლის გატანაც შეეძლო. სწორედ იმ დღეს მოიპოვა მერებაშვილმა პირველი აქაური ტიტული, ოთხი დღის მერე კი „ვიტ ჯორჯიას" წინააღმდეგ ჩატარებულ შეხვედრაში უკვე საქართველოს ჩემპიონატშიც დებიუტი ჰქონდა. აი, იქიდან მოყოლებული ოთხწელიწად-ნახევრის განმავლობაში უკვე „დინამოს" შეუცვლელ ფეხბურთელად და ლიდერად ჩამოყალიბდა და ყოველივე ამას მუდამ ამტკიცებდა საშინაო ასპარეზსა თუ ევროტურნირებზე. თუნდაც, შარშანდელი ზაფხული გავიხსენოთ, როცა ერთმანეთზე შთამბეჭდავი საშინაო მატჩები ჩაატარა ჯერ ლიეპაიას „მეტალურგსის", მერე კი - ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" წინააღმდეგ. სამწუხაროდ, სერბულ გუნდთან აქაურ შეხვედრაში სრულიად უწყინარ სიტუაციაში გაფრთხილება მიიღო, რის გამოც განმეორებითი მატჩის გამოტოვება მოუხდა. **კახა ცხადაძე, ანდრეი ჩერნიშოვი, დუშან უჰრინი, რაინერ ცობელი, კახა კაჭარავა**, - „დინამოში" ამ მწვრთნელებთან მოუწია ურთიერთობამ და თითქმის ყველა ამ სპეციალისტისთვის გუნდის ლიდერად მოიაზრებოდა. ტიტულების „მოგროვებაც" დაიწყო: სერბეთში ისე მიემგზავრება, ყველა სინჯის მედალი (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო) აქვს, პლუს „დინამოსთან" ერთად საქართველოს თასიც მოიპოვა და სუპერთასიც.

2006 წლის 21 მარტს კი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ჰქონდა დებიუტი - **რალფ მინგეს** ხელმძღვანელობით პირველი მატჩი ალბანელ თანატოლებთან ჩაატარა; მერე გარკვეული პერიოდი ამ ნაკრებში აღარ იძახებდნენ, ვიდრე **პეტარ შეგრტი** არ დააბრუნებდა - მერებაშვილი ჩვენი 21-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. თუმცა, დღესაც უცნობია, თუ რატომ არ მიიღო მონაწილეობა (თანაგუნდელ **გურამ კაშიასთან** ერთად) საქართველო-რუსეთის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩში...

სამაგიეროდ, სწორედ პეტარ შეგრტის ხელმძღვანელობით ჩაატარა ეროვნულ ნაკრებში პირველი შეხვედრა - 2008 წლის 31 მაისს ჩვენი უპირველესი გუნდი ამხანაგურ მატჩში სტუმრად პორტუგალიას გაეჯიბრა. ამის შემდეგ ჩვენს ნაკრებში **ექტორ რაულ კუპერის** „ეპოქა" დაიწყო და არგენტინელი სპეციალისტი თავიდან თუ არ ენდობოდა საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ფეხბურთელს, 2008 წლის შემოდგომიდან სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ბულგარეთი, რუმინეთი, ისლანდია, ჩერნოგორია, მოლდოვა, ალბანეთი, მალტა - აი, ამ ქვეყნების ნაკრებების წინააღმდეგ უწევდა მერებაშვილს თამაში; ოღონდ, თუ არ ვცდებით, მხოლოდ ორჯერ იყო, ძირითადში რომ დაიწყო თამაში - დანარჩენ შემთხვევებში უფრო შეცვლებზე შემოდიოდა. წესითა და რიგით, ახლა უფრო მეტი სანაკრებო ამბიცია ექნება - მთავარია, სერბულ კლუბში, რაც შეიძლება მალე დაიმკვიდროს ადგილი.




დაბოლოს, იმასაც ვიტყვით, რომ გიორგი მერებაშვილი საქართველოს ფეხბურთის პროფესიული ლიგის გამოკითხვით ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი იყო; ასევე, ორჯერ გაიმარჯვა გაზეთ „მსოფლიო სპორტის" გამოკითხვაში, ხოლო 2008-09 წლების სეზონში ქართველი სპორტული ჟურნალისტების რჩეულიც გახლდათ!

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

U 21

შესარჩევი მატჩის წინ

# ახალგაზრდულში ბევრი ახალია

## თარგამაძე ნაკრებს უბრუნდება



ცნობილი გახდა იმ ფეხბურთელთა სია, რომელთაც **ოთარ გაბელია** 3 მარტს ესტონეთის ახალგაზრდული ნაკრების წინააღმდეგ გასამართ საკვალიფიკაციო შეხვედრაში დაეყრდნობა. მატჩს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი უმასპინძლებს. საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ოთარ გაბელიამ** საკუთარი არჩევანი გუშინ გამოამზეურა:

მეკარეები - **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი), **გიორგი ბახტაძე** (დიორი ეტო, უნგრეთი);

მცველები - **ლევან კაკუბავა, გულვერდ თომაშვილი** (ორივე დინამო), **გიორგი ხიდეშელი, მამუკა კობახიძე** (ორივე ზესტაფონი), **გიორგი ხატიაშვილი** (ლოკომოტივი), **ამირან სანაია** (ლე მანი, საფრანგეთი), **ლაშა თოთაძე** (დიორი ეტო, უნგრეთი), **ნიკა კვეკვესკირი** (ბაია);

ნახევარმცველები - **ჯანო ანანიძე** (სპარტაკი მოსკოვი, რუსეთი), **დავით თარგამაძე** (ფრაიბურგი, გერმანია), **ნიკა ძალამიძე** (ცსკა, რუსეთი), **ირაკლი ჩაფიძე** (ლოკომოტივი-2 მოსკოვი, რუსეთი), **გიორგი განუგრავა** (დიორი ეტო, უნგრეთი), **თემურ შონია, ივანე კანდელაკი** (ორივე სპარტაკი ცხინვალი), **მურთაზ დაუშვილი** (ზესტაფონი), **თორნიკე ოქრიაშვილი** (გაგრა), **ირაკლი კლიმიაშვილი** (ვიტ ჯორჯია);

თავდამსხმელები - **გიორგი ივანიშვილი** (ვოლენი, შვეიცარია), **გიორგი გაბედავა** (გაგრა), **მათე ვაწაძე** (დინამო), **რევაზ ბარაბაძე** (ანჟი, რუსეთი), **ირაკლი შეყილაძე** (ემპოლი, იტალია).

ახალწვეულები არიან „ზესტაფონში" წელს ჩარიცხული 17 წლის ნიჭიერი მცველი **მამუკა კობახიძე**. ის 19-წლამდელთა ნაკრების წევრი გახლდათ, აქამდე კი ჭაბუკთა ლიგაში „საბურთალოში" თამაშობდა.

გაბელია ასევე პირველად დააკვირდება მოსკოვის „ლოკომოტივი 2-ის" ნახევარმცველ **ირაკლი ჩაფიძეს**, ცხინვალის „სპარტაკის" შუახაზელ **ივანე კანდელაკსა** და „ემპოლის" თავდამსხმელ **ირაკლი შეყილაძეს**. „დიორი ეტოს" მეკარე **გიორგი ბახტაძე** ადრეც გამოიძახა, მაგრამ ორ მეკარეს შორის პირველად დაასახელა. ნაკრებში ბრუნდება „ფრაიბურგის" მოთამაშე **დავით თარგამაძე**.

ასე რომ, ახალგაზრდულის მთავარი მწვრთნელი ესტონელებს სიახლეებით ეგებება. გუნდი ან „თბილისი მერიოტში" დაბინავდება, ან „ქორთიარდ მერიოტში", ვარჯიშები კი თენგიზ სულაქველიძის სახელობის აკადემიაში დაიგეგმა, თუ ამ გეგმაში ამინდმა არ შეიტანა კორექტივები...

ტრანსფერის მოლოდინში

# გიორგი გაბედავა მარიუპოლში

## ფანცხავა ისევ ლე მანთან გაარკვევს...

**გუშინ „გაგრა"-"ვიტ ჯორჯიას" შეხვედრა დიდთოვლობის გამო ჩაიშალა და ყურადღების მიღმა დარჩა ერთი საინტერესო სატრანსფერო სიახლე: მასპინძელთა განაცხადში არ იყო თავდამსხმელი და გუნდის ლიდერი გიორგი გაბედავა. როგორც შევიტყვეთ, 20 წლის ფორვარდის აყვანა უკრაინის უმაღლესლიგელ მარიუპოლის „ილიჩევეცს" სურს, გუნდს, რომელსაც „გაგრა" ანთალიაში მოსამზადებელ ეტაპზე შეხვდა და 3:0 მოუგო. მართალია, ამ შეხვედრაში გიორგის გოლი არ გაუტანია, მაგრამ კარგად ითამაშა და ეტყობა, ამანაც გაამყარა უკრაინელთა ინტერესი, მანამდე კი იყო მარცხი (2:3) ყაზახურ „ტობოლთან", რომელსაც გიორგიმ ორი გოლი გაუტანა...**

**მოკლედ, სიტუაციაში გასარკვევად გაბედავას დავუკავშირდით...**

**- გიორგი, „გაგრა"-"ვიტ ჯორჯიას" განაცხადში რატომ არ იყავი?**

- (იცინის) რა ვიცი... არ დამაყენეს, 18 კაცში ვერ მოვხვდი.

**- მარიუპოლში როდის მიდიხარ?**

- არც ეს ვიცი. ორშაბათს ჩვენი პრეზიდენტის ზარს ველოდები...

**- ალბათ, უკრაინელებს უშუალოდ იმ საკონტროლო შეხვედრაში მოეწონე...**

- დიახ, ასე იყო. უკრანელებს 3:0 მოვუგეთ. მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა, მანამდე კი „ტობოლთან" 2:3 წავაგეთ, მაგრამ მე დუბლი შევასრულე და ეტყობა, მას შემდეგ მაკვირდებოდნენ. მე ეს არ ვიცოდი. მერე ჩვენი ჩემპიონატი დაიწყო და როგორც შევიტყვე, თბილისში „დინამოსთან" ჩვენს შეხვედრასაც დაესწრნენ. ამის შემდეგ ჩემი აყვანა საბოლოოდ გადაწყვიტეს.

**- უკრაინის უმაღლესი ლიგა საკმაოდ მაღალი დონის პირველობაა და იქ დამკვიდრება იოლი არ იქნება...**

- რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც მჯერა, რომ არ გამიჭირდება. ბოლოს და ბოლოს, ესპანეთში ან ინგლისში ხომ არ მივდივარ?! ისე არ გაიგოთ, თითქოს იქ თამაშს იოლად ვუყურებდე, ცუდი პირველობა არ არის, მაგრამ ჩემი სტილის ფეხბურთია და არ უნდა გამიჭირდეს.

**- სინჯებზე მიდიხარ თუ პირდაპირ კონტრაქტის გასაფორმებლად?**

- სინჯები რაღა საჭიროა, როცა ანთალიაში რამდენიმე შეხვედრაში მნახეს. ალბათ, ახლა მარიუპოლში პირადი კონტრაქტის გასაცნობად და ხელის მოსაწერად ჩავალ. წესით, უკრაინაში უახლოეს დღეებში უნდა გავემგზავრო.

**გოდერძი ჩიხრაძე**, „გაგრის" ვიცე-პრეზიდენტი: *„გიორგი უკრაინაში შაბათს უნდა გაემგზავროს. უკრაინელებს ძალიან მოეწონათ და მიაჩნიათ, რომ მას გუნდის გაძლიერება შეუძლია".*

მარიუპოლის „ილიჩევეცი" უკრაინის ჩემპიონატის აუტსაიდერია - პირველი წრის შემდეგ 16 გუნდს შორის მე-11 ადგილზეა. ამჟამად, მარიუპოლელები კვლავ თურქეთში ემზადებიან და გაბედავაც კლუბს ანთალიაში შეუერთდება. უკრაინის ჩემპიონატს კი „ილიჩევეცი" 6 მარტს საკუთარ მოედანზე კიევის „დინამოსთან" შეხვედრით განაახლებს.

ჩიხრაძის თქმით, „გაგრისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველ **ლაშა თოთაძის** ტრანსფერი უნგრულ „დიორი ეტოში" გადაწყვეტილია და მალე კონტრაქტსაც გააფორმებს. მისგან განსხვავებით, ჯერ გაურკვეველია თავდამსხმელ **ვახტანგ ფანცხავას** საკითხი, რომელიც ასევე „გაგრაში" თამაშობდა და კლუბის პრეზიდენტ **ბესო ჩიხრაძის** ხელშეწყობით გაემგზავრა ფრანგულ „ლე მანში", ხოლო შემდეგ ხარკოვის „მეტალისტში". საბოლოოდ, ფანცხავამ კლუბი საკუთარი ნებით დატოვა და ახლა ისიც ბედს „დიორი ეტოში" სცდის.

როგორც შევიტყვეთ, ფანცხავას ფრანგულ კლუბთან კონტრაქტზე გარკვეული საკითხები გასარკვევი აქვს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება, ჩაირიცხება თუ არა „ეტოში". მიუხედავად გაურკვეველი ვითარებისა, ჩიხრაძე ფიქრობს:

*„რადგან ფანცხავა კლუბიდან არ გამოუშვეს, ეტყობა, მის მიმართ ინტერესი ჯერ კიდევ აქვთ, მაგრამ აისახება თუ არა ეს ინტერესი საბოლოოდ კონტრაქტის გაფორმებაში, ეს ჯერ არავინ იცის".*



გიორგი გაბედავა

მოსალოდნელი ტრანსფერი



# კაშიას კუპერი იწვევს, ის კი ანდერლეხტზე ფიქრობს

## გოგა გახოკიძე: ბელგიაში ყველაფერს გავარკვევ

ორიოდე დღის წინ თბილისის „დინამო" ერთ-ერთმა ლიდერმა **გიორგი მერებაშვილმა** დატოვა და სერბეთის ვიცე-ჩემპიონ ნოვი სადის „ვოივოდინას" მიაშურა. არ არის გამორიცხული, გუნდი კიდევ ერთმა წამყვანმა მოთამაშემ, საქართველოს ნაკრების ცენტრალურმა მცველმა **გურამ კაშიამ** დატოვოს და კარიერა ბელგიურ გრანდ „ანდერლეხტში" გააგრძელოს. ეს რომ რეალობასთან ახლოსაა, ჩვენ მიერ მოპოვებული ფაქტითაც დასტურდება - კაშიას დაუკავშირდა ბელგიური კლუბის პრეზიდენტთან დაახლოებული ქართველი, რომლის გვარ-სახელიც ვერ დავადგინეთ. მხოლოდ ის ვიცით, რომ ეს პიროვნება 11 წლიდან ბელგიაში ცხოვრობს და „ანდერლეხტის" პრეზიდენტის სიძის პარტნიორია. ეს უკანასკნელი კი კლუბში სულაც არ სარგებლობს „სიძის" სტატუსით - ბელგიაში უმსხვილესი სამენეჯერო კომპანიის მფლობელია და გავლენიან პიროვნებად ითვლება...

22 წლის კაშიას კი რუსეთის პრემიერლიგაში ალზევებული მახაჩყალის „ანჟიში" გადასვლას დღემდე სთავაზობენ. გურამს დაღესტნური კლუბის მთავარი მწვრთნელი **ომარ თეთრაძე** და ერთ-ერთი ხელმძღვანელი დაუკავშირდნენ, მაგრამ დინამოელი ჯერჯერობით თავს იკავებს და ტრანსფერზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ ევროპული ვარიანტი არ გამოვა.

სხვათა შორის, ბოლო დროს აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია - ქართველი ფეხბურთელები რუსეთსა და უკრაინაში გადასვლას დიდი სიფრთხილით ეკიდებიან. გაგახსენებთ - კაშიას მიმართ სიმპათია საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილ მთავარ მწვრთნელ **ჰექტორ კუპერს** ჰქონდა და დინამოელს რეკომენდაციას უწევდა კიდეც „მალაგასა" და „მალიორკაში". საბოლოოდ, ეს ვარიანტები გამოირიცხა. კუპერმა კაშია არც მერე დაივიწყა და დეკემბერში რომ სალონიკის „არისში" დაინიშნა, მცველს იქაც უხმო. კაშიას თბილისის „დინამოსთან" კონტრაქტი მაისში უმთავრდება. მან საბერძნეთში გადასვლა არარეალურად ჩათვალა.

ამ დროისთვის, კაშიამ ბელგიელებთან დაიწყო მოლაპარაკება. კაშიას ტრანსფერზე ახალგაზრდა ქართველი მენეჯერი, საქართველოს ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი **გოგა გახოკიძე** მუშაობს. მიუხედავად ამ სფეროში ხანმოკლე საქმიანობისა, გახოკიძემ საკმაოდ ხმაურიანი და საინტერესო ტრანსფერები განახორციელა და, რაც მთავარია, მისი მიმართულება - ფეხბურთელების შუაგულ (ან ცოტა აქეთ, აღმოსავლეთისკენ) ევროპაში გადაყვანაა.

გახოკიძე დინამოელის „ანდერლეხტში" გადაყვანითაა დაინტერესებული და მალე ბელგიაში სწორედ ამ ტრანსფერის დეტალებზე მოსალაპარაკებლად გაემგზავრება. სხვათა შორის, გახოკიძე კლუბს **შოთა კაშიასთვისაც** ეძებს და მასაც ბელგიაში უპირებს დაბინავებას.

გურამს ბელგიელები გასინჯვას ზამთარშიც სთავაზობდნენ, მაგრამ „დინამოსთან" მოქმედი კონტრაქტის გამო, თანაც სინჯებზე წასვლა, მიუღებლად ჩათვალა. ახლა კი ყველაფერი თავიდან დაიწყო. დავუკავშირდით გოკა გახოკიძეს, რომელმაც მოლაპარაკებებზე საინტერესო ამბები გაგვიმხილა.

**- დღევანდელი გადასახედიდან, გურამ კაშიას „ანდერლეხტში" გადასვლა რეალურია?**

- გურამი „ანდერლეხტში" ითამაშებს თუ სხვა კლუბში, ჯერ არ ვიცი. წინასწარ არ მინდა ლაპარაკი, თუმცა ბელგიაში სწორედ კაშიას ტრანსფერზე მოსალაპარაკებლად მივდივარ. შევხვდები „ანდერლეხტის" პრეზიდენტის სიძეს... თუმცა არ გამოვრიცხავ, გურამი საბოლოოდ სხვა ქვეყანაში აღმოჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, ახლა სატრანსფერო პერიოდი დასრულებულია და ზაფხულამდე მისი სადმე გადასვლა შეუძლებელია. სინჯებზე მანამდეც იყო ლაპარაკი, მაგრამ თავი შევიკავეთ.

**- როგორც შევიტყვეთ, შოთა კაშიას ტრანსფერზეც მუშაობთ. ამ შემთხვევაშიც ბელგიელებს ელაპარაკებით?**

- გამორიცხული არ არის. ყველაფერი გაირკვევა მას მერე, რაც ბელგიაში ჩავალ.

**- „დინამოს" მმართველმა დირექტორმა ბუბა ტყავაძემ განაცხადა, რომ დაინტერესება ტრანსფერისთვის საკმარისი წინაპირობა არ არის. ანუ, ბელგიელები საკმარის თანხას ვერ იხდიან?**

- ბელგიელები სულელები არ არიან. სხვა საქმეა, როცა იმ ფეხბურთელით ინტერესდებიან, რომელსაც კონტრაქტი ორი წლის შემდეგ უმთავრდება. თუმცა „ანდერლეხტმაც" იცის, რომ გურამს კონტრაქტი მაისში უთავდება და ფულს ტყუილად რატომ გადაიხდის?

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

## ალადაშვილი ბულგარელებთან დაშავდა

მახაჩყალის „ანჟისა“ და ბულგარული „სლავიას“ საკონტროლო მატჩი **კახა ალადაშვილისთვის** უიღბლო გამოდგა. მან ფეხი დაიზიანა, მაგრამ საბედნიეროდ, ტრავმა სერიოზული არაა და ვარჯიშს რამდენიმე დღეში განაახლებს. „ანჟის“ მთავარი მწვრთნელის, **ომარ თეთრაძის** თქმით, გუნდის შემდეგ შეკრებას ალადაშვილი სრულ მზადყოფნაში შეხვდება. როგორც ჩანს, „ანჟი“ კიდევ ერთ ქართველთან გამომშვიდობებას არ აპირებს.

## გოგუამ სპარტაკს უკაპიტნა

ნალჩიკის „სპარტაკი“ კიევის „ობოლონთან“ ფრედ, 2:2 დასრულებულ ამხანაგურ შეხვედრაში კაპიტნის სამკლავურით მოედანზე **გოგიტა გოგუამ** გაიყვანა. ქართველმა ნახევარმცველმა მატჩი შეუცვლელად ჩაატარა. ალექსანდრე ამისულაშვილსა და დავით სირაძეს ამ თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ.

ლევან ჯანეზაშვილი

## დვალიშვილს ისრაელი და ლატვია უნდოდა

საქართველოს ნაკრებისა და ჰაიფას „მაქაბის“ ფორვარდი **ვლადიმერ დვალიშვილი** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრის შედეგებით კმაყოფილი დარჩა.

*„ყველაზე მეტად ლატვიასა და ისრაელთან ერთ ჯგუფში მოხვედრა მინდოდა, მათთან შეხვედრას გულიც მიგრძნობდა და ძალიან გახარებული ვარ, ასე რომ მოხდა. როგორც იცით, ისრაელამდე სწორედ ლატვიაში ვთამაშობდი და ამ ორი ქვეყნის ნაკრების ავ-კარგი კარგად ვიცი. საქართველოს ნაკრებს ამ ორივე გუნდის დამარცხების ძალა შესწევს. იმის მიუხედავად, რომ ისრაელსაც და ლატვიასაც საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდები ჰყავთ, ჩვენზე დიდი პოტენციალი ნამდვილად არ გააჩნიათ. „მაქაბიში“ ისრაელის ნაკრების არაერთი ფეხბურთელი თამაშობს და ბუნებრივია, მომავალ მატჩებზე უკვე ვისაუბრეთ. სხვათა შორის, აქ ქართულ ფეხბურთს საკმაოდ კარგად იცნობენ და ჩვენზე კარგი წარმოდგენაც აქვთ“,* - გვითხრა ისრაელის ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა.

ლადოს არაერთხელ უთქვამს, რომ ნავსის გატეხვა და **ჯანლუიჯი ბუფონის** კარში გოლის გატანა სურდა, ამიტომაც ვკითხეთ, უნდოდა თუ არა იტალიის ნაკრების წინააღმდეგ კიდევ ერთხელ თამაში:

*„ბუფონისთვის გატანა მართლაც შესანიშნავი იქნებოდა, მაგრამ ჩემთვის მთავარი გუნდური ინტერესებია, საქართველოს ნაკრებისთვის კი იტალიასთან თამაში არცთუ სასურველი იყო. რა დროს იტალიაზე ფიქრია, როცა წილისყრაში ძალიან გაგვიმართლა, ნებისმიერ მეტოქესთან შეგვიძლია დადებითი შედეგის მიღწევა, ჩვენი ჯგუფის ფავორიტად კი ხორვატია მიმაჩნია“.*

ლევან ჯანეზაშვილი

## შეყილაძემ მეოთხეც გაიტანა და ნახევარფინალშია

იტალიაში უკვე დასკვნით ფაზაში შევიდა პოპულარული ტურნირი ვიარეჯოს თასის გათამაშება (რომელიც თავის დროზე 48 გუნდის მონაწილეობით დაიწყო). ამ ტურნეზე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ფორვარდ **ირაკლი შეყილაძის** „ემპოლიც“ ასპარეზობს და საკმაოდ წარმატებითაც. 1/8 ფინალში ემპოლელთა გასვლაში შეყილაძემ თავისი წვლილი დაიდო და კასტელანის მსგავსად 3 გოლი გაიტანა. ირაკლის გუნდმა მერვედფინალში „რომას“ დუბლების ძლევის (პენალტების სერიაში 3:1) შემდეგ, მეოთხედფინალში „ფიორენტინას“ დუბლები 2:1 დაამარცხა. ამ შეხვედრაში ირაკლი შეყილაძე კვლავ სასტარტო შემადგენლობაში იყო და მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე შეცვალეს. ფლორენციელთა მარცხს სწორედ ქართველმა თავდამსხმელმა დაუდო სათავე. 54-ე წუთზე ირაკლიმ ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი მიიღო და „ფიორენტინას“ მეკარეს შორეულ კუთხეში გაუტანა. ემპოლელებმა ანგარიშში სხვაობა 15 წუთში გაზარდეს, „ფიორენტინამ“ კი 82-ე წუთზე მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხა.

შეყილაძის „ემპოლი“ ვიარეჯოს ტირნირის ნახევარფინალში სერია D-სა და „ატალანტას“ სარეზერვო გუნდს შორის გამარჯვებულს ან ტურინის „იუვენტუსის“ დუბლებს დაუპირისპირდება.

დავით ცაბაძე

## ჯანოს კოზირი: ყველაფერი სწრაფად

ამ რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, ანთალიურ შეკრებაზე სოფიის ცსკასთან მატჩი **ჯანო ანანიძემ** კი ჩაამთავრა, მაგრამ მატჩის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის დაშავებულია. თუმცა უკვე ვწერდით, რომ ანანიძის ტრავმა სერიოზული არაა. ქართველი ვუნდერკინდის ტრავმასა და მის დადებით თვისებებს ვრცელ ინტერვიუში კიდევ ერთხელ შეეხო მოსკოვის „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელი **ვალერი კარპინი**.

*„ჯანო ანანიძის ტრავმა სერიოზული არაა და მხოლოდ მსუბუქ დაზიანებას ვუწოდებდი. უბრალოდ, ანანიძემ თამაშისას მოედანზე უხერხულად დაადგა ფეხი და ტკივილი იგრძნო. ერთი სიტყვით, საგანგაშო არაფერია, მომდევნო უცხოურ შეკრებას ჯანო, ჩვეულებრივ, გუნდთან ერთად დაიწყებს.*

*... ანანიძე არაერთი თვისებითაა გამორჩეული. სუსტი ფიზიკური აღნაგობის მიუხედავად, ის ხისტ ორთაბრძოლებში მოურიდებლად ერთვება. ასეთ ვითარებაში ყველაზე ნაკლებია მისი დაშავების შანსი. ხისტი ორთაბრძოლა მძიმე ფეხბურთელისთვის ტრავმის მიღების დიდი რისკია, ჯანო კი მსუბუქად თუ დაეცემა... ანანიძის უპირატესობა კიდევ ისაა, რომ ის ძალზე სწრაფად აზროვნებს, ასევე სწრაფად ამუშავებს ბურთს და ზუსტი პასის გაკეთებასაც კარგად ახერხებს“,* - აღნიშნა ვალერი კარპინმა რუსულ პრესასთან საუბარში.

დავით ცაბაძე

## ლობჟანიძე დაშავებულია

ქართველ მცველ **უჩა ლობჟანიძის** „ზესტაფონიდან“ „დნიპროში“ გადასვლის თაობაზე უკვე გაცნობეთ. იმასაც ვწერდით, თურქეთში, მოსამზადებელ შეკრებაზე ლობჟანიძემ რუმინულ „უნირეასთან“ ამხანაგურ მატჩში, მხოლოდ საწყის 45 წუთში რომ ითამაშა. დნეპროპეტროვსკელთა გუნდი სამშობლოში დაბრუნდა და ანთალიურ შეკრებაზე კიდევ ერთხელ, მესამედ მალე გაემგზავრება. „დნიპროს“ მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმირ ბესონოვმა** ua-football.com-ს ვრცელი ინტერვიუ მისცა. უკრაინელ სპეციალისტს უჩა ლობჟანიძეზეც დაეკითხნენ.

*„ლობჟანიძემ ჩვენს გუნდში მხოლოდ ერთ ამხანაგურ შეხვედრაში ითამაშა. ქართველმა მცველმა ტრავმა მიიღო და გარკვეული პერიოდი ვარჯიშიც არ შეეძლო. ის მალე სრულად გამოჯანმრთელდება, მესამე უცხოურ შეკრებაზე წავიყვანთ, იქ ვათამაშებთ და უფრო კარგად დავაკვირდებით“,* - აღნიშნა ვლადიმირ ბესონოვმა.

დავით ცაბაძე

# ალადაშვილი გაურკვევლობაშია



**მახაჩყალის „ანჟი“ უკვე დატოვეს იმ ქართველებმა, რომლებმაც „ანჟის“ შარშანდელ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს - სანდრო იაშვილი რუსთავის „ოლიმპში“ ჩაირიცხა, ედიკ საჯაია და ოთარ მარცვალაძე კი ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგაში“ გადავიდნენ.**

**რაც შეეხება კახა ალადაშვილს, მან დღემდე არ იცის, სად გააგრძელებს კარიერას - ისევ „ანჟიში“, თუ სხვა კლუბში. თურქულ შეკრებაზე ქართველმა ნახევარმცველმა თითქმის ყველა საკონტროლო მატჩი ჩაატარა და ახლა კლუბის ხელმძღვანელობის პასუხს ელოდება.**

**- კახა, ანტალიური შეკრების შემდეგ თუ გაირკვა, სად გააგრძელებ კარიერას?**

- ნამდვილად ვერ გეტყვით. ზოგი მიდის, ბევრი ახალი მოვიდა, მაგრამ ჩემი ამბავი ჯერ ვერ გავარკვიე. გუნდში გაურკვეველი ვითარებაა.

**- თუკი „ანჟი“ არ დაგტოვებს, რაიმე კონკრეტული ვარიანტი თუ გაგაჩნია?**

- ვარიანტები ნამდვილად არის, მაგრამ წინასწარ ლაპარაკი არ მსურს. იქნებ, არ გამართლდეს და უხერხული იქნება.

**- მართალია, თითქოს, ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგაში“ გიწვევდნენ?**

- მართლა მიწვევდა, მაგრამ მახაჩკალაში ვითარების გარკვევამდე, თავი შევიკავე.

**- დაინტერესებულ კლუბებს შორის, რუსეთის პრემიერლიგელიც არის?**

- არის, მაგრამ როდესაც კონტრაქტი გაფორმდება, მერე ვილაპარაკოთ?

*...რუსული სააგენტოების ინფორმაციით, ანთალიაში გამართული სპარინგი, „ანჟი“-“სლავია“, მეორე ტაიმში ჩხუბის გამო ჩაიშალა, ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი კი მძიმედ დაშავდა.*

*„ანჟის“ მთავარმა მწვრთნელმა **ომარ თეთრაძემ** „სპორტ-ექსპრესთან“ ამ ინციდენტის შედეგებზე ილაპარაკა: „საბედნიეროდ, პეკოვიჩი და ალადაშვილი მძიმე ტრავმებს გადაურჩნენ. ექიმები იმედოვნებენ, რომ მომდევნო შეკრებაზე ორივე მათგანი შემოგვიერთდება. ორივე გუნდი ხისტად, ხშირად უხეშადაც ვთამაშობდით და ფეხბურთელებმა ემოციები ველარ მოთოკეს. ვითარება უკრაინელმა მსაჯებმაც დაამძიმეს, რომლებმაც საკუთარი მოვალეობა კარგად ვერ შეასრულეს. მეორე ტაიმის დაწყებიდან ათ წუთში ალადაშვილი მოწინააღმდეგემ წესების დარღვევით წააქცია და რამდენიმე წუთი წამოდგომას ვერ ახერხებდა. ამის მიუხედავად, მსაჯს წესის დარღვევა არ დაუფიქსირებია, თამაში გააგრძელა და ბულგარელებმა გოლი გაგვიტანეს. მსაჯმა ფეხბურთელიც უმიზეზოდ გაგვიძევა, ჩვენებს მოთმინებამ უმტყუნა და მატჩიც ჩაიშალა“.*

**- როგორც შევიტყვეთ, ბოლო საკონტროლო შეხვედრაში ბულგარულ „სლავიას“ მცველმა საკმაოდ მძიმედ დაგაშავა.**

- კოჭი მეტკინა, მაგრამ სერიოზული არაფერია.

**- ასეთი რა ჩხუბი ატყდა, თამაში რომ ჩაიშალა?**

- ჩხუბი მსაჯის უაზრო გადაწყვეტილებებს მოჰყვა. თუმცა ჯგუფური ჩხუბი არ ამტყდარა. ეგაა, ასე გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა და თამაში ჩაიშალა.

მერაბ მამულაშვილი

მეტოქეები

# ხორვატია ბელგიაში, საბერძნეთი სენეგალთან...

როგორც იცით, 3 მარტი ფიფას მიერ ამხანაგური მატჩებისთვის გამოყოფილი თარიღია და აკი ვსარგებლობთ კიდეც - ამ დღეს ჩვენი ეროვნული გუნდი ამხანაგურ შეხვედრაში ესტონეთის ნაკრებს უმასპინძლებს. ამ დღეს ამხანაგურ მატჩებს ჩვენი ნაკრების მეტოქეებიც გამართავენ და მოდი, ვნახოთ ვინ ვის ეთამაშება.

ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი ჯგუფის მეტოქეები თანმიმდევრობით განვიხილოთ და ხორვატიით დავიწყოთ.

**სლავენ ბილიჩის** გუნდი მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე ვერ მოხვდა (ინგლისისა და უკრაინის შემდეგ, მე-3 ადგილზე გავიდა), მაგრამ ორი უახლოესი მატჩი უკვე დაგეგმილი აქვს. 3 მარტს ხორვატები ამხანაგურ შეხვედრაში ბელგიას სტუმრად გაეჯიბრებიან. მომდევნო საკონტროლო მატჩი კი 19 მაისს ასევე გასვლაზე, ავსტრიაში აქვთ.

მუნდიალზე გასულ საბერძნეთის ნაკრებს სამი უახლოესი თამაში აქვს გარკვეული და შეთანხმებული. **ოტო რეჰაგელის** გუნდი 3 მარტს სენეგალს ეთამაშება. მომდევნო ორ შეხვედრას კი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეებთან გამართავს - 25 მაისს ჩრდილოეთ კორეას გაეჯიბრება, 2 ივნისს კი პარაგვაისთან მოსინჯავს ძალებს.

**დრორ კაშტანთან** განშორების შემდეგ, ისრაელის საფეხბურთო ასოციაციას ეროვნული გუნდის ახალი თავკაცი ჯერჯერობით არ დაუმტკიცებია. თუმცა ებრაული ფეხბურთის ხელმძღვანელობამ ნაკრების ახალი მწვრთნელისთვის ამხანაგური მატჩების ორგანიზებაზე გვარიანად რომ იზრუნა, ამაში თავადვე დარწმუნდებით. ისრაელის ნაკრები 3 მარტს რუმინეთს სტუმრად გაეჯიბრება. შესაბამისად ებრაელები ნაკრებისთვის ახალი თავკაცის საკითხს (ბოლო ინფორმაციით, კანდიდატები არიან **იურგენ კლინსმანი, ჰენკ თენ კატე, ეიალ ბერკოვიჩი, რობერტო დონადონი და ფრანკ რაიკაარდი**) უახლოეს დღეებში გადაწყვეტენ. ისრაელის ნაკრების მომავალ მწვრთნელს მაისში დიდი გამოცდა ელის, მისი გუნდი 29 მაისს მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ არგენტინასთან მოსინჯავს ძალებს.

ამხანაგური მატჩების ორგანიზების საკითხი ასევე ჩინებულად აქვს მოგვარებული ლატვიის ფეხბურთის ფედერაციას. ლატვიელთა ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელ **ალექსანდრს სტარკოვსის** გუნდი 3 მარტს სომხეთის ნაკრებს კვიპროსზე ეთამაშება. მაისის ბოლოს კი ბალტიის თასის გათამაშებაში ორ გასვლით შეხვედრას ჩაატარებს - 29-ში ესტონეთს გაეჯიბრება, 30-ში კი ლიტვას.

ბოლოსთვის მალტასაც გადავხედოთ. სპარინგ მატჩების საქმე კუნძულელებსაც აწყობილი აქვთ. 3 მარტს **ჯონ ბუტიგეგის** გუნდი, ამხანაგურ მატჩში ფინეთს უმასპინძლებს, 13 მაისს გერმანიას სტუმრად გაეჯიბრება, 11 აგვისტოს კი მაკედონიას შინ დაუხვდება.

ჩვენი მეტოქეების ყველა ეს დაგეგმილი მატჩი ფიფას ოფიციალურ ვებგვერდზე მოვიძიეთ. როგორც ჩანს, 3 მარტის შემდეგ, ფიფას მიერ ამხანაგური თამაშის ჩატარების თარიღი მაისშიცაა. მაისის თვეში საკონტროლო შეხვედრას ჩვენი ჯგუფის ყველა მეტოქე გამართავს. სპარინგების მოძიების მხრივ მალტელებმა მეტოქეთაგან ყველაზე მეტად იყოჩაღეს, მათ აგვისტოს ამხანაგური შეხვედრაც შეთანხმებულ-დამტკიცებული აქვთ.

რაც შეეხება ჩვენს ნაკრებს, 3 მარტის შემდეგ, თემურ ქეცბაიას გუნდი 9 აგვისტოს სავარაუდოდ მოლდოვას სტუმრად ეთამაშება. ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისთვის კიშინიოვიდან თანხმობის მიღებაა საჭირო. ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის თქმით, ვარშავაში 7 თებერვლის წილისყრის შემდეგ, ამხანაგური თამაშის ჩატარებისთვის, მათ საუბრები ჰქონდათ ირლანდიასთან. გარდა ამისა, მათივე თქმით ბელარუსებს აქვთ ჩვენს ნაკრებთან თბილისში გაჯიბრების სურვილი და იქნებ ამხანაგური შეხვედრისთვის მაისიც გამოვიყენოთ. ქეცბაიას ჩანაფიქრი ჩვენი ნაკრების ძლიერ გუნდად ჩამოყალიბებაა, ამას კი შეძლებისდაგვარად მეტი ამხანაგური მატჩი სჭირდება.

დავით ცაბაძე

ესპანეთი. ლა ლიგა. XXII ტური

# პირველის მოლოდინში

## იკერს 499-ივე ახსოვს

| დღეს | |
|---|---|
| სპორტინგი-ვალენსია | 21:00 |
| ხერესი-რეალი | 23:00 |
| ვილიარეალი-ბილბაო | 01:00 |
| **ხვალ** | |
| ესპანიოლი-დეპორტივო | 20:00 |
| ხეტაფე-ალმერია | 20:00 |
| რასინგი-მალაგა | 20:00 |
| ვალიადოლიდი-სარაგოსა | 20:00 |
| სევილია-ოსასუნა | 22:00 |
| ატლეტიკო-ბარსელონა | 00:00 |
| **ზეგ** | |
| ტენერიფე-მალიორკა | 00:00 |

კვირას ჩემპიონი მადრიდში ჩადის - არა, „ელ კლასიკომდე" ჯერ კიდევ დროა, თუმცა „ბარსელონას" არც ხვალ ელის იოლი გასეირნება „ვისენტე კალდერონზე". „ბლაუგრანამ" **კიკე ფლორესის** გუნდთან გამძლეობაზე ტესტი უნდა ჩააბაროს. უკვე ბევრი ითქვა „ბარსას" დაცვის ხაზის პრობლემებზე. ნომინალური სასტარტო ოთხეულიდან მხოლოდ კაპიტანი **კარლეს პუიოლი** იქნება, ისიც იმიტომ, რომ ძალიან მებრძოლი სულის პატრონია, თორემ ტრავმამ მას არც გუშინ მისცა გუნდთან ერთად ვარჯიშის საშუალება. დისკვალიფიცირებულები არიან ცენტრალური მცველები **ჟერარდ პიკე** და **რაფაელ მარკესი**, ტრავმირებულები არიან ვისაც კი მათი შეცვლა შეუძლიათ, **დმიტრო ჩიგრინსკი** და ნახევარმცველი **იაია ტურე**. ტრავმის გამო გამორიცხულია ფლანგის მცველების, **დანი ალვეშისა** და **ერიკ აბიდალის** თამაში. **გვარდიოლამ** სასწრაფოდ უხმო „ბარსელონა ატლეტიკის" მცველებს, მაგრამ არა გვგონია მათ თამაშმა მოუწიოს, ორი მათგანი, ალბათ, სათადარიგოთა სკამზე მოხვდება, ყოველი შემთხვევისთვის. დაცვა კი მარჯვნიდან მარცხნივ ასე განლაგდება: **მაქსველი**-პუიოლი-**მილიტო-კეიტა**. სხვა გზა არ არის, სეიდუ კეიტას მისთვის უჩვეულო, მარცხენა მცველის პოზიციაზე მოუწევს თამაში. აი, ამ ოთხეულიდან ვილაც რომ დაიმტვრეს (ან პუიოლი ვერ ჩადგეს მწყობრში თამაშისთვის) ან წითელი ბარათი მიიღოს, მერე რას მოიმოქმედებს პეპ გვარდიოლა უცნობია. ამიტომაც ესპანეთში ძალიან ბევრი ელის „ბარსელონას" პირველ მარცხს სეზონში. მით უფრო, რომ შესუსტებულ დაცვას ორი ტოპ-კლასის ფორვარდის, **სერხიო აგუეროსა** და **დიეგო ფორლანის** „დაჭერა" მოუწევს.

გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ **ანდრეს ინიესტამ** პრესკონფერენცია მოაწყო, სადაც ბევრი ილაპარაკა, თუ რა კარგი მომავალი ეზრდება „ბარსას", რომ ნებისმიერი რეზერვისტი უკვე მზად არის სათამაშოდ. *„თუკი შინ სამი ქულით დავბრუნდებით, ეს უდიდესი გადადგმული ნაბიჯი იქნება ჩემპიონობის გზაზე"*, - განაცხადა ყოველთვის მეგობრულმა, წყნარმა და პირდაპირმა ინიესტამ.

მომავალ მასპინძელთა ფორვარდმა „კუნ" აგუერომ ამას წინათ განაცხადა, რომ „ატლეტიკოს" სურს „ბარსას" დამარცხება, თუმცა ამას „რეალის" გულისთვის კი არა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გააკეთებს.

• დღეს „ბარსას" მდევარი „რეალი" ჩემპიონატის მაჩანჩალა „ხერესს" ლვინით განთქმულ მხარეში ისტორიაში პირველად ესტუმრება. ორმატჩიანი დისკვალიფიკაციის ამოწურვის შემდეგ „სამეფო კლუბს" **კრიშტიანო რონალდო** უბრუნდება. **იკერ კასილიასი** მე-500-ედ დაიცავს „რეალის" კარს. გოლკიპერი ირწმუნება, რომ მას თითოეული, 499-ივე მატჩი კარგად ახსოვს. მე-100-ედ მოირგებს თეთრ მაისურს ბრაზილიელი მარსელო. ლა ლიგაში იკერმა 368 თამაში ჩაატარა, ჩემპიონთა ლიგაში - 101, სამეფო თასზე - 16, სუპერთასზე - 7, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე - 3, ევროპის სუპერთასზე - 2 და საკონტინენტთაშორისო თასზე - 2.

**მანუელ პელეგრინიმ** პრესკონფერენციაზე განაცხადა: *„ძალიან მნიშვნელოვანია, სანამ „ხერესთან" თამაში არ დასრულდება ჩემპიონთა ლიგაზე არ ვიფიქროთ. მეტოქემ აშკარად მოუმატა მას მერე, რაც ის გოროსიტომ ჩაიბარა. ისინი ხელწამოსაკრავი მეტოქეები სულაც არ არიან, მაგრამ ჩვენ მზად ვართ დავამარცხოთ „ხერესი" და 3 ქულა შევმატოთ ქულათა მონაგარს".*

გუშინ პელეგრინიმ ვარჯიში პრესისთვის დახურა. **ეზეკიელ გარაი** გამოჯანმრთელდა და ალბათ შეძლებს თამაშს. ანდალუსიაში „რეალს" **ქარიმ ბენზემა** არ მიჰყვება, მისი თამაში „ლიონის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგაშიც საეჭვოა.



იკერ კასილიასი მე-500 მატჩის მოლოდინში

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 21 | 17 | 4 | 0 | 52-11 | 55 |
| 2. რეალი | 21 | 16 | 2 | 3 | 50-15 | 50 |
| 3. ვალენსია | 21 | 12 | 6 | 3 | 38-20 | 42 |
| 4. მალიორკა | 21 | 11 | 4 | 6 | 35-23 | 37 |
| 5. სევილია | 21 | 11 | 3 | 7 | 32-24 | 36 |
| 6. დეპორტივო | 21 | 10 | 5 | 6 | 24-22 | 35 |
| 7. ბილბაო | 21 | 10 | 3 | 8 | 27-27 | 33 |
| 8. ხეტაფე | 21 | 10 | 1 | 10 | 28-26 | 31 |
| 9. ოსასუნა | 21 | 8 | 5 | 8 | 21-21 | 29 |
| 10. ვილიარეალი | 21 | 7 | 5 | 9 | 31-30 | 26 |
| 11. რასინგი | 21 | 6 | 7 | 8 | 24-28 | 25 |
| 12. ატლეტიკო | 21 | 6 | 6 | 9 | 31-34 | 24 |
| 13. სპორტინგი | 21 | 6 | 6 | 9 | 21-25 | 24 |
| 14. ესპანიოლი | 21 | 6 | 5 | 10 | 14-29 | 23 |
| 15. ალმერია | 21 | 5 | 7 | 9 | 22-31 | 22 |
| 16. მალაგა | 21 | 4 | 9 | 8 | 23-26 | 21 |
| 17. სარაგოსა | 21 | 5 | 5 | 11 | 25-43 | 20 |
| 18. ვალიადოლიდი | 21 | 3 | 9 | 9 | 24-38 | 18 |
| 19. ტენერიფე | 21 | 4 | 5 | 12 | 17-40 | 17 |
| 20. ხერესი | 21 | 2 | 5 | 14 | 12-38 | 11 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ესპანეთის სამეფო თასი

ნახევარფინალის საპასუხო მატჩი

# ფიფას ვერდიქტის მოლოდინში

ესპანეთის თასის ფინალში მადრიდის „ატლეტიკო" და „სევილია" ითამაშებენ. მართალია, მადრიდელები სანტანდერში 2:3 დამარცხდნენ, მაგრამ პირველ მატჩში 4:0 ჰქონდათ მოგებული. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას ფინალის დანიშვნა 26 მაისს სურს, მაგრამ ახლა ფიფას ვერდიქტს ელის, თუკი ამ დღეს გუნდებს ეროვნულ ნაკრებებში მოთამაშე ფეხბურთელებს არ წაართმევენ (მსოფლიოს ჩემპიონატის წელია), ფინალი ამ დღეს გაიმართება, თუ ფიფადან უარს მიიღებენ, მატჩის თარიღი 13 ან 16 მაისს გადმოიწევს. „სამეფო თასის" ფინალს „სანტიაგო ბერნაბეუ" უმასპინძლებს.

**რასინგი-ატლეტიკო 3:2 (0:4)**

**რასინგი (4-4-2):** ფერნანდესი - კრესპო (46. ორიოლი), მორატონი, ტორეხონი, კრისტიანი - მუნიტისი (56. დიოპი), კოლსა, ლასენი, კანალესი (72. სერანო) - სისკო, ტჩიტე.

**ატლეტიკო (4-2-3-1):** დე ხეა - უიფალუში, პერეა, დომინგესი, ა. ლოპესი - ასუნსაო, ტიაგო (57. რ. გარსია) - ვალერა, ხურადო, რეიესი (64. სიმაო) - აგუერო (63. იბრა).

**გოლები:** 1:0 ვალერა (2 ს.კ.), 1:1 მორატონი (8 ს.კ.), 1:2 ხურადო (51), 2:2 სისკო (88), 3:2 ტჩიტე (90)

**გაძევება:** კრისტიანი (68)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტრანსფერი

# უკვე ოფიციალურად: კანალესი სამეფო კარზე იმსახურებს

გუშინ მადრიდის „რეალის" ოფიციალურმა საიტმა ბოლო მოუღო ყოველგვარ ხმებს - სანტანდერის „რასინგის" 18 წლის ვუნდერკინდი **სერხიო კანალესი** „რეალის" საკუთრებაა. კონტრაქტი ძალაში 2010 წლის 1 ივლისიდან შედის და ამ დღიდან ის 6 სეზონს „რეალში" დაჰყოფს. „მარკას" მტკიცებით, სამეფო კლუბს ეს მხოლოდ 5 მილიონი ევრო დაუჯდა, კანალესი მთელ მოსამზადებელ ციკლს „რეალში" გაატარებს, თუმცა შემდეგ სეზონს იჯარით ისევ „რასინგში" გაატარებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

იტალია

სერია A. XXIV ტური

# უფრო ფრთხილი ინტერი

## ჟოზე სამ ფორვარდზე უარს ამბობს

| გუშინ | |
|---|---|
| მილანი-უდინეზე | 3:2 |
| **დღეს** | |
| რომა-პალერმო | 21:00 |
| სამპდორია-ფიორენტინა | 23:45 |
| **ხვალ** | |
| კალიარი-ბარი | 18:00 |
| კატანია-ატალანტა | 18:00 |
| კიევო-სიენა | 18:00 |
| იუვენტუსი-ჯენოა | 18:00 |
| ლივორნო-ბოლონია | 18:00 |
| პარმა-ლაციო | 18:00 |
| ნაპოლი-ინტერი | 23:45 |

სერია A-ს XXIV ტურის პირველი შეხვედრა გუშინ გაიმართა და თუ რატომ, ამის შესახებ, წესით, ინფორმირებული უნდა იყოთ. ადრეც არაერთხელ დაგვიწერია „ლეგა კალჩოს" ნოვატორული იდეის შესახებ, რომელიც ტურის სამ ან სულაც ოთხ დღეზე გაშლას გულისხმობს. სამშაბათს „როსონერის" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის პირველი შეხვედრის გამართვა უწევს და „უდინეზესთან" მატჩის პარასკევს გადმოწევა სწორედ აქედან გახლდათ განპირობებული. ვნახოთ, რამდენად წაადგება „მილანს" ეს ერთი დღე „მანჩესტერთან" ჯახისთვის მოსამზადებლად. ჩვენ კი დროა იმ შეხვედრებზე გადავიდეთ, რომლებიც ამ უქმეებზე გაიმართება.

დღევანდელი შეხვედრებიდან უფრო მეტ ყურადღებას „რომა"-„პალერმოს" დაპირისპირება იწვევს. დედაქალაქელები ყველასთვის მოულოდნელად საჩემპიონო მარათონში ჩაერთვნენ და შესაბამისად, მათი თითოეული თამაში დღეს გაცილებით უფრო საინტერესოა, ვიდრე თუნდაც ჩემპიონატის პირველ წრეში. **კლაუდიო რანიერი** შესანიშნავ განწყობაზეა და პრესასთან საკმაოდ აქტიურად ურთიერთობს - აქვე, მის წინასამატჩო კომენტარს გაგაცნობთ:

*„ნოემბრის შემდეგ „პალერმომ" მხოლოდ ერთი მატჩი წააგო, რაც მარწმუნებს იმაში, რომ სიცილიური გუნდი ბრწყინვალე ფორმაშია. კუნძულელებს რამდენიმე მეტად კვალიფიციური ფეხბურთელი ჰყავთ, რომელთა შორის სამს გამოვარჩევდი: ფაბრიციო მიკოლის, ედისონ კავანის და ხავიერ პასტორეს. რაც მთავარია, გუნდს დელიო როსი უდგას სათავეში, გამოცდილი სპეციალისტი, რომელმაც საკუთარი ხუთი თითივით იცის, რას წარმოადგენს „რომა". ასე რომ, „პალერმოსთან" მეტად რთული თამაში გველის".*

რომაელთა მთავარი პრობლემა **ფრანჩესკო ტოტის** ჯანმრთელობის მდგომარეობაა. ისიც კი ითქვა, ოპერაცია დასჭირდებაო, მაგრამ გუშინ ეს ინფორმაცია „რომას" ექიმებმა უარყვეს. ყველაფერი გაცილებით მარტივად ყოფილა, ეგ კი არა, არ არის გამორიცხული, „პუპონე" სულაც „პალერმოს" შეეჭიდოს. თუმცა, ეს მაინც ნაკლებად სავარაუდოა. ჯერჯერობით **ლუკა ტონიც** ლაზარეთშია და სიცილიელებს ვერც ის შეეტოქება. გამომდინარე აქედან, რანიერი ერთფორვარდიან ტაქტიკას აირჩევს და წინა ხაზზე **მირკო ვუჩინიჩს** გაამწესებს. ჩერნოგორიელის პასებით მომარაგებაზე შემდეგი ფეხბურთელები იზრუნებენ: **ჟულიო ბაპტიშტა, სიმონე პეროტა, როდრიგო ტადეი, დანიელე დე როსი, დავიდ პისარო.**

**დელიო როსი** ტრავმებს არ უჩივის, ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც მსუბუქად არის დაშავებული, **მარკ ბრეშიანო** გახლავთ. ავსტრალიელი სავარაუდოდ სათადარიგოთა სკამზე დარჩება და ბოლო ნახევარი საათი თუ შეძლებს მოედანზე გასვლას. რაც მთავარია, სრულ მზადყოფნაში არიან **ფაბრიციო მიკოლი** და **ედისონ კავანი**, ჯანზეა **ხავიერ პასტორეც**.

>> მე-9 გვერდზე

ბრძოლა ალალი ფეხბურთისთვის

# მყვინთავი ჯერარდი

*„არაფერია იმაზე ცუდი, როდესაც მოთამაშე მოედანზე მოცელილივით ეზღერთება, მის ახლომახლო კი არავინ არის. სიმულანტობა ფეხბურთს ანადგურებს"* - „დეილი მეილის" მიმომხილველ **ტომ ბილვუდს** ეჭვი არ ეპარება, რომ მკითხველი ამ სიტყვებს ეთანხმება, ოღონდ ეგაა, ეს სიტყვები ხსენებულ ჟურნალისტს კი არ ეკუთვნის, არამედ „ლივერპულის" კაპიტან **სტივენ ჯერარდს**, თუმცა მოდი, ციტატა მოვიტანოთ. უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, ჟურნალისტი ბილვუდი ასე წერს:

*„...ეს ინგლისელი ნახევარმცველის, „ლივერპულის" კაპიტნის და რა გინდა რა ვითარებაში მოედანზე გაგორების დიდოსტატის სტივენ ჯერარდის სიტყვებია. თავისი უნარი ჯერარდმა რამდენიმე დღის წინ „არსენალთან" შეხვედრაშიც დაამტკიცა".*

მერსისაიდში ახლა ცუდი პერიოდია: დირექტორატი თავის ფუნქციას ვერ ასრულებს, შეპირებული ახალი სტადიონი არსად ჩანს და გუნდიც მოედანზე ველარ ბრწყინავს - „ლივერპულისგან" შარშანდელის მერე გაცილებით მეტს ელოდნენ - მაგრამ, ეს ყველაფერი, ტომ ბილვუდის აზრით, „სტივი ჯის" სიმულანტობას არ ამართლებს. ფაქტია, 2005 წლის მერე, როდესაც „წითლებმა" პრემიერლიგის ცხრილში მეხუთე ადგილი დაიკავეს, სამი ქულა მათთვის ასე მნიშვნელოვანი არ ყოფილა, მაგრამ განა ეს გამართლებაა? მით უმეტეს, როდესაც ლაპარაკია ფეხბურთელზე, რომელიც მრავალი მიზეზის გამო გმირად და სამაგალითო პიროვნებად გახლავთ გამოცხადებული.

ჯერარდი მოედანზე პასუხისმგებლობას არასდროს გაქცევია. ამასთან, ის თანამედროვე ფეხბურთში ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველად რჩება, მაგრამ ის, რაც ოთხშაბათს მან ლონდონში, „არსენალთან" სეხვედრაში გააკეთა, გამოკვეთილი ყვინთვა გახლდათ და „ლივერპულის" სახელს ლახავს - რასაკვირველია, ტომ ბილვუდის მტკიცებითა და აზრით. „დეილი მეილის" ჟურნალისტი ჯერარდის ბოლო ორი თამაშიდან ორ ეპიზოდს იგონებს - ერთს „ემირეტ სთედიუმზე" გამართული ხსენებული შეხვედრიდან და მეორეს მერსისაიდული დერბიდან. ის წერს, რომ როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში ჯერარდის წინააღმდეგ არავის უუხეშია, ის თავად წაიქცა და როდესაც დარწმუნდა, რომ მსაჯი თამაშის შეჩერებას არც ფიქრობდა, მეტისმეტად იოლად წამოხტა. ის რომ, ამ ეპიზოდებში „ლივერპულის" კაპიტანი „ყვინთავს", ჩანაწერის მრავალჯერადმა დატრიალებამაც დაადასტურა. როგორც ბილვუდი აცხადებს, „დაზღერთების ხელოვნებას" ჯერარდი პირველად ამ ორ შეხვედრაში როდი ეზიარა. ჟურნალისტი გვახსენებს 2006 წელს, როდესაც მან ინგლისის ნაკრებს უნგრეთთან შეხვედრაში პენალტი მოუპოვა. გარდა ამისა, ფეხბურთელის კარიერაში იყო აშკარა სიმულანტობის ეპიზოდები პორტუგალიასთან, ანდორასთან, „შეფილდ იუნაიტედთან", „ჩელსისთან", „მარსელთან" და კიდევ სხვა მატჩებში.



ოდესღაც ჯერარდს ასეთი რამ უთქვამს: *„თუ დავინახავ, რომ ჩემი რომელიმე თანაგუნდელი „ყვინთავს", ერთიორ სიტყვას ულაპარაკოდ ვეტყვი".*

„დეილი მეილს" კი ამ სეზონში „ყვინთავის" საწინააღმდეგო კამპანია აქვს წამოწყებული და ჩასაფრებულია...

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## იტალია. სერია A XXIV ტური

« მე-8 გვერდიდან

### სავარაუდო შემადგენლობები

**რომა:** ჟულიო სერჟიო - მოტა, მექსე, ჟუანი, რიისე - პისარო, დე როსი, პეროტა, ტადეი, ბაპტიშტა - ვუჩინიჩი.

**პალერმო:** სირიგუ - კასანი, კიაერი, ბოვო, ბალცარეტი - ლივერანი, მილიაჩო, სიმპლისიუ - პასტორე - მიკოლი, კავანი.

ტურის უკანასკნელი და თამამად შეიძლება ითქვას, ცენტრალური შეხვედრა ნეაპოლში გაიმართება, სადაც ადგილობრივი გუნდი „ინტერს“ უმასპინძლებს. შუა კვირაში „ნერაძურიმ“ „პარმასთან“ დაკარგა ქულები, რითაც კონკურენტების წისქვილზე დაასხა წყალი. მილანელებს იოლი გასეირნება არც ნეაპოლში ელით და **მოურინიომ** ეს ყველაზე უკეთ იცის. ამად არის, რომ ზემეტევ ტაქტიკაზე უარს ამბობს და ტრადიციულ 4-4-2-ს უბრუნდება. შეგახსენებთ, „ინტერმა“ ბოლო ორი შეხვედრა სამი ფორვარდით შეუტია, რაც ბუნებრივია, რისკთან იყო დაკავშირებული. ამ შემთხვევაში, **სამუელ ეტოოს** სათადარიგოთა სკამზე მოუწევს დარჩენა, ყოველ შემთხვევაში, „გაძეტა დელო სპორტი“ სწორედ ასეთ პროგნოზს აკეთებს.

სასტარტო შემადგენლობაში **გორან პანდევი** და **დიეგო მილიტო** ითამაშებენ, მათ უკან კი **ვესლი სნეიდერი** გაირჯება. ჰოლანდიელმა ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და ნეაპოლელთა წინააღმდეგ ასპარეზობის სრული უფლება აქვს. ბოლო დროს, **მარკო მატერაცციმ** გაიმყარა პოზიციები და „პარმასთან“ სულაც სასტარტოში იყო. თუმცა ემილიელებთან პაექრობისას ტრავმა მიიღო და როგორც ექიმები ამბობენ, მინიმუმ ათ დღეს იუქმებს. დაცვის ცენტრში, **ლუსიო** და **სამუელი** იასპარეზებენ, ფლანგებზე კი **მაიკონი** და **სანტონი**. მოურინიო შეგირდებისგან სრულ მობილიზებას ითხოვს:

*„ასეთ გუნდებთან თამაში ყოველთვის რთულია, განსაკუთრებით მათ მოედანზე. მაქსიმალური მობილიზებაა საჭირო იმისთვის, რომ სამი ქულა მოვიპოვოთ. თითოეულ შეხვედრაში, ჩვენი მიზანი მხოლოდ გამარჯვებაა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეტოქეს პატივს არ ვცემთ. ჩემი აზრით, „ნაპოლი“ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია იტალიაში“.*

სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე, „ნაპოლი“ მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია იტალიაში. მას შემდეგ, რაც გუნდი **ვალტერ მაძარიმ** ჩაიბარა, სამხრეთელები პროგრესის გზას დაადგნენ და აგერ უკვე ჩემპიონთა ლიგის ზონაშიც შეაბიჯეს. ნეაპოლელები მხოლოდ ერთ ფეხბურთელს მოისაკლისებენ - **მაჯოს** დისკვალიფიკაცია აქვს, დანარჩენები კი მწყობრში არიან. შეტევის წინა ხაზზე **დენისი** გაირჯება, მის უკან კი **ჰამშიკი** და **კვალიარელა** იმოქმედებენ. ეს უკანასკნელი ტიპური ცენტრფორვარდია, მაგრამ „ინტერთან“ სიღრმიდან მოუწევს თამაში. სწორედ ასე გადაწყვიტა მაძარიმ და ვნახოთ, რა შედეგს გამოიღებს ეს ნოვაცია. სავარაუდოდ, სათადარიგოთა სკამზე იქნება **ეზეკილ ლავეცი**, რომელსაც კლუბის მესვეურებთან გარკვეული პრობლემები აქვს. დანარჩენი უკვე მოედანზე გამოჩნდება.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ნაპოლი:** დე სანქტისი - კამპანიარო, კანავარო, გრავა - სუნიგა, გარგანო, პაციენცა, დოსენა - კვალიარელა, ჰამშიკი - დენისი.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სამუელი, სანტონი - ძანეტი, კამბიასო, მუნტარი - სნეიდერი - პანდევი, მილიტო.

კიდევ ერთი შეხვედრა უნდა გამოვარჩიოთ, რომელიც ტურინში გაიმართება. „იუვენტუსი“ „ჯენოას“ მიიღებს და შეეცდება, ასე ნანატრი სამი ქულა მოიპოვოს. რა აღარ იღონეს ტურინელებმა, მაგრამ საქმეს არაფერი არ ეშველა. **ალბერტო ძაკერონიმ** დემონსტრაციულად გამოაცხადა, სრულიად ახალ ვარჯიშებს ვნერგავ და ნახავთ, სულ მალე როგორ შედეგს გამოიღებსო. ვნახოთ, მართლაც საინტერესოა, ეშველება თუ არა რამე „ვეკია სენიორას“.

ძაკერონი კვლავაც 3-5-2 ტაქტიკას აირჩევს და თავდასხმაში **ალესანდრო დელ პიეროსთან** ერთად, **კარვალიო ამაურის** გაამწესებს. სასტარტო შემადგენლობაში იქნება **დიეგო რიბასიც**, რომელსაც **ანტონიო კანდრევა**, **მოჰამედ სისოკო**, **პაოლო დე ჩელიე** და **მარტინ კასერესი** გაუმაგრებენ ზურგს. დაცვაში სავარაუდოდ **ზდენეკ გრიგერა**, **ნიკოლა ლეგროტალიე** და **ჯორჯო კიელინი** გაირჯებიან. რაც შეეხება **ფაბიო კანავაროს**, მას მცირე ტრავმა აქვს და კარგ შემთხვევაში, სათადარიგოთა სკამზე მოუწევს ჯდომა.

გენუელები სამ ფეხბურთელს მოისაკლისებენ: **ხარჯას** და **პალასიოს** ტრავმები აქვთ, **მორეტი** კი დისკვალიფიცირებულია. „ჯენოა“ ტრადიციულად სამი ფეხბურთელით შეუტევს, ფლანგებიდან **პალადინო** და **აკვაფრესკა** ითამაშებენ, ცენტრფორვარდის ფუნქციები კი **ჯუზეპე სკულის** დაეკისრება. ბოლოს, **ჯანპიერო გასპერინის** წინასამატჩო სიტყვა:

*„თამაში გასვლაზე გვიწევს, თანაც ასეთ ძლიერ მეტოქესთან და არ ვიქნები მართალი, შეგირდებს უპირობო გამარჯვება მოვთხოვო. ჩვენი მიზანია, მაღალი ხარისხის ფეხბურთი შევთავაზოთ მეტოქეს, დანარჩენი კი უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება“.*

### სავარაუდო შემადგენლობები

**იუვენტუსი:** ბუფონი - გრიგერა, ლეგროტალიე, კიელინი - დე ჩელიე, კასერესი, სისოკო, კანდრევა - დიეგო - დელ პიერო, ამაური.

**ჯენოა:** ამელია - პაპასტატოპულოსი, დაინელი, ბოკეტი - როსი, მილანეტო, იურიჩი, კრიშიტო - პალადინო, აკვაფრესკა - სკული.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 23 | 16 | 5 | 2 | 49-20 | 53 |
| 2. მილანი | 23 | 13 | 6 | 4 | 39-24 | 45 |
| 3. რომა | 23 | 13 | 5 | 5 | 38-26 | 44 |
| 4. ნაპოლი | 23 | 10 | 8 | 5 | 32-27 | 38 |
| 5. პალერმო | 23 | 10 | 7 | 6 | 31-26 | 37 |
| 6. სამპდორია | 23 | 10 | 6 | 7 | 30-31 | 36 |
| 7. ჯენოა | 23 | 10 | 5 | 8 | 36-36 | 35 |
| 8. იუვენტუსი | 22 | 10 | 4 | 8 | 34-29 | 34 |
| 9. კალიარი | 22 | 9 | 5 | 8 | 34-29 | 32 |
| 10. ბარი | 23 | 8 | 8 | 7 | 30-25 | 32 |
| 11. ფიორენტინა | 22 | 9 | 4 | 9 | 28-25 | 31 |
| 12. პარმა | 23 | 8 | 6 | 9 | 26-32 | 30 |
| 13. კიევო | 23 | 8 | 5 | 10 | 23-24 | 29 |
| 14. ბოლონია | 23 | 6 | 7 | 10 | 24-31 | 25 |
| 15. უდინეზე | 23 | 6 | 6 | 11 | 28-32 | 24 |
| 16. კატანია | 23 | 5 | 8 | 10 | 23-30 | 23 |
| 17. ლივორნო | 23 | 6 | 5 | 12 | 15-31 | 23 |
| 18. ლაციო | 22 | 4 | 9 | 9 | 16-23 | 21 |
| 19. ატალანტა | 23 | 5 | 5 | 13 | 21-34 | 20 |
| 20. სიენა | 23 | 3 | 4 | 16 | 24-46 | 13 |

**ლაშა წიკლაური**



ჟოზე მოურინიო

## გერმანია. ბუნდესლიგა. XXII ტური



დღეს მიუნხენში დიდი ჯახია: ბაიერნი-დორტმუნდი

# გაჩერდება ბაიერნი დორტმუნდთან?

## მგლები კი ფარმაცევტების დაკბენას აპირებენ...

| გუშინ | |
|---|---|
| ბორუსია (მ)-ნიურნბერგი | 2:1 |
| **დღეს** | |
| ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 18:30 |
| შტუტგარტი-ჰამბურგი | 18:30 |
| ბოხუმი-ჰოფენჰაიმი | 18:30 |
| ჰანოვერი-ვერდერი | 18:30 |
| ჰერტა-მაინცი | 18:30 |
| ბაიერნი-ბორუსია (დ) | 21:30 |
| **ხვალ** | |
| შალკე-კიოლნი | 18:30 |
| აინტრახტი-ფრაიბურგი | 20:30 |

ბუნდესლიგის 22-ე ტური გუშინ მიონხენგლადბახის „ბორუსიისა“ და „ნიურნბერგის“ დაპირისპირებამ გახსნა და ეს იყო ამ ტურის პირველი ბრძოლა გადარჩენისთვის. დღეს კი, ელიტაში დარჩენისთვის მორიგი ნაბიჯის გადადგმის შანსი სარდაფის სხვა ბინადრებსაც მიეცემათ: **ლევან კობიაშვილის** „ჰერტა“ „მაინცს“ მასპინძლობს, ხოლო „ჰანოვერი“ კი ჩრდილოეთის დერბიში „ვერდერს“ მიიღებს. საინტერესოა, გააგრძელებს თუ არა „შტუტგარტი“ „ჰამბურგთან“ მატჩით მოგებების სერიას და შეინარჩუნებს თუ არა „ბოხუმი“ („ჰოფენჰაიმს“ ხვდება) პოზიციას ცხრილის შუაში. ყველაზე საინტერესოდ კი მოვლენები ლევერკუზენსა და მიუნხენში განვითარდება. ლიდერი კრიზისში მყოფ მოქმედ ჩემპიონ „ვოლფსბურგს“ მასპინძლობს, „ბაიერნი“ კი დორტმუნდის „ბორუსიას“.

„ლევერკუზენს“ ამ სეზონში ჯერ არც ერთი მატჩი არ წაუგია, მაგრამ წინა ტურში „ბოხუმთან“ 1:1 ითამაშა, რის შემდეგაც **იუპ ჰაინკესის** გუნდს „ბაიერნი“ ქულებით გაუთანაბრდა. ეს კი ის მომენტია, როცა ლევერკუზენელებმა მაქსიმალური კონცენტრაციით უნდა ითამაშონ, თორემ ლიდერობის დაკარგვის საფრთხე დაემუქრებათ. ფაქტია, რომ „ფარმაცევტები“ „ვოლფსბურგთან“ მატჩის წინ მძიმე წნეხის ქვეშ არიან მოქცეულები. „მგლებმა“ წინა ტურში სწორედ მიუნხენურ გრანდთან წააგეს (საკუთარ მოედანზე) და ცუდ დღეში არიან, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ვოლფსბურგს“ გასვლით მატჩებში დადებითი ბალანსი აქვს: 3 მოგება, 5 ფრე და 2 მარცხი. ჩემპიონების რიგებში უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშაა მეკარე **ანდრე ლენცის** თამაში, რომელიც პირველ კიპერს, **დიეგო ბენალიოს** (ასევე ტრავმირებულია) ცვლიდა. ასე რომ, დღეს „ვოლფსბურგის“ კარი მესამე მეკარემ, **მარვინ ჰიტცმა** უნდა დაიცვას, რომელიც „ვოლფსბურგის“ მოყვარულთა გუნდში (რეგიონალლიგა) თამაშობს. ამ უკანასკნელს ბუნდესლიგაში დღეს დებიუტი ექნება. სხვა მხრივ, ორივე გუნდს წამყვანი საყრდენი ნახევარმცველები აკლია: „ლევერკუზენს“ **არტურო ვიდალი**, „ვოლფსბურგს“ კი **მაკოტო ჰასებე**.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ლევერკუზენი (4-2-2-2):** რ. ადლერი - შვააბი, მ. ფრიდრიხი, ჰიიპია, კადლეცი - კასტრო, რაინარტცი - ბარნეტა, კროოსი - კისლინგი, დერდიოკი.

**ვოლფსბურგი (4-1-2-1-2):** ლენცი (ან ჰიტცი) - პეკარიკი, მადლუნგი, ბარძალი, მ. შეფერი - ჟოსუე - რიტერი, გენტნერი - მიშიმოვიჩი - გრაფიტე, ჯეკო.

**კრისტიან გროსმა** „შტუტგარტი“ ფეხზე წამოაყენა. შვაბებმა შვეიცარიელი მწვრთნელის ხელში ზედიზედ ხუთი თამაში მოიგეს და შესაბამისად, ცხრილის „სარდაფიდან“ ამოვიდნენ. შეიძლება ითქვას, რომ „შტუტგარტში“ უდიდესი ეიფორიაა, თუმცა მწვრთნელი და მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** ფანების დამშვიდებას ცდილობენ. მათი აზრით, ევროტურნირებზე ოცნება ჯერჯერობით არარეალურია. დღეს გროსის გუნდი „ჰამბურგს“ მასპინძლობს - გუნდს, რომელიც მეოთხე ადგილზეა, საიდანაც ევროპის ლიგაში მოხვედრაა შესაძლებელი. ამრიგად, თუ „შტუტგარტს“ ევროპაში გასასვლელად ბრძოლა სურს, „ჰამბურგსაც“ უნდა მოუგოს. წინა ტურში „ჰამბურგის“ რიგებში დებიუტი ჰქონდა **რუუდ ვან ნისტელროის**, თუმცა ჰოლანდიელმა მოედანზე მხოლოდ 3 წუთი დაყო. დიდი შანსია, რომ **ბრუნო ლაბადიამ** ვან ნისტელროი ამჯერად უფრო დიდხანს, ან სულაც სასტარტო შემადგენლობაში ათამაშოს.

„ჰოფენჰაიმსაც“ ზუსტად იმდენი ქულა აქვს, რამდენიც „შტუტგარტს“ და დღეს „სოფლელები“ ბოხუმში ჩადიან. **რალფ რანგნიკის** გუნდმა ერთი კვირის წინ საშინელი სერია (0/2/5) შეწყვიტა, დაამარცხა რა „ჰანოვერი“ ანგარიშით 2:1, მაგრამ „ჰოფემ“ იმ თამაშში წამყვანი მცველები, **იოზიპ შიმუნიჩი** და **მარვინ კომპერი** დაკარგა. შედეგად, „ჰოფენჰაიმმა“ გერმანიის თასის მეოთხედფინალური მატჩი წააგო („ვერდერთან“ 1:2) და ა მგზით ევროტურნირებზე მოხვედრის შანსი დაკარგა. სწორედ ამიტომ, „ჰოფე“ ახლა მთელ აქცენტს ბუნდესლიგაზე გააკეთებს. „ბოხუმი“ საკმაოდ კარგ ფორმაშია, წინა ტურში „ლევერკუზენთან“ ფრე გაახერხა და 2010 წელს ჯერაც დაუმარცხებელია.

მას მერე, რაც „ჰანოვერს“ **მირკო სლომკა** წვრთნის, „წითლებმა“ სამი მატჩი ჩაატარეს და სამივე წააგეს. ასე რომ, ამ კლუბში მწვრთნელის შეცვლას შედეგი არ მოუტანია. დღეს კი ჰანოვერელებს ბრემენის „ვერდერთან“ ექნებათ საქმე და უნდა შევახსენოთ, რომ „მუსიკოსებმა“ კრიზისს თავი დააღწიეს - ბუნდესლიგაში „ჰერტა“ დაამარცხეს, მერე კი გერმანიის თასის ნახევარფინალშიც გავიდნენ. შესაბამისად, დიდად საეჭვოა, რომ სლომკამ მაინცდამაინც „ვერდერთან“ შეძლოს წარმატების მიღწევა. თუმცა აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ვერდერს“ გერმანიის თასის ფინალისკენ გზა ხსნილი აქვს (ნახევარფინალში „აუგსბურგს“ ხვდება) და ფინალში „ბაიერნს“ ან „შალკეს“ უნდა შეხვდეს. ამ გუნდებმა კი ლოგიკურად ჩემპიონთა ლიგის საგზურები უნდა მოიპოვონ, რაც იმას ნიშნავს, რომ „ვერდერი“ თასის ფინალში გასვლითაც გაინაღდებს ევროპის ლიგაში ასპარეზობას. აი, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ბრემენელებს ბუნდესლიგაში დიდი მოტივაცია აღარ აქვთ, ეს უკვე აღარ ვიცით... აქვე იმასაც შევახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ „ჰანოვერში“ ბრწყინვალე დებიუტი ჰქონდა თავდამსხმელ **არუნა კონეს**, რომელმაც პირველივე შეხვედრაში გოლის გატანა შეძლო.

თუ ბერლინის „ჰერტას“ გადარჩენა უნდა, ვალდებულია, „მაინცთან“ მატჩში, თანაც, საკუთარ მოედანზე, სამი ქულა აიღოს. „მაინცი“ ამ სეზონის ერთ-ერთი აღმოჩენაა, მაგრამ კარნავალელები თამაშებს მხოლოდ საკუთარ კედლებში იგებენ, გასვლით მატჩებში კი მაინცდამაინც კარგად ვერ გამოიყურებიან (1 მოგება, 3 ფრე, 7 წაგება). „მაინცს“ წამყვანი ნახევარმცველი, **ტიმ ჰოოგლანდი** არ ეყოლება. სამაგიეროდ, ითამაშებს მარცხენა მცველი **მალიკ ფათი**, რომელიც ადრე „ჰერტას“ ღირსებას იცავდა და ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ასპარეზობა დღეს პირველად მოუწევს.

ტურის ცენტრალური მატჩი კი დღეს საღამოს მიუნხენში უნდა გაიმართოს: „ბაიერნი“ დორტმუნდის „ბორუსიას“ წინააღმდეგ. რეკორდმაისტერმა ზედიზედ რვა თამაშის მოგება შეძლო და ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ „ბაიერნის“ შემჩერებელი აღარავინაა. თუმცა სამი კვირის წინ „დორტმუნდზეც“ ასე გვეგონა - „ბორუსიას“ ზედიზედ ხუთი თამაში ჰქონდა მოგებული და მერე ზედიზედ ორ შეხვედრაში დამარცხდა. **ლუის ვან გაალი** ძირითად შემადგენლობას სავარაუდოდ არ შეცვლის და მოედანზე იმავე თერთმეტეულს შეუშვებს, რომელიც ერთი კვირის წინ „ვოლფსბურგთან“ ათამაშა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ფრანკ რიბერის** ისევ სათადარიგო მოთამაშის რანგით მოუწევს დაკმაყოფილება. პირველ წრეში „ბაიერნმა“ დორტმუნდს „ვესტფალენშტადიონზე“ შავი დღე აყარა: 5:1. ასე რომ, **იურგენ კლოპსა** და მის ბიჭებს შურისძიების სურვილი ამოძრავებთ. რეკორდმაისტერის წინააღმდეგ განსაკუთრებით გულანთებულია მცველი **მატს ჰუმელსი**, რომელიც ადრე სწორედ „ბაიერნის“ ღირსებას იცავდა.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ბაიერნი (4-2-2-2):** რენზინგი - ლამი, ვან ბუიტენი, დემიკელისი, ბადშტუბერი - ვან ბომელი, შვაინშტაიგერი - რობენი, თ. მიულერი - გომესი, ოლიჩი.

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - ოვომოიელა, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - ს. ბენდერი, ნ. შაჰინი - ბლაშჩიკოვსკი, ზიდანი, გროსკროიტცი - ბარიოსი.

0:0 ფრაიბურგში, უფრო ადრე კი 2:2 ბოხუმში - „შალკემ“ ბოლო ორ გასვლით მატჩში მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა. დღეს **ფელიქს მაგათის** გუნდი, რომელმაც ოთხშაბათს გერმანიის თასის ნახევარფინალში გააღწია, „კიოლნს“ მასპინძლობს. წესით, გელზენკირხენელებმა „თხები“ უნდა დაამარცხონ, რადგან „შალკეს“ საკუთარ მოედანზე ბოლო ხუთი თამაში მშრალი ანგარიშებით აქვს მოგებული. თუმცა „კიოლნი“ გასვლით შეხვედრებში საკმაოდ ძლიერია. ხვალვე ფრანკფურტის „აინტრახტი“ „ფრაიბურგს“ მიიღებს.

**გოტფრიდ ლენცი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევერკუზენი | 21 | 12 | 9 | 0 | 46-17 | 45 |
| 2. ბაიერნი | 21 | 13 | 6 | 2 | 45-18 | 45 |
| 3. შალკე | 21 | 12 | 6 | 3 | 31-15 | 42 |
| 4. ჰამბურგი | 21 | 9 | 9 | 3 | 40-24 | 36 |
| 5. ბორუსია (დ) | 21 | 10 | 6 | 5 | 30-26 | 36 |
| 6. ვერდერი | 21 | 8 | 7 | 6 | 39-25 | 31 |
| 7. აინტრახტი | 21 | 8 | 7 | 6 | 28-29 | 31 |
| 8. მაინცი | 21 | 8 | 6 | 7 | 25-29 | 30 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 21 | 8 | 4 | 9 | 29-25 | 28 |
| 10. შტუტგარტი | 21 | 7 | 7 | 7 | 26-26 | 28 |
| 11. ბორუსია (მ) | 22 | 8 | 4 | 10 | 31-36 | 28 |
| 12. კიოლნი | 21 | 6 | 7 | 8 | 20-24 | 25 |
| 13. ვოლფსბურგი | 21 | 6 | 7 | 8 | 37-42 | 25 |
| 14. ბოხუმი | 21 | 5 | 7 | 9 | 23-37 | 22 |
| 15. ფრაიბურგი | 21 | 5 | 4 | 12 | 20-39 | 19 |
| 16. ჰანოვერი | 21 | 4 | 5 | 12 | 23-36 | 17 |
| 17. ნიურნბერგი | 22 | 4 | 4 | 14 | 18-39 | 16 |
| 18. ჰერტა | 21 | 2 | 5 | 14 | 17-41 | 11 |

ბაიერნი

# ალაბას ზღაპარი

ოთხშაბათს, გერმანიის თასის მეოთხედფინალში, „ბაიერნისა“ და „ფიურტის“ დაპირისპირების 59-ე წუთზე, რეკორდმაისტერის მთავარმა მწვრთნელმა **ლუის ვან გაალმა** მოედანზე 17 წლის **დავიდ ალაბა** შეუშვა. ცოტა ხანში, ახალგაზრდა ნახევარმცველმა საგოლე პასი გააკეთა, რის შემდეგაც ანგარიში 3:2 გახდა (მიუნხენელთა სასარგებლოდ). ალაბა მოედანზე უკრაინელი **ანატოლი ტიმოშჩუკის** ნაცვლად შევიდა და მატჩის შემდეგ ვან გაალმა თქვა, დავიდი უკვე ჩამოყალიბებული ფეხბურთელიაო.

ალაბა ვუნდერკინდია, რომელიც ვენაში დაბადებულ-გაზრდილი გახლავთ. *„ძალიან გამიკვირდა, როცა მითხრეს, რომ „ფიურტთან“ მატჩის განაცხადში მოვხვდი. ივიცა ოლიჩი ავად გახდა და ვან გაალმა მის ნაცვლად მე მიხმო. რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა, მაგრამ არ ვარ ისეთი ადამიანი, რომელსაც წარმატება თავში აუვარდება. სამაგიეროდ, მოტივაცია გამიორმაგდა და ამიერიდან უფრო დიდი მონდომებით ვივარჯიშებ. ჩემი მიზანი ბუნდესლიგაა“*, - განუცხადა 17 წლის ალაბამ ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

დავიდ ოლატუკუნბო ალაბა „ბაიერნის“ ბავშვთა გუნდში 2009 წლიდან თამაშობდა და მერე მიუნხენური გრანდის მოყვარულთა გუნდში გადაინაცვლა, რომელიც მესამე ბუნდესლიგაში ასპარეზობს. ზამთარში ვან გაალმა ალაბა დუბაიში პირველ გუნდთან ერთად წაიყვანა და მას მერე, ავსტრიის ნაკრების ფეხბურთელზე მიუნხენში უდიდეს იმედებს ამყარებენ. მოყვარულთა გუნდში ალაბას **მეჰმეთ შოლი** წვრთნის, რომელიც ბავშვობაში დავიდის უსაყვარლესი ფეხბურთელი იყო. ავსტრიის ეროვნულ გუნდში კი ალაბამ პირველად შარშან ითამაშა - მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, საფრანგეთის წინააღმდეგ.

დავიდის დედა ფილიპინელია, მამა კი ნიგერიელი მუსიკოსი, მაგრამ ალაბა ვენაშია დაბადებული (1992 წლის 24 ივნისს). მამამისი ვენის ბარ „ბევერლი ჰილზის“ დიჯეი გახლავთ და ერთ დროს მისი ჰიტი ავსტრიულ ჩარტებში მეორე ადგილზეც კი იყო. ალაბა: *„მამაჩემმა მითხრა, ფეხბურთი ისევეა, როგორც მუსიკა - დიდი ხელოვანები არასდროს კმაყოფილდებიან, ისინი სიკვდილამდე ყოველდღე პროგრესირებენო.“*

გახდება თუ არა 18 წლის, მიუნხენელები ალაბას პროფესიულ კონტრაქტს გაუფორმებენ...

**ბაიერნის ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელები**

| ფეხბურთელი | ასაკი |
|---|---|
| 1. ოლივერ შტეგმაიერი | 17/4/16* |
| 2. დავიდ ალაბა | 17/7/17 |
| 3. ტონი კროოსი | 17/8/22 |
| 4. ბერქანთ გიოქთანი | 17/9/18 |
| 5. როკე სანტა კრუსი | 18/0/06 |
| 6. მაქს ებერლი | 18/0/28 |
| 7. სამუელ კუფური | 18/1/26 |
| 8. ტორსტენ ოტი | 18/2/10 |
| 9. ბასტიან შვაინშტაიგ. | 18/3/12 |
| 10. ფრანც გერბერი | 18/4/19 |

* - წელი/თვე/დღე

**გოტფრიდ ლენცი**



ბაიერნში დავიდ ალაბას დებიუტი შედგა



ფინალი რაიან გიგზის გარეშე ჩაივლის

ტრავმა

# გარემარბ რაიანის იდაყვი

**რაიან გიგზი** „ქარლინგის“, იმავე ლიგის თასის ფინალში ვერ ითამაშებს, რადგან ოთხშაბათს „ასტონ ვილასთან“ შეხვედრაში იდაყვი გაიტეხა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ 36 წლის ვეტერანი ერთი თვის განმავლობაში ვერ ითამაშებს. თამაშებზე თუ გადავიანგარიშებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ უელსელი გარემარბი გამოტოვებს პრემიერლიგის სამ შეხვედრას, ჩემპიონთა ლიგის თამაშს „მილანის“ წინააღმდეგ და 28 თებერვალს დანიშნულ ლიგის თასის ზემოხსენებულ ფინალს, სადაც „იუნაიტედის“ მოწინააღმდეგე ისევ „ვილა“ იქნება.

გიგზი ბირმინგემის „ვილა პარკზე“ 1:1 დასრულებულ შეხვედრაში **სტივენ სიდუელთან** შეჯახებისას დაშავდა. ეს ამბავი „იუნაიტედისთვის“ კიდევ ერთი დარტყმა გახლდათ, რადგან იმავე შეხვედრაში გუნდის კიდევ ერთმა გარემარბმა, პორტუგალიელმა **ნანიმ** წითელი ბარათი მიიღო და სამი თამაშის გამოტოვება მოუწევს. მანჩესტერელთა თავკაცმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** განაცხადა:

*„რაიანს მკლავში ფირფიტა ჩაუყენეს, რომელსაც ორ კვირაში მოაშორებენ. ამის შემდეგ ის ვარჯიშს შეძლებს და „მილანთან“ საპასუხო შეხვედრისთვის მზად იქნება, მაგრამ ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ მას კარგა დიდი ხანი გაუცდება“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

დამნაშავე

# ნანიმ ფერგი გააბრაზა



ნანი უხეშობის მომენტში

**ნანის** სერ ალექს ფერგიუსონთან „სამშვიდობო პაქტი“ ჰქონდა დადებული, რომელიც „ასტონ ვილასთან“ შეხვედრაში გაძევებით დაარღვია - ბირმინგემის გუნდმა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ 1:1 ითამაშა. პორტუგალიელი „ვილა პარკზე“ გამართული შეხვედრის 29-ე წუთზე გააძევეს, რის შემდეგაც ინგლისის ჩემპიონს უმცირესობაში მოუხდა მოწინააღმდეგესთან ბრძოლა.

შეგახსენებთ, რომ მწვრთნელსა და გარემარბს შორის ურთიერთობა მაშინ დაიძაბა, როდესაც ნანიმ განაცხადა, რომ ფერგიუსონმა მას კარიერა გაუფუჭა. ამის შემდეგ დამრიგებელმა და შეგირდმა საერთო ენა გამონახეს, თუმცა ახლა, როდესაც **სტილიან პეტროვის** წინააღმდეგ უხეშობის გამო პორტუგალიელს სამი თამაშის გამოტოვება მოუწევს, ის შიშობს, რომ ყველაფერი წყალშია გადაყრილი.

*„შესვენებისას მწვრთნელს ველაპარაკე და ის ჩემზე გაბრაზებული იყო. ის, რომ პრემიერლიგაში ასეთი ორთაბრძოლები მიღებული არ არის, ნორმალურია. მართალია, განზრახ ამ მიუხეშია, მაგრამ ვაღიარებ, რომ სასჯელს ვიმსახურებდი. მინდოდა, ფეხით ბურთს შევხებოდი და არა პეტროვს. მაგრამ ვინაიდან ეს ინციდენტი მოედნის შუაში მოხდა, ვფიქრობ, მსაჯს წითელი ბარათი არ უნდა ამოეღო. მე უხეში ფეხბურთელი არ გახლავართ. სპორტის ამ სახეობაში ჩაფლული მოთამაშე ვარ. მინდოდა, ბურთს დავუფლებოდი და ამის შესაძლებლობა მაშინ დავინახე, როდესაც ის პეტროვს მიუვიდა. ვწუხვარ, რომ ჩემ გამო ჩემი გუნდი დაზარალდა. ეჭვი არ მეპარება, 11 კაცით რომ გაგვეგრძელებინა თამაში, მოვიგებდით. ამ ფრის გამო ცხრილში პირველ ადგილზე ვერ გადავედით. ერთი სიტყვით, რაც მოხდა ძალიან ცუდია, რადგან, საუკეთესო ფორმაში ვიყავით“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

ბომბარდირი

# სააჩუქარი იუნაიტედს

ოთხშაბათს „ევერტონმა“ „ჩელსის“ 2:1 მოუგო - ლონდონელების კარში ორივე გოლი ფრანგმა **ლუი საამ** გაიტანა. საა ამბობს, რომ თუ ამ გოლების წყალობით მისი ყოფილი გუნდი, „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ჩელსის“ გადაასწრებს და პრემიერლიგის ჩემპიონი გახდება, იგი ძალიან გაიხარებს - მას „იუნაიტედში“ ოთხი წელიწადი აქვს გატარებული, „ევერტონში“ კი წელიწად-ნახევრის წინ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. თავდამსხმელმა თქვა:

*„ყველაზე დიდი სიამოვნებით განვაცხადებდი, რომ ჩემპიონობას „ევერტონი“ მოიპოვებს და „ჩელსის“ დამარცხება ამისთვის იყო მნიშვნელოვანი, მაგრამ ეს არარეალურია. „ჩელსი“, რასაკვირველია, ძლიერი გუნდია, მაგრამ მას „იუნაიტედი“ სჯობია და თუ ტიტულს მოიპოვებს, კმაყოფილი დავრჩები. მინდა ჩემპიონი ჩემი ყოფილი გუნდი გახდეს. „იუნაიტედის“ ბევრ ფეხბურთელთან დღემდე ინტენსიური ურთიერთობა მაქვს. ყველაზე მეტად პატრის ევრასთან ვმეგობრობ. ხშირად ტელეფონით ვსაუბრობ უეინ რუნისა და ოუენ ჰარგრივსთან. მანჩესტერში ძალიან კარგი ბიჭების დიდი ჯგუფი მეგულება. ვიცი, ჩემმა გოლებმა ისინი ძალიან გაახარა. ახლა დამირეკავენ და დამირეკავენ, თუმცა, არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ მე „ჩელსისთან“ „იუნაიტედისთვის“ ვთამაშობდი. ჩემი მთავარი ამოცანა „ევერტონია“. მინდა ეს გუნდი ცხრილში რაც შეიძლება მაღალ საფეხურზე გავიყვანო“.*

როგორც ინგლისური გაზეთები აღნიშნავენ, საას სიხარული **ჯონ ტერის** გუნების გაფუჭებაზე გახლდათ დაფუძნებული - ფრანგის ორივე გოლში ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტნის შეცდომა ერია. პირველი გოლის დროს ტერიმ საას ცხვირწინ გარბენის საშუალება მისცა, მეორე ეპიზოდში კი **სილვენ დისტენის** პასი გამოეპარა. საამ სასიყვარულო სკანდალებში გახვეული და ისედაც საშინლად გაკრიტიკებული ლონდონელი მცველის დაცვა სცადა:

*„კარგად ვიცი, რომ ხალხი ჩემს გოლებს ტერის აბრალებს, მაგრამ ისინი არ დააკვირდნენ, რომ მეორე ეპიზოდში დიდებული პასი მომაწოდეს. მე მივრბოდი და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ასეთი პასის მერე ბურთი ზუსტად მომძებნიდა. ჩვენს გუნდში სილვენის გარდა კიდევ რამდენიმე ფეხბურთელია, რომელთაც ასეთი შესანიშნავი პასების მოწოდება შეუძლიათ. მაგალითად, ლეიტონ ბაინესი, ჯონ ჰეიტინგა და ფილ ნევილი. „ლივერპულთან“ დამარცხების შემდეგ „ჩელსისთან“ ასეთი თამაში ჩვენს უტეხ სულზე მიუთითებს. გამოსაფხიზლებლად, კარგი შედეგის მიღწევა უმაღლესი დონის მეტოქესთან იყო საჭირო“.*

სტატისტიკა მეტყველებს, რომ ლუი საას „ჩელსისთან“ ბოლო სამ შეხვედრაში ოთხი გოლი აქვს გატანილი. საერთოდ კი, მიმდინარე სეზონში ფრანგმა ფორვარდმა 15 გოლი გაიტანა, რაც უკვე, ბოლო 6 წელიწადში მისი საუკეთესო შედეგის ტოლფასია.

*„არა, საკუთარი რეკორდის გაუმჯობესება საგანგებო მიზნად ნამდვილად არ მქონია დასახული“*, - თქვა თავდამსხმელმა.



ლუის საა ყოფილი გუნდის ჩემპიონობით ძალიან გაიხარებს

**ილია ბაბუნაშვილი**

ინგლისის ნაკრები



ეშლი კოული ტრავმირებულია

# კაპელოს ხელი ეშლება

**ეშლი კოულმა** მარცხენა ფეხის კოჭი გაიტეხა და მისი მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრება მეტისმეტად საეჭვო გახდა. ბევრი ამტკიცებს, რომ ამთავითვე დაბეჯითებით შეიძლება თქმა: კოულის სამხრეთ აფრიკაში გამგზავრება გამორიცხულია - რაც იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან ინგლისელთა მწვრთნელი **ფაბიო კაპელო** ურთულესი ამოცანის წინაშე დგას: **ჯონ ტერი** და **უეინ ბრიჯი** ერთ გუნდში, მეტიც, ერთი დაცვის ხაზზე უნდა ათამაშოს. მათ ერთმანეთი უნდა დააზღვიონ, ერთმანეთის მხარდამხარ უნდა იბრძოლონ.

„ჩელსის“ მარცხენაფლანგელმა კოულმა კი გატეხილი ძვლის გასამრთელებლად გუშინ ოპერაცია გაიკეთა. ის სამი თვე ველარ ითამაშებს და, შესაბამისად, ნაკრების მთელ მოსამზადებელ პერიოდს გამოტოვებს. სამხრეთ აფრიკაში ინგლისელთა პირველი თამაში 12 ივნისს აშშ-ის ნაკრებთან უწევს. და ბედის ირონია რა არის, იცით? კოული მაინცდამაინც ამერიკელ ფეხბურთელ **ლენდონ დონოვანთან** შეტაკებამ დააშავა. ეს ოთხშაბათს მოხდა, როდესაც ლივერპულის „გუდისონ პარკზე“ „ევერტონმა“ „ჩელსის“ 2:1 მოუგო.

გაზეთ „სანს“ ფეხბურთელის ერთ-ერთმა ახლო მეგობარმა უამბო: *„ეშლი განადგურებულია. ყველაზე მეტად ახლა არ უნდოდა დაშავება და ებლაუჭება იმედს, რომ გამოჯანმრთელებას მოასწრებს, ფაბიო კაპელო კი მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანს. იგი იმდენად შეძრა მომხდარმა, რომ ამ ტრავმასა და მსოფლიოს ჩემპიონატზე ლაპარაკიც კი არ სურს“.*

ეშლი კოულის შესახებ ჟურნალისტებმა ფაბიო კაპელოსაც ჰკითხეს: *„ეს ჩემთვის ძალიან ცუდი ამბავია, რადგან კოული ჩემი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია. ეშლი თავის დაცვის დროსაც ძალიან ძლიერია და შეტევაშიც მარდად გადადის. იმედი მაქვს, მისი საქმე არც ისე ცუდად არის, როგორც ახლა ამბობენ“.*

და როგორც თავში მოგახსენეთ, კაპელოს კოულის ტრავმამ შეიძლება ერთი სერიოზული პრობლემაც დაამატოს: „ჩელსის“ მარცხენა მცველის მთავარი შემცვლელი უეინ ბრიჯი გახლავთ, კაცი, რომლის ცოლთან (ასეც შეიძლება ითქვას ქალზე, რომელთანაც ცხოვრობდა და შვილი ჰყავს) გუნდის გადაყენებულმა კაპიტანმა ჯონ ტერიმ სასიყვარულო ურთიერთობა გააბა. შესაბამისად, ამ ორი ფეხბურთელის მოედანზე ერთმანეთის მხარდამხარ გამოყვანა, შეიძლება მიზანშეწონილი არც იყოს. მეტიც, ამბობენ, რომ ბრიჯი ნაკრებში თამაშზე უარსაც კი იტყვის - ყოველ შემთხვევაში 3 მარტს, როდესაც ინგლისის ეროვნულ გუნდს ეგვიპტელებთან ამხანაგური შეხვედრა აქვს დაგეგმილი.

**ილია ბაბუნაშვილი**

ზიძინა ზარქუათაშვილი წარმოგიდგენთ

# იქ, ამერიკაში...

## კოპა სანტანდერ ლიბერტადორესი 2010

# ტრიუმფატორის ტრიუმფალური სტარტი


ესტუდიანტესი-ხუან აურიხი 5:1. მაურო ბოსელიმ ჰეტ-თრიკი შეასრულა

იანვრის მინურულს სტარტი აიღო ლათინური ამერიკის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის „კოპა სანტანდერ ლიბერტადორესის" 2010 წლის გათამაშებამ, რომელშიც 11 ქვეყნის 40 კლუბი ჩაება. საკვალიფიკაციო ეტაპი (6 წყვილიდან) ყველაზე დამაჯერებლად პერუს „ხუან აურიხმა" დაძლია, რომელმაც გასაკვირად ადვილად მოუგო ფავორიტად მიჩნეულ მექსიკურ „ესტუდიანტესს" - ჩიკლაიოში 2:0, გვადალახარაში 2:1. ყველაზე დრამატული კი ჩილეს „უნივერსიდად კატოლიკასა" და არგენტინული „კოლონის" პაექრობა გამოდგა. გუნდებმა საშინაო მატჩები ერთნაირი (და იშვიათი) ანგარიშით 3:2 მოიგეს, პენალტები კი უკეთ ჩილელებმა დაარტყეს 5:3. დანარჩენ წყვილებში იმარჯვეს: ურუგვაის „რასინგმა" (კოლუმბიურ „ხუნიორთან" 2:2, 2:0), ბრაზილიურმა „კრუზეირომ" (ბოლივიურ „რეალ პოტოსისთან" 1:1, 7:0), პარაგვაის „ლიბერტადმა" (ვენესუელურ „ტაჩირასთან" 0:1, 3:1) და ეკვადორის „ემელეკმა" (არგენტინულ „ნიუელსთან" 0:0, 2:1)

ერთ წერილში ყველა მონაწილის წარდგენა ძნელია, ამიტომ დღეს გაგეცნოთ 1-4 ჯგუფებში მოასპარეზე კლუბებს.

**ჯგუფი 1**

კორინთიანსი (ბრ), სერო პორტენიო (პარ), ინდეპენდიენტე (კოლ), რასინგი (ურ)

**სერო პორტენიო-ინდეპენდიენტე 1:1 (რამირესი - კასტრო)**

### კორინთიანსი (ბრაზილია), ჯგუფის ფავორიტი

ბრაზილიაში პოპულარობით მეორე კლუბი 4 წელია არ ყოფილა კოპას მონაწილე. „კოპა ბრაზილ 2009"-ის მოგებით **მანო მენეზეშის** გუნდმა ტურნირის საგზური მოიპოვა. გუნდში არაერთი სუპერვარსკვლავია შეკრებილი. ვფიქრობ, ევროპაში გატარებული 15-წლიანი პერიოდის შემდეგ დაბრუნებული **რობერტო კარლოსი** (36 წლის) და **რონალდო** (33) დიდ წარდგენას არ საჭიროებენ. ძალიან გამოცდილია 35 წლის **იარლეიც**, რომელსაც კოპა 2006 წელს „ინტერნასიონალის" რიგებში, ხოლო საკონტინენტთაშორისო თასი ორჯერ - იმავე „ინტერთან" (2006) და „ბოკასთან" (2003) ერთად აულია. „ურაკანიდან" ნაყიდი 20 წლის არგენტინელი **მატიას დეფედერიკო** კი მომავლის იმედად ითვლება.

### სერო პორტენიო (პარაგვაი)

„კოპა ნისან სუდამერიკანას" 2009 წლის ნახევარფინალისტი 4-3-2-1 სისტემის მიმდევარია. გუნდის სათავეში მოსულმა 1990 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, არგენტინელმა **პედრო ტროლიომ** გაიხსენა, რომ კლუბი მისი თანამემამულეების დაარსებულია („პორტენიო" ბუენოსაირესელს ნიშნავს) და შემადგენლობაში 6 არგენტინელი დააყენა. ყველაზე გამოცდილებს - მეკარე **ესეკილ მედრანს** და 30 წლის **ხავიერ ვილარეალს** (კოპას ორგზის მფლობელი - 2001, 2003) „ბოკაში" უთამაშიათ, **რობერტო ნანის** - „ველესსა" და კიევის „დინამოში". დანარჩენები (**დიეგო ერნერი, მიგელ ტორენი, სებასტიან ერეროსი**) საშუალო მასშტაბისანი არიან. ადგილობრივთაგან გამოირჩევიან გუნდის კაპიტანი **ხორხე ბრიტესი**, ახალგაზრდა ტალანტი **ხულიო დოს სანტოსი** და ფორვარდი **რამონ „ტაკუარიტა" კარდოსო** („ბენფიკასა" და ნაკრების თავდამსხმელი **ოსკარ კარდოსოს** ძმა).

„სერო პორტენიოსთვის" ეს კოპას 33-ე გათამაშებაა (1962 წლიდან), საუკეთესო შედეგი კი ნახევარფიანალი (1973, 1978, 1993, 1998, 1999).

### ინდეპენდიენტე მედელინი (კოლუმბია)

5-წლიანი პაუზის მერე კოლუმბიის ნარკოდედაქალაქის გუნდმა მოიგო „ტორნეო ფინალისასიონი" და კოპას საგზური მიიღო. ახლა გუნდს სათავეში უდგას 1989 წელს „ატლეტიკო ნასიონალის" რიგებში გამარჯვებული, მოგვიანებით კოლუმბიის ნაკრებთან ერთად 1990, 1994 წწ. მუნდიალების მონაწილე **ლიონელ ალვარესი**. წამყვანი მოთამაშეები არიან: პარაგვაელი მეკარე **ალდო ბობადილია**, კოლუმბიის ნაკრების წევრები - გუნდის კაპიტანი **ჯონ ხავიერ რესტრეპო, ტრესორ მორენო, ლუის კარლოს არიასი** და **ფელიპე პარდო**. მთავარი პრობლემაა მექსიკაში გაყიდული გოლეადორი **ჯექსონ მარტინესის** შეცვლა...

აქამდე კოლუმბიელთა საუკეთესო შედეგი 2003 წლის ნახევარფინალია, სადაც მათ **დიეგოსა** და **რობინიოს** „სანტოსთან" წააგეს.

### რასინგი (ურუგვაი)

ტურნირის ერთადერთი დებიუტანტის მწვრთნელ **ხუან ვერსერს** 2 ნახევარმცველის - **დიეგო სკოტისა** და განსაკუთრებით 20 წლის **მატიას მირაბახესის** იმედი აქვს. შედეგიანი ფორვარდია **ლიბერ კინიონესი**, რომელმაც რეპაშაჟის საშინაო მატჩში „ხუნიორთან" დუბლი შეასრულა.

საშინაო მატჩებს კლუბი მონტევიდეოს „ნასიონალის" სტადიონ „პარკ სენტრალზე" ატარებს.

**ჯგუფი 2**

სან პაულუ (ბრ), მონტერეი (მექ), ონსე კალდასი (კოლ), ნასიონალი (პარ)

**სან პაულუ-მონტერეი 2:0 (ვაშინგტონი 2)**

**ნასიონალი-ონსე კალდასი 0:2 (კასტრილიონი, ოტერო)**

### სან პაულუ (ბრაზილია), ჯგუფის ფავორიტი

„ტრიკოლორს" ბრაზილიაში 17 მილიონი მხარდამჭერი ჰყავს. 2004 წლიდან მოყოლებული იგი მუდმივად თამაშობს ლიბერტადორესზე, ისტორიაში კი 3 გამარჯვება (1992, 1993, 2005) და ამდენივე ფინალი (1974, 1994, 2006) დაუგროვდა. საერთოდ, საერთაშორისო არენაზე „სან პაულუ" ყველაზე წარმატებული ბრაზილიური კლუბია (11 ტიტული).

„სელესაოს" ყოფილი მცველი **რიკარდო გომეშის** გუნდში მთავარ ვარსკვლავად სამართლიანად მიიჩნევა 37 წლის მეკარე-ბომბარდირი **როჟერიო სენი**, რომელსაც კოლეგებს შორის ყველაზე მეტი (86) გოლი აქვს გატანილი, პირად კოლექციაში კი 24 პრიზი (მათ შორის, მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი და 2 კოპა) დაუგროვდა. დაცვაში გუნდმა ახლახან დაიმატა „რომადან" ნათხოვარი **სისინიო**, ნახევარდაცვისთვის კი ძალიან დიდი ძალაა „ატლეტიკოდან" დაბრუნებული **კლებერ სანტანა** და განსაკუთრებით 24 წლის **ერნანესი**, რომელიც 2008 წელს ქვეყნის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია შესანიშნავი სტადიონი „მორუმბი" (80 000) და რა თქმა უნდა ბრაზილიელთათვის აუცილებელი ისტორიულ პერსონაჟთა ტრიო: **ველინგტონი, დაგობერტი** და **ვაშინგტონი**, რომელთაგან უკანასკნელი ჩემპიონატშიც ბომბარდირობდა და მექსიკელებთანაც დუბლი გაახერხა.

### მონტერეი (მექსიკა)

მექსიკის მოქმედი ჩემპიონის მწვრთნელი **ვიქტორ მანუელ ვუჩეტიჩი** იმედიანადაა. მართალია, ჩილელი ბომბარდირი **უმბერტო სუასო** „სარაგოსაში" გაიყიდა, გუნდში მრავლად არიან მაღალი კლასის შემსრულებლები: დაცვაში - მექსიკის ნაკრების გამოცდილი ტანდემი: **დუილიო დავინო** (85 მატჩი) და **გერალდო გალინდო**, მოედნის ცენტრში - ეკვადორელი **ვალტერ აიოვი**, მექსიკის ნაკრების ნახევარმცველი **ხესუს არელანო** (47 მატჩი) და „ბოკაში" ტიტულებს ნაჩვევი 23 წლის არგენტინელი **ნერი კარდოსო** (2007 წლის „კოპა ლიბერტადორესი", 2 კოპა სუდამერიკანა, 3 რეკოპა, 3 არგენტინის ჩემპიონატი), რომელმაც 2005 წელს **ლიონელ მესისთან** ერთად მოიგო ახალგაზრდული მუნდიალი და სხვა.

### ონსე კალდასი (კოლუმბია)

2004 წელს მეკარე **ხუან კარლოს ენაოს** ბრწყინვალე თამაშის წყალობით, მაშინ ყველასთვის უცნობმა „ონსე კალდასმა" კოპას ფინალში მოუგო „ბოკას" და თასს დაეუფლა. ახლა იგი მეხუთედ მონაწილეობს ტურნირში როგორც 2009 „აპერტურას" ჩემპიონი. მწვრთნელ **ხუან კარლოს ოსორიოს** ბუქარესტის „სტიაუადან" ფორვარდი **დაირო მორენო** დაუბრუნდა. მთავარ იმედებს კი ახლადმოწვეულ მეორე თავდამსხმელ **ედვინ კონგოზე** ამყარებენ, რომელსაც ერთ დროს მადრიდის „რეალში" აქვს ნათამაშები, ბოლოს კი ესპანეთის მეხუთე (!!!) ლიგის „ოლიმპიაში" ირიცხებოდა.

### ნასიონალი (პარაგვაი)

63-წლიანი პაუზის მერე ქვეყნის ჩემპიონატის მომგები „ნასიონალი" მეორედ მონაწილეობს ტურნირში. ასუნსიონის „ოლიმპიას" ექსმეკარე (კოპასა და საკონტინენტთაშორისო თასის 1979 წლის გამარჯვებული), დღეს კი მწვრთნელი, ურუგვაელი **ევერ ალმეიდა** თავისი არგენტინელი კოლეგის **იგნასიო დონის** იმედადაა, წინ კი 36 წლის ვეტერანი კაპიტანი **დენის კანისასი** (92 მატჩი ნაკრებში).

**ჯგუფი 3**

ესტუდიანტესი (არ), ალიანსა (პერ), ბოლივარი (ბოლ), ხუან აურიხი (პერ)

**ბოლივარი-ალიანსა 1:3 (ფერეირა - ფერნანდესი 2, მონტანიო)**

**ესტუდიანტესი-ხუან აურიხი 5:1 (ბოსელი 3, რე, გონსალესი - ტეხადა)**

### ესტუდიანტესი (არგენტინა), ჯგუფის ფავორიტი

შარშანდელი გათამაშების გამარჯვებული კოპას „გიგანტთა" რიცხვს განეკუთვნება და ჯგუფური ეტაპიც ტრიუმფალურად დაიწყო - საკვალიფიკაციო ეტაპზე დამაჯერებლად მოთამაშე „ხუან აურიხი" (პერუ) 5:1 გაანადგურა. იგი სულ 10-ჯერ ჩაება თასისთვის ბრძოლაში და 4 (1968, 1969, 1970, 2009) ტრიუმფი იზეიმა, ერთხელაც (1971) ფინალში წააგო.

მწვრთნელმა **ალეხანდრო საბელამ** თასის შენარჩუნება კვლავ მთავარ პრიორიტეტად დაასახელა. „ესტუდიანტესზე" წინა წერილებში დეტალურად ვისაუბრეთ, ამიტომ მხოლოდ იმას გეტყვით, რომ კლუბმა პრაქტიკულად მთლიანად შეინარჩუნა შემადგენლობა. ხოლო **გასტონ ფერნანდესის** ბოლო მომენტში ჩაშლილი ტრანსფერი **მარსელო კარუსკასა** და **ხოსე ერნესტო სოსას** დამატებამ უნდა აანაზღაუროს. მთავარ ვარსკვლავად წინა ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებული **ხუან ვერონი** რჩება. თუმცა სერიოზული განაცხადი გააკეთა „ხუან აურიხთან" ჰეთ-თრიკის შემსრულებელმა **მაურო ბოსელიმაც**.

### ალიანსა (პერუ)

კლუბში დაბრუნებული არგენტინელი **გუსტავო კოსტასის** ხელში „ალიანსა" 2003, 2004 წლებში ორჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი. დღეს გუნდის თამაში დიდწილად დამოკიდებულია იტალიაში („პარმა", „ვერონა", „პიაჩენცა") ნათამაშები კოლუმბიელი **ხონიერ მონტანიოს** ფორმაზე, კიდევ 2 საკვანძო ფიგურაა პარაგვაელი ფორვარდი **რობერტო ოველარი** და პერუს ნაკრების მცველი **მარკო კიურლისა** (34 მატჩი). „ალიანსა" ორჯერ 1976, 1978 წლებში იყო კოპას ნახევარფინალისტი, როცა გუნდში ლეგენდარული **ტეოფილო „ნენე" კუბილასი** ბრწყინავდა.

### ბოლივარი (ბოლივია)

ბოლივიის 16-გზის ჩემპიონის საუკეთესო შედეგი 1986 წლის კოპას ნახევარფინალისტობაა. კოლუმბიელი **სანტიაგო ესკობარის** (1994 წლის მუნდიალზე საკუთარ კარში გატანილი გოლის გამო მოკლული **ანდრეს ესკობარის** ძმა) გუნდში გამოირჩევიან მეკარე **კარლოს არიასი**, მცველები **აბდონ რეიესი**, არგენტინელი **ალეხანდრო სკიაპარელი, ლეონელ რეიესი** და ურუგვაელი სნაიპერი **ვილიამ ფერეირა** (25 გოლი შარშან). მაგრამ მთავარი იარაღი მაინც სტადიონი „ერნანდო სილესია", უფრო სწორად კი მისი მდებარეობა - 3600 მეტრი ზღვის დონიდან, სადაც **დიეგო მარადონას** არგენტინა 1:6 განადგურდა!!!

### ხუან აურიხი (პერუ)

რეპაშაჟგამოვლილი „ხუან აურიხი" მთლად ხელწამოსაკრავი რომ არაა, ეს თავის თავზე მექსიკურმა „ესტუდიანტესმა" გამოსცადა. მართალია, აქამდე კოპაზე გუნდმა ერთადერთხელ, 1969 წელს ითამაშა და ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწია, მაგრამ ახლა ეკვადორის ნაკრების ყოფილმა კოლუმბიელმა თავკაცმა (მათ შორის 2006 მუნდიალზე) **ლუის ფერნანდო სუარესმა** ძალიან მებრძოლი კოლექტივი ჩამოაყალიბა, რომელიც პრაქტიკულად დაუმარცხებელია საკუთარ კედლებში.

გუნდიდან წასული ვეტერანები - 37 წლის არგენტინელი **სერხიო იბარა** (205 გოლით პერუს ყველა დროის ბომბარდირი) და 32 წლის კოლუმბიელი **მაიერ კანდელო** ჩაანაცვლეს „ეინდჰოვენიდან" ნათხოვარმა 19 ტალანტმა წლის ნახევარმცველმა **რაიმონდ მანსომ** და კოლუმბიელმა **რიკარდო სიცილიანომ**. მთავარი ვარსკვლავია პანამელი ბომბარდირი **ლუის ტეხადა** (42 მატჩი, 16 გოლი ნაკრებში), რომელმაც მექსიკელებთან ორმატჩიან დუელში 3 გოლი გაიტანა.

**ჯგუფი 4**

ლანუსი (არ), უნივერსიტარიო (პერ), ბლუმინგი (ბოლ), ლიბერტადი (პარ)

*ფავორიტი: არავინ*

**ლანუსი-ლიბერტადი 0:2 (ვარელა, ველასკესი)**

**ბლუმინგი-უნივერსიტარიო 1:2 (ლანსა - ორეხუელა, დიასი)**

### ლანუსი (არგენტინა)

არგენტინის ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელ **ლუის სუბელდიას** ბევრი საკადრო პრობლემა აქვს და მიუხედავად იმისა, რომ კოპა პრიორიტეტად გამოაცხადა, არა მგონია შარშანდელზე ბევრად უკეთესი შედეგი (ჯგუფში ჩარჩა) მიიღოს. სასტარტო მატჩში საშინაო მარცხიც ამას მოწმობს.

ერთადერთი იმედი ჯგუფის სუსტი შემადგენლობაა, სადაც „უნივერსიტარიოსა" და „ბლუმინგის" გავლას მაინც უნდა ეყოს **სებასტიან ბლანკოსა** და პარაგვაელი **სანტიაგო სალსედოს** საგოლე ალღო და მცველთა ტანდემის **(ფრიტცლერ-ველასკესი)** გამოცდილება.

### უნივერსიტარიო (პერუ)

პერუს უპოპულარულესი კლუბი 25-ჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი, კოპაზე კი 27-ედ მონაწილეობს. საუკეთესო შედეგი 1972 წელს „ინდეპენდიენტესთან" წაგებული ფინალი და 3 (1967,1971, 1975) ნახევარფინალია.

ნაკრების ყოფილმა მცველმა (84 მატჩი) **ხუან რეინოსომ** მწვრთნელის ამპლუაშიც სოლიდურ დაცვაზე გააკეთა აქცენტი. წამყვანი ფიგურები არიან: მეკარე **რაულ ფერნანდესი**, არგენტინელი მცველი **კარლოს გალვანი** (კაპიტანი), მექსიკელი გარემარბი **როდოლფო ესპინოსა** და ურუგვაელი ფორვარდი **ვიქტორ პირისი**.

### ბლუმინგი (ბოლივია)

ქვეყნის 5-გზის ჩემპიონი საშინაო მატჩებს ზღვისპირა სანტა კრუსში ატარებს, ანუ მოკლებულია ბოლივიელთათვის ტრადიციულ მაღალმთიანეთის უპირატესობას. მით უფრო დასაფასებელია 1985 წელს კოპას 1/2 ფინალში გასვლა. იმდროინდელი არგენტინელი მცველი **ვიქტორ უგო ანდრადა** ახლა მწვრთნელია. მისი გუნდიდან ნაკრების 2 ნახევარმცველის - **ლორგიო ალვარესისა** და კაპიტანი **ალეხანდრო გომესის** გარდა გამოსაყოფი არავინაა.

### ლიბერტადი (პარაგვაი)

რეპაშაჟიდან გამოსული „ლიბერტადი" აგრძელებს კლასიკურ პარაგვაულ ტრადიციებს. სათამაშო სქემა - 4-3-1-2, არგენტინელი მწვრთნელი **(ხავიერ ტორენტე)**, საერთო სტადიონი „დეფენსორეს დელ ჩაკო" (აქვე თამაშობენ „სერო პორტენიო", „ნასიონალი").

მოთამაშეთაგან გამოსაყოფია გამოცდილი მცველი **პედრო სარაბია**, ფორვარდი **რობერტო გამარა** და „რუბიო ნუდან" წამოყვანილი მისი მეწყვილე **პაბლო ველასკესი**, რომელმაც 2 გოლი „ტაჩირას" გაუტანა, ერთი კი „ლანუსს".

კოპაზე წინა 8 გამოსვლიდან საუკეთესო 1977 და 2006 წლების ნახევარფინალში დასრულდა.

**ჯგუფი 5**

ინტერნასიონალი (ბრ), დეპორტივო კიტო (ეკ), სერო (ურ), ემელეკი (ეკ)

**სერო-დეპორტივო კიტო 2:0 (დადომო, მორა)**

**ჯგუფი 6**

ბანფილდი (არ), ნასიონალი (ურ), მორელია (მექ), დეპორტივო კუენკა (ეკ)

**ბანფილდი-მორელია 0:2 (როდრიგესი, ბატიონი - ვილამასარი)**

**ნასიონალი-კუენკა 3:2 (რეგეირო 2, მორალესი - ვიკუნა, ესკალადა)**

**ჯგუფი 7**

ველესი (არ), კოლო კოლო (ჩი), დეპორტივო იტალია (ვენ), კრუზეირო (ბრ)

**ველესი-კრუზეირო 2:0 (სილვა, მარტინესი)**

კალათბურთი

# კოტე ტულუში
# საქართველოს ნაკრების პლუსი გულშემატკივარია

სეზონის დაწყების შემდეგ ტურის საუკეთესო კალათბურთელად 8 მოთამაშე დავასახელეთ, რომელთაგან სამი ორგზის MVP-ა: დავით ბარბაქაძე, ჟულივეტ ტუჯანი და კოტე ტულუში. კოტემ ბოლო, მე-11 ტურში ბათუმში „ენერჯის“ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა: 33 წუთში 23 ქულა, 7 მოხსნა, 4 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა.

უშუალოდ მატჩის პერიპეტიებზე თავად ტულუში გვესაუბრება:

- ბათუმელებს შარშან ძლიერი გუნდი არ ჰყავდათ, მაგრამ იქ გამარჯვება მაინც ძნელი იყო. წლეულს „ბათუმი“ ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია, ჰყავს კარგი კალათბურთელები და მწვრთნელი. მძიმე თამაში გამოვიდა, გამარჯვებულის ბედი ბოლო პერიოდში გადაწყდა...

**- თვითმხილველთა თქმით, ბევრი რამ შენმა სამქულიანებმა გადაწყვიტა.**



კოტე ტულუში

- მეოთხე პერიოდის დასაწყისში სამი სამქულიანი კი ჩავაგდე, მაგრამ გამარჯვებაში ყველამ თანაბარი წვლილი შეიტანა. მეტოქეს ძლიერი მეფარეები ჰყავს, თუმცა მოხსნებში მაინც ჩვენ ვაჯობეთ - ჟულივეტ ტუჯანმა 17 მოხსნა მოაგროვა. გუნდური გარჯის წყალობით მოვიგეთ. მატჩის შემდეგ კმაყოფილები დავრჩით - ჩვენთვის შედეგიც მისალები იყო და თამაშის ხარისხიც.

**- „ენერჯის“ ამ სეზონში ერთადერთი წაგება აქვს - თასის ნახევარფინალში თსუ-სთან დათმეთ.**

- თსუ-სთან წაგება ძალიან განვიცადეთ. სხვათა შორის, მცირე ჩავარდნა წინა წლებშიც იანვარში გვქონდა. ბათუმურ მატჩზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული, მოგების შემთხვევაში ფსიქოლოგიურ მდგომარეობასაც გავიუმჯობესებდით და თავდაჯერებაც დაგვიბრუნდებოდა...

**- ასე ძალიან იმოქმედა თსუ-სთან წაგებამ?**

- რა თქმა უნდა. ძალიან განვიცადეთ, მით უმეტეს, რომ საკუთარი გულშემატკივრის წინაშე წავაგეთ.

**- მიმდინარე ჩემპიონატზე რას იტყვი?**

- ხუთი თანაბარი ძალის გუნდია, რომლებსაც ჩემპიონობაზე პრეტენზიის გამოცხადება შეუძლიათ. შესაბამისად, მათ შორის დაძაბული ორთაბრძოლებია, რაც კალათბურთელებისთვისაც კარგია, მსაჯებისთვისაც, ჟურნალისტებისა და ქომაგებისთვისაც.

**- შიდა ჩემპიონატში არსებული დაძაბულობა კარგია, მაგრამ ერთი ისეთი გუნდი გვინდა, რომელიც ევროტურნირებზე ითამაშებს...**

- ეს აუცილებელია. ნაკრების წარმატებისთვის მნიშვნელოვანია თუნდაც ერთი ევროტურნირებზე მოასპარეზე გუნდი. ევროპაში თამაშით ადგილობრივი კალათბურთელები დიდ გამოცდილებას მიიღებენ...

**- ევროტურნირებამდე ეროვნული გუნდის მატჩებია. სხვა ნაკრებებთან შედარებით საქართველოს რა პლუსი ან მინუსი აქვს?**

- A დივიზიონში ახალი გადასულები ვართ. ამიტომ სხვებზე ნაკლები გამოცდილება გვაქვს. ეს პლუსად ვერ ჩაითვლება. სამაგიეროდ, სხვებთან შედარებით ქომაგთა მეტი რაოდენობა უპირატესობას მოგვცემს.

**- წილისყრის შემდეგ ნაკრების სხვა წევრებთან შანსებზე იმსჯელებდი...**

- კალათბურთელები ერთზე ვთანხმდებით - ამ ზაფხულს საინტერესო მატჩები გველის. აგვისტოს სულმოუთქმელად ველით. შედეგზე კი წინასწარ ვერაფერს ვიტყვი - რომელ ადგილს დავიკავებთ, აგვისტოს ბოლოს გამოჩნდება. მთავარია, ჯანმრთელად ვიყოთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ბესიკ ლიპარტელიანი

# უკრაინა, რუმინეთი, ბელარუსი თბილისში...

23-25 ივლისს თბილისი უმასპინძლებს საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც საქართველოს, რუმინეთის, უკრაინისა და ბელარუსის ნაკრებები ითამაშებენ. ასეთი შეჯიბრება საქართველოში პირველად ჩატარდება. კალათბურთის ფედერაციამ დროც შესაფერისი შეარჩია: 2 აგვისტოს თბილისში პოლონეთს ვუმასპინძლებთ. ამ მატჩისთვის გუნდი 25 ივლისიდან შინ მოემზადება... მანამდე ქართველთა კრებული ევროპაში შეიკრიბება.

*„საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა, იგორ კოკოშკოვმა უკვე დააზუსტა შეკრების დაწყების თარიღი. გუნდი 1 ივლისს შეიკრიბება. ისევე როგორც შარშან, მზადების პირველი ეტაპი ავსტრიაში ჩაივლის. მიმდინარეობს მუშაობა რომელიმე ტურნირში მონაწილეობაზე. ვეცდებით საქართველოში დაბრუნებამდე 3-4 მატჩი ჩავატაროთ“,* - მოგვითხრობს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ბესიკ ლიპარტელიანი.**

იგი თბილისში დაგეგმილ საერთაშორისო ტურნირზეც ამომწურავად გვესაუბრება:

*„ნაკრები საქართველოში 20 ივლისისთვის ჩამოვა, 23-25 ივლისს ტურნირს ითამაშებს და 2 აგვისტოს მატჩისთვის თბილისში მოემზადება. შეჯიბრებაში მონაწილეობაზე გარანტია სამი ქვეყნიდან მივიღეთ: უკრაინიდან, ბელარუსიდან და რუმინეთიდან. ისრაელის კალათბურთის ფედერაციასთანაც გვაქვს კონტაქტი, თუმცა მათი ნაკრების ჩამოსვლა-არჩამოსვლის საკითხი ჯერ არ გარკვეულა“.*

ბესიკ ლიპარტელიანს არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხზეც ვკითხეთ - საინტერესოა, **ტაირონ ელისის** შემცვლელის ძიების პროცესი რა ეტაპზეა.

*„ამ საკითხზე ნაკრების მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი მუშაობს. იგი საქართველოს ეროვნულ გუნდს ორი წელია, იცნობს და კარგად იცის, რა ამპლუის, როგორი მონაცემების კალათბურთელი გვჭირდება. ლეგიონერის ძიება არცთუ იოლი საქმეა - ერთ კალათბურთელს შეიძლება საქართველოში ჩამოსვლა სულაც არ სურდეს, მეორეს ჩვენს ნაკრებთან შერწყმა გაუჭირდეს. ამიტომ, ყველა სავარაუდო კანდიდატის კარგად შესწავლა გვმართებს. ვიმედოვნებთ, ეს პროცესი დიდხანს არ გაგრძელდება, თუმცა შეკრებამდე დიდი დროა“.*

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. XII ტური

# სტუდენტური წამები

**12 თებერვალი ბათუმი**

**ბათუმი-თსუ 79:82**

18:22, 23:20, 19:17, 19:23

**ბათუმი:** ვ. მაისურაძე (12ქ, 6მ), ლეჟავა (24ქ, 3ჩ), თავართქილაძე (1ქ), კეშელავა (2ქ), ნინუა (1ქ), მ. ბოლქვაძე (1ქ), იმნაძე (26ქ, 21მ, 3დ), როდუმტა (12ქ, 12მ)

**თსუ:** ფანჩულიძე (10ქ, 7მ, 4ჩ), გაფრინდაშვილი (19ქ, 8პ), მინაშვილი (7ქ, 7მ, 5ფ), კოხრეიძე (2ქ), კეიდია (19ქ, 5მ), ხეცურიანი (4ქ), ბარბაქაძე (19ქ, 13მ, 4დ, 5ფ), კუჭავა (2ქ)

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი **კომისარი:** რ. გელოვანი

თსუ-მ ბათუმში მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა - ზღვისპირელები უკანასკნელ წამებზე 82:79 დაამარცხა.

ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ბოლო წუთების ქრონოლოგიის გაცნობა: საფინალო სირენამდე 5 წუთით ადრე „ბათუმი“ 70:69-ს იგებდა, თუმცა მომდევნო 3 წუთში თსუ-მ **ბარბაქაძის, კეიდიას** და **გაფრინდაშვილის** ზუსტი თამაშის წყალობით 11:3 გაქცევა მოაწყო და 80:73 დაწინაურდა.

მასპინძლები არ დანებდნენ - **მაისურაძე-იმნაძის** დუეტმა სხვაობა ქულამდე შეამცირა (79:80), თუმცა გადამწყვეტ მომენტში **მიხეილ ფანჩულიძემ** ორი საჯარიმო მშვიდად ჩააგდო და 82:79 - თსუ-ს სასარგებლოდ.

**ვაჟა სიმონიშვილი**




საქართველოს ჩემპიონატი. სტატისტიკა

## სტატისტიკური ლიდერები

**ქულა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. დავით იმნაძე | ბათუმი | 11 | 229 | 20.82 |
| 2. გიორგი ნიკოლაძე | შსს | 10 | 203 | 20.3 |
| 3. ბესიკ ლეჟავა | ბათუმი | 11 | 223 | 20.27 |
| 4. დავით ბარბაქაძე | თსუ | 9 | 170 | 18.89 |
| 5. ზვიად ბაბიაშვილი | ენერჯი | 11 | 205 | 18.64 |
| 6. მერაბ ბოძოლიშვილი | სამ/აკადემია | 10 | 175 | 17.5 |
| 7. დავით ბერიშვილი | შსს | 8 | 139 | 17.38 |
| 8. სერგო ათუაშვილი | შსს | 13 | 224 | 17.23 |
| 9. დუდა სანაძე | დინამო | 9 | 155 | 17.22 |
| 10. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 11 | 184 | 16.73 |
| 11. კოტე ტულუში | ენერჯი | 9 | 144 | 16 |

**მოხსნა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | მტ. | სქ. | ჯ | საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დავით იმნაძე | ბათუმი | 11 | 45 | 92 | 137 | 12.45 |
| 2. ჟულივეტ ტუჯანი | ენერჯი | 11 | 36 | 83 | 119 | 10.82 |
| 3. პლასიდე როდუმტა | ბათუმი | 10 | 39 | 60 | 99 | 9.9 |
| 4. სერგო ათუაშვილი | შსს | 13 | 45 | 80 | 125 | 9.62 |
| 5. რევაზ ათანელიშვილი | სსაუ | 10 | 36 | 57 | 93 | 9.3 |
| 6. დავით ბარბაქაძე | თსუ | 9 | 34 | 48 | 82 | 9.11 |
| 7. ილია ლონდარიძე | დინამო | 7 | 28 | 32 | 60 | 8.57 |
| 8. კახა მუმლაძე | სამ/აკადემია | 11 | 34 | 51 | 85 | 7.73 |
| 9. ზვიად ბაბიაშვილი | ენერჯი | 11 | 31 | 53 | 84 | 7.64 |
| 10. დავით ენუქიძე | მერანი | 9 | 26 | 39 | 65 | 7.22 |

**პასი**

| მოთამაშე | გუნდი | თ | პასი | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ბეჟა წივწივაძე | სსაუ | 11 | 77 | 7 |
| 2. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 8 | 49 | 6.13 |
| 3. კოტე ტულუში | ენერჯი | 9 | 50 | 5.56 |
| 4. შიო ხეცურიანი | თსუ | 8 | 40 | 5 |
| 5. ზურაბ ბადრიძე | ავიამშენი | 9 | 44 | 4.89 |
| 6. ნოდარ სიგუა | დინამო | 11 | 47 | 4.27 |
| 7. დავით ბერიშვილი | შსს | 8 | 31 | 3.88 |
| 8. ტარიელ თავართქილაძე | ბათუმი | 11 | 42 | 3.82 |
| 9. ბესიკ ლეჟავა | ბათუმი | 11 | 37 | 3.36 |
| 10. შალვა კოხრეიძე | თსუ | 10 | 32 | 3.2 |

**მე-11 ტურის სიმბოლური ნაკრები**

1. ბექა წივწივაძე (სსაუ): 40 წთ, 29 ქ, 4 მ, 8 პ, 3 ჩ
2. კოტე ტულუში (ენერჯი): 33 წი 23 ქ, 7 მ, 4 პ, 2 ჩ
3. დუდა სანაძე (დინამო): 34 წთ, 29 ქ, 6 მ, 5 პ, 4 ჩ
4. შიო ხეცურიანი (თსუ): 33 წთ, 27 ქ, 6 მ, 7 პ, 2 ჩ, 1 დ
5. ჟულივეტ ტუჯანი (ენერჯი): 38 წთ, 8 ქ, 17 მ, 2 პ, 2 ჩ, 2 დ

## რეკორდები

**ქულა**

დავით იმნაძე (ბათუმი) – 46
12.12.09 ქიათურა-ბათუმი

**მოხსნა**

დავით იმნაძე (ბათუმი) – 20
28.12.09 ბათუმი-სოხუმი

**პასი**

გიორგი გაფრინდაშვილი (თსუ) – 11
19.12.09 თსუ-მერანი; 28.12.09 აკადემია-თსუ

**ჩაჭრა**

ნოდარ სიგუა (დინამო) – 7
28.12.09 შსს-დინამო

**დაფარება**

შიო ხეცურიანი (თსუ) – 5
28.11.09 თსუ-ენერჯი
პლასიდე როდუმტა (ბათუმი) – 5
18.12.09 ბათუმი-სამედ/აკად
სერგო ათუაშვილი (თსუ) – 5
19.12.09 თსუ-ენერჯი
ბექა ბექაური - 5
28.12.09. სამედ/აკად-თსუ

**შეცდომა**

ფარნაოზ გურული (ქიათურა) – 10
19.12.09 თსუ-მერანი
ლაშა ეძგვერაძე (დინამო) – 10
26.12.09 დინამო-ენერჯი

**ჩაჭრა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ბუბა ბერიშვილი | სოხუმი | 9 | 29 | 3.22 |
| 2. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 11 | 30 | 2.73 |
| 3. ნოდარ სიგუა | დინამო | 11 | 29 | 2.64 |
| 4. შალვა კოხრეიძე | თსუ | 10 | 26 | 2.6 |
| 5. ფარნაოზ გურული | მერანი | 10 | 25 | 2.5 |
| 6. კოტე ტულუში | ენერჯი | 9 | 22 | 2.44 |
| 7. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 8 | 19 | 2.38 |
| 8. ირაკლი გულისაშვილი | სსაუ | 10 | 21 | 2.1 |
| 9. ჟულივეტ ტუჯანი | ენერჯი | 11 | 23 | 2.09 |

**დაფარება**

| მოთამაშე | გუნდი | თ | დ | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ბექა ბექაური | სამ/აკადემია | 11 | 23 | 2.09 |
| 2. პლასიდე როდუმტა | ბათუმი | 10 | 17 | 1.7 |
| 3. ნოდარ მეზვრიშვილი | მერანი | 8 | 12 | 1.5 |
| 4. შიო ხეცურიანი | თსუ | 8 | 11 | 1.38 |
| 5. სერგო ათუაშვილი | შსს | 13 | 17 | 1.31 |
| 6. სოსო შერმადინი | შსს | 10 | 12 | 1.2 |
| 7. ჟულივეტ ტუჯანი | ენერჯი | 11 | 13 | 1.18 |
| 8. დავით იმნაძე | ბათუმი | 11 | 13 | 1.18 |
| 9. გიორგი კვეტენაძე | სოხუმი | 6 | 7 | 1.17 |

**შეცდომა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | შ | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ფარნაოზ გურული | მერანი | 10 | 61 | 6.1 |
| 2. ლაშა ეძგვერაძე | დინამო | 11 | 51 | 4.64 |
| 3. ბესიკ ლეჟავა | ბათუმი | 11 | 49 | 4.45 |
| 4. ნოდარ სიგუა | დინამო | 11 | 49 | 4.45 |
| 5. ტარიელ თავართქილაძე | ბათუმი | 11 | 43 | 3.91 |
| 6. ბუბა ბერიშვილი | სოხუმი | 9 | 33 | 3.67 |
| 7. ბექა წივწივაძე | სსაუ | 11 | 40 | 3.64 |
| 8. ირაკლი ბერიშვილი | შსს | 7 | 25 | 3.57 |
| 9. დავით ენუქიძე | მერანი | 9 | 32 | 3.56 |

ჩოგბურთი

# წყვილებში ყოჩაღობს, ერთეულებს გამოაკლდა

20 ს **ანა ტატიშვილმა** (178) აშშ-ის ქალაქ მიდლენდის „დოუ ქორნინგ ტენის კლასიკზე“ ასპარეზობა მერვედფინალში დაასრულა. ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი 100 ათასი ამერიკული დოლარია, ქართველმა 28 წლის ამერიკელ **ლაურა გრენვილთან** (286) წააგო - 6:7 (6), 0:6. აღსანიშნავია, რომ გრენვილი ამ ტურნირის ორგზის გამარჯვებული (2005, 2008) და ორგზის ფინალისტია (2003, 2007). ანა 18 სარეიტინგო ქულას მიიღებს. მართალია, ის რეიტინგში დაწინაურდება, მაგრამ საქართველოს პირველ ჩოგან **ოქსანა კალაშნიკოვას** (163) ვერ გადაასწრებს.

ტატიშვილი მიდლენდს არ დამშვიდობებია, ის ბრწყინვალედ ასპარეზობს წყვილთა ბადეში, სადაც ამერიკელ **ლილია ოსტერლოს** შეუწყვილდა (მე-4 ნომრად განთესეს). მეოთხედფინალში მათ სერბ **ტეოდორა მირჩიჩს** და გერმანელ **კატრინ ფოირლეს** მოუგეს - 6:2, 6:3. ქართულ-ამერიკული დუეტი ნახევარფინალშია, მათი მეტოქეების ვინაობა წუხელ გაირკვეოდა. არის შანსი, რომ ტატიშვილის პირისპირ, ბადის მეორე მხარეს **ნიკოლ ვაიდიშოვა** (ჩეხეთი) დადგეს. ტატიშვილი წყვილთა რეიტინგში 130-ე ჩოგანია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ძიუდო

მსოფლიო თასი. ვენა

# აეროპორტის ინციდენტმა მარშრუტი შეცვალა

ფათერაკით დაიწყო ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრების ავსტრიული ამბები - ვენაში, მსოფლიო თასზე პარასკევს, გამთენიისას თბილისი-სტამბოლი-ვენის რეისით უნდა წასულიყვნენ, მაგრამ ღამის სამ საათზე აეროპორტში მისულები მხოლოდ გუშინ, 15 საათისთვის გაფრინდნენ თბილის-კიევი-ვენის მარშრუტით. შეფერხების მიზეზი ყაზახური ავიაკომპანიის კუთვნილი სატვირთო თვითმფრინავის მოცურება და ასაფრენი ბილიკიდან გადასვლა გახდა. ევროპიდან მომავალი ყაზახური თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში საწვავის შესავსებად დაჯდა და ავბედითი როლიც შეასრულა - მისი მიზეზით თბილისის აეროპორტი გუშინ რამდენიმე საათით პარალიზებული იყო. ავიარეისები მხოლოდ დღის მეორე ნახევარში აღდგა და ჩვენი ნაკრებიც ამის შემდეგ გაფრინდა კიევში. ისინი ვენაში დაახლოებით 22 საათისთვის ჩავიდოდნენ, თუმცა წილისყრის ცერემონიალზე მისვლას ვერ მოასწრებდნენ. საამისოდ ქართულმა მხარემ თადარიგი ადრევე დაიჭირა - ძიუდოს ფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა **გიორგი ალექსიძემ** ორგანიზატორები დროულად ჩააყენა საქმის კურსში და მიაღწია შეთანხმებას, რომ წილისყრა ქართველთა გარეშე ჩაივლის. იმედია, ჩვენები ვენაში მშვიდობიანად ჩააღწევდნენ და ტურნირში მათ მონაწილეობას საფრთხე არ დაემუქრება. აი, რაც შეეხება შედეგიანად გამოსვლას, ამას უკვე შეექმნა საფრთხე - მათ, პრაქტიკულად, ტრაპიდან უწევთ ტატამზე გასვლა.

ავსტრიულ ტურნირზე გუნდის თავკაცმა **ამირან ტოტიკაშვილმა** შემდეგი შემადგენლობა იახლა: **ამირან პაპინაშვილი** (60), **გიორგი შოშიაშვილი**, **გიორგი ფერსაშვილი** (66), **ანზორ ხმიადაშვილი**, **დავით კობერიძე** (73), **დავით ჭაბუკაშვილი**, **ხვიჩა ხუციშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **ზურაბ ზვიადაური**, **დავით ლორიაშვილი** (100), **ადამ ოქრუაშვილი** (+100).

როგორც ვხედავთ, მწვრთნელმა ძირითადად ახალგაზრდული შემადგენლობა წაიყვანა. ეს ერთგვარი ტაქტიკაა - ვენის ტურნირი შედარებით დაბალი რანგისაა და, სავარაუდოდ, არც იმდენად ძლიერი იქნება. თუმცა გამორიცხული არ არის, ტაქტიკური მოსაზრებით ბევრმა ძლიერმა ძიუდოისტმა გამოსაცდელად სწორედ ეს შედარებით სუსტი ტურნირი აირჩიოს და ამიტომ ეს შეჯიბრება ძალზე ძლიერიც გამოდგეს, მაგრამ, ვინაიდან უფრო დაბალი რანგისაა, ტოტიკაშვილმაც ახალგაზრდების გამოსაცდელად ის გამოიყენა, უფრო ძლიერ ფალავნებს კი შედარებით ძლიერ ტურნირზე გამოცდის - დიუსელდორფის „დიდ პრიზზე“.

თუმცა, მიზეზთა გამო, ტოტიკაშვილმა ახლაც დაუშვა რამდენიმე გამონაკლისი. უპირველესად, ზურაბ ზვიადაური, რომელსაც ჯერ ხომ წლები გაუცდა მრავალრიცხოვანი და ნაირ-ნაირი ტრავმა-ოპერაციების გამო, დეკემბერში ტატამს დაუბრუნდა და მერე გრიპის ვირუსმა შეკრებების გარკვეული ნაწილი გააცდენინა. ცხადია, ამან მისი მომზადება შეაფერხა, თბილისის მსოფლიო თასიც გამოატოვებინა და



ამირან ტოტიკაშვილი ახალგაზრდებს დაეყრდნობა

დიუსელდორფამდე ველარ დაიცდიდა - დრო არ ითმენდა. მას საევროპო ნაკრებში მოხვედრა თუ სურს (სხვათა შორის, ევროპის პირველობაც ვენაში ტარდება აპრილში), ტურნირებში დროულად უნდა ჩაებას. დიუსელდორფში რომ წასულიყო და ნაკრებშიც გაენაღდებინა ადგილი, მერე იძულებული გახდებოდა, ერთ კვირაში პრალაშიც ესასპარეზა - ევროპირველობამდე სხვა ლირებული შეჯიბრება არც იმართება, იქ გამოსვლის გარეშე კი სატურნირო პრაქტიკა არ ეყოფოდა.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ლორიაშვილზეც - ტრავმებმა და მენისკის ოპერაციამ მასაც ბევრი გააცდენინა. თუმცა ახალნაოპერაციები და სულ რაღაც ათი დღის ნავარჯიშები მაინც გახდა საქართველოს ჩემპიონი, ახლა კი მისი წასვლა სათუო მუხლში ჩამდგარი წყლის გამო გახდა. საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ მან თბილისის ტურნირზეც იჭიდავა, მაგრამ ეს მაინც არაა საკმარისი სრულყოფილი სატურნირო პრაქტიკისთვის. თან პრაღის ტურნირი საკონტროლოა, ანუ იქ გამოსვლა ევროპაზე წამსვლელი ხალხისთვის ამიტომაა საჭირო.

მართალია, ტოტიკაშვილი აცხადებს, რომ კონტინენტის ჩემპიონატზე წამსვლელ ნაკრებს ბოლო შეკრებაზე დაასახელებს და არა ამ ტურნირების შემდეგ, მაგრამ დიუსელდორფის დასრულებისას მას სათანადო გუნდი უკვე შეგულებული ეყოლება. ყოველ შემთხვევაში, ლიპარტელიანმა ვენაში ჭიდაობა იმიტომ ისურვა, რომ მერე პრალაში წასვლაც თუ გახდებოდა საჭირო, უფრო მეტი შუალედი ჰქონოდა, ვიდრე დიუსელდორფში გამოსვლის შემთხვევაში ექნებოდა. არადა, ეს წინააღმდეგობა იმათაც დაუდგებათ, რომლებიც გერმანიაში იჭიდავებენ და ნაკრებშიც გაინაღდებენ ადგილს. მართალია, მათ შორის ძირითადად გამოცდილი ძიუდოისტები იქნებიან, თუმცა გარკვეული დისკომფორტი მათაც შეექმნებათ.

სხვა მხრივ კი ტოტიკაშვილმა ვენაში ძირითადად ახალგაზრდები და მეორე ნომრები წაიყვანა, რომლებსაც ტურნირებში გამოსვლა ხშირად არ უწევთ. თუმცა ხმიადაშვილისთვის ეს უცხოური დებიუტიც იქნება.

ბოლოს შეგახსენებთ, რომ დღეს 60, 66 და 73 კილოგრამი წონითი კატეგორიების ფალავნები იჭიდავებენ.

ირაკლი თავაძე

თავისუფალი ჭიდაობა

## ჯერ სტამბოლი, მერე კიევი

ამ უქმეებზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ყურადღება სტამბოლისკენაა მიპყრობილი, სადაც იასარ დოგუს მემორიალი ტარდება. ეს ტურნირი, ტრადიციულად, ძლიერი და პრესტიჟულია და უნდა ვივარაუდოთ, რომ ამჯერადაც ასე იქნება. თუმცა ჩვენი ნაკრები მასში სათადარიგო გუნდით გამოვა. ნაკრების ხელმძღვანელობა ძირითად შემადგენლობას მომავალ უქმეებზე კიევში აგზავნის, სტამბოლი კი სათადარიგოებს დაუთმო. იქ **გივი დავიდოვი** (55), **მალხაზ ქურდიანი**, **გიორგი ბალიაშვილი** (ორივე 60), **შალვა მუზიაშვილი** (66), **იაკობ მაქარაშვილი** (74), **დავით ახალმოსულიშვილი** (84), **ბელდუხ გავაშელიშვილი** და **დავით ქერაშვილი** (ორივე 96) იჭიდავებენ.

კიევში საქართველოს წლევანდელი ჩემპიონები გამოვლენ - **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი**, **ბესარიონ გოჩაშვილი** (ორივე 55), **მალხაზ ზარქუა** (60), **ოთარ თუშიშვილი** (66), **გელა სალირაშვილი** (74), **არჩილ ქიტიაშვილი** (84), **გიორგი გოგშელიძე** (96) და **გიორგი საკანდელიძე** (120). თუმცა გოგშელიძემ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და შესაძლოა, ვერ წავიდეს.

ირაკლი თავაძე

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

მსოფლიოს თასი

## ერევანში მძიმე წილი გვერგო



დღეს ერევანში გათამაშდება მსოფლიოს თასი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შორის. მიზეზთა გამო, საქართველოს ნაკრები იქ ლიდერების გარეშე წავიდა - მსოფლიოს ჩემპიონი **დავით ბედინაძე** (60), ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** (74), ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი **ბადრი ხასაია** (84) და ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **რამაზ ნოზაძე** (96) პირადი პრობლემების, ტრავმების, ავადმყოფობებისა თუ სხვა ობიექტურ-სუბიექტური მიზეზების გამო, კვლავაც ვერ ეხმარებიან გუნდს. ჩვენი ნაკრების თავკაცმა **ბეგი დარჩიამ** იქ შემდეგი შემადგენლობა წაიყვანა: **ლაშა გოგიტაძე** (55), **რევაზ ლაშხი** (66), **მანუჩარ ცხადაია**, **ანტონ მამაგეიშვილი** (66), **გენადი გოგიშვილი** (74), **არსენ კახაბრიშვილი** (84), **იოსებ ჯაბიძე** (96), **დიმიტრი ჯავახიშვილი** (120).

შეიძლება ითქვას, ჩვენებს წილისყრამ არ გაუმართლა - B ქვეჯგუფში რუსეთის, თურქეთისა და უნგრეთის გუნდებთან მოხვდნენ. A ქვეჯგუფში ირანი, კუბა, სომხეთი და სკანდინავიის ნაკრები მოხვდნენ, რომელიც დანიისა და შვედეთის ნაკრებთა ბაზაზეა შექმნილი. დაგვეთანხმებით, ჩვენი ჯგუფი ბევრად ძლიერია მეორეზე. ალბათ, არც ისაა საკამათო, რომ რუსეთი ამ ტურნირის ფავორიტია, რაც ასევე ადასტურებს, თუ როგორ მოგვექცა წილისყრა.

რუსეთის ნაკრები ძირითადად ივან პოდუბნის მემორიალის ფინალისტებითაა დაკომპლექტებული, თუმცა რამდენიმე ბრინჯაოს პრიზიორიცაა შეყვანილი. თავდაპირველად შემადგენლობაში ოლიმპიური ჩემპიონი **ასლანბეკ ხუშტოვიც** (96) დაასახელეს, მაგრამ უშუალოდ ტურნირის საიტზე მოცემულ სიაში ამ წონაში **რუსტემ ტოტროვთან** ერთად დასახელებულია არა ხუშტოვი, არამედ **მაქსიმ საფარიანი**. ტიტულოვანთაგან შემადგენლობაშია ოლიმპიური ჩემპიონი **ნაზირ მანკიევი** (55), ევროპის ჩემპიონი **ამბაკო ვაჩაძე** (66), ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები, ტრავმამოშუშებული **ვარტარეს სამურგაშევი** (74), **ალექსეი მიშინი** (84) და **ხასან ბაროევი** (120).

ამათგან სამურგაშევი და ბაროევი ხანგრძლივი ტრავმების შემდეგ უბრუნდებიან ხალიჩას. მათ არც პოდუბნის მემორიალზე უჭიდავიათ, რომელიც იქაურებისთვის ევროპის პირველობისთვის შესარჩევია. რუსთა ქართველმა თავკაცმა **გოგი კოლუაშვილმა** განაცხადა, რომ ერევანში ლიდერებს დიდად არ დატვირთავს და მათ, მაქსიმუმ, თითო შეხვედრა გამართონ. ჩვენები პირველ შეხვედრას სწორედ რუსებთან გამართავენ და ვინძლო, აქ ისევ ვიხილოთ ცხადაია-ვაჩაძის დუელი. შეგახსენებთ, ისინი შარშან ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს - ევროპის პირველობაზე ვაჩაძემ მოიგო, მსოფლიოზე კი ცხადაიამ რევანში აიღო.

ჩვენებურთა მეორე მეტოქე თურქეთის ნაკრებია, რომელიც ასევე უძლიერესი შემადგენლობითაა ჩასული, ბოლო შეხვედრას კი უნგრელებთან გამართავენ. თურქთა შემადგენლობაშია ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **ნაზმი ავლუჯა** (84), მადიარებს კი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ბალაშ კისცი** (96) და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ევროპის არაერთგზის ვიცე-ჩემპიონი **მიჰალი დეაკ-ბარდოში** (120) ეყოლებათ, თუმცა მათ შემადგენლობაში არაა ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **ზოლტან ფოდორი** (84).

ირაკლი თავაძე

მძლეოსნობა



## 15 გუნდის მონაწილეობით

სუსხისა და დიდთოვლობის მიუხედავად, დიღუბის ცივ მანეჟში თხუთმეტმა გუნდმა მაინც მოიყარა თავი 1993-1996 წლებში დაბადებულ მძლეოსანთა საქართველოს ზამთრის პირველობაზე. გუშინ მედლები ოთხ სახეობაში გათამაშდა. გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა შედეგებს:

**გოგონები.**

60 მ. 1. სალომე სირაძე (ქუთაისი, 7,8), 2. ლიკა ლოლუა (ფოთი, 7,9), 3. ოლესია ბონდარენკო (თბილისი, 8,2).

400 მ. 1. სოფიო ჩილინგარაშვილი (ახალციხე, 1.04,6), 2. ტანია მაისაია (მარტვილი, 1.05,0), 3. თამარ ხაჟომია (ქუთაისი, 1.05,4).

1500 მ. 1. ანეტა მურადიანი (ახალციხე, 5.30,4), 2. მარი ფუტკარაძე (აჭარა, 6.08,3).

ბირთვი. 1. ხატია ხურცია (ხონი, 9,45), 2. ია ხაბაზი (აჭარა, 8,21).

**ვაჟები.**

60 მ. 1. ბაჩანა ხორავა (ზუგდიდი, 7,1), 2. ბექა ასლანიშვილი (თბილისი, 7,1), 3. აკაკი საჯაია (თბილისი, 7,2) და იოსებ მარუქაშვილი (ახმეტა, 7,2).

400 მ. 1. ტიგრან ვართანიანი (თბილისი, 58,0), 2. გიგა გიორგაძე (ქუთაისი, 58,2), 3. შოთა ზოიძე (ოზურგეთი, 59,1).

1500 მ. 1. გიორგი ლომიძე (თბილისი, 4.33,3), 2. არმენ სტეფანიანი (ბორჯომი, 4.34,7), 3. ნიკა რურუა (მარტვილი, 4.45,3).

ბირთვი. 1. გიორგი გოგოლაშვილი (ოზურგეთი, 12,63), 2. თორნიკე სვანიძე (თბილისი, 12,06).

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

## მელია დაწინაურდა

ბუქარესტში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ათი მანდილოსანი მონაწილეობს წრიული სისტემით. ქართველმა დიდოსტატმა **სალომე მელიამ** გუშინ მესამე ტურში შესანიშნავად წარმართა პარტია შავი ფიგურებით **ანიტა გარას** წინააღმდეგ და 38-ე სვლაზე აიძულა მეტოქე, საათი გაეჩერებინა. **ევა რეპკოვა მარია მუზიჩუკს** დაუზავდა. ასევე ქულა გაიყვეს **კორინა პეპტანმა** და **ირინა ტუროვამ**, **ქრისტინა ფოიშორმა** და **ლუმინიცა კოსმამ**. სამწუხაროდ, **ბელა ხოტენაშვილი** თეთრებით **სიდონია ვაიდასთან** დამარცხდა.

სამი ტურის შემდეგ 2,5 ქულით მელია დაწინაურდა. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს კოსმამ და ვაიდამ, 1,5-1,5 ქულას მოუყარეს თავი რეპკოვამ, პეპტანმა და ტუროვამ, ხოლო გარას, ხოტენაშვილს, ფოიშორსა და მუზიჩუკს თითო ქულა აქვთ.

დღეს მეოთხე ტურში ითამაშებენ: მუზიჩუკი-კოსმა, ვაიდა-ფოიშორი, ტუროვა-ხოტენაშვილი, მელია-პეპტანი, რეპკოვა-გარა.

ვაჟა დანელია



სალომე მელია

## ლიმ ბუ ჩამოიშორა

მოსკოვში აეროფლოტის ღია პირველობის A1 ჯგუფში, სადაც 77 დიდოსტატი და 3 საერთაშორისო ოსტატი თამაშობს, მორიგი ტურის პარტიები გაიმართა. ასპარეზობის ერთადერთმა ქართველმა მონაწილემ **ლელა ჯავახიშვილმა** ქულა გაიყო რუს დიდოსტატ **პაველ მალეტინთან** და ახლა სამი შესაძლებლიდან მხოლოდ ერთი ქულა აქვს. სამაგიეროდ, ვიეტნამელმა **ქუანგ ლიმ** ჩინელ **სიანჟი ბუს** სძლია და 3 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა.

ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან მისივე თანამემამულე **სონ ნგუენი**, ბულგარელი **ივან ჩეპარინოვი** და რუსი **ანტონ ტიმოფეევი**. 2-2 ქულა 31-მა მონაწილემ მოაგროვა.

ვაჟა დანელია

## კასპიის თასზე

ირანის ქალაქ რაშტში დაიწყო საჭადრაკო ფესტივალი — კასპიის თასის მერვე გათამაშება. მთავარ ტურნირში სხვადასხვა ქვეყნის 80 წარმომადგენელი შვეიცარიული სისტემით ეცილება ერთმანეთს პირველობას. მათ შორის 13 დიდოსტატია.

ორი ტურის შემდეგ 13 მოჭადრაკე უდანაკარგოდ მეწინავეობს. მათგან სამი ქართველია: **გაიოზ ნიგალიძე**, **აკაკი შალამბერიძე** და **დავით ლომსაძე**. ჩვენებურთაგან ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს **კონსტანტინე შანავამ**, **მალხაზ სულაშვილმა**, **მერაბ გაგუნაშვილმა**, **ივერი ჭილაძემ** და **დავით ბენიძემ**, ხოლო **ვალერიან გაფრინდაშვილს** ერთი ქულა აქვს.

მესამე ტურში ერთი ქართული დუელი გაიმართება — ლომსაძე თეთრებით ეთამაშება გაგუნაშვილს. ნიგალიძე **აზერ მირზოევს** დაუპირისპირდება, აკაკი შალამბერიძე — **სამველ ტერ-საკიანს**. ჭილაძის მეტოქეა **ელშან მორადიაბადი**, შანავასი — **შოჯაათ ჩეინი**. ასევე, საინტერესო იქნება სულაშვილი-**მეჰრად არდეშის**, **ანარ ალაჰვერდიევი**-დავით ბენიძის, **ამინ ზაზრისა** და გაფრინდაშვილის ორთაბრძოლები.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტუგალია-საქართველო

13 თებერვალი



2009 წელი. საქართველო-პორტუგალია 20:20

# ნაწილი ნიციდან, ნაწილი მარსელიდან

## მაგრამ მაინც უნდა მოვიგოთ

საქართველოს ნაკრები ლისაბონში გუშინ თბილისის დროით 18 საათზე, ერთი დღის დაგვიანებით ჩავიდა. „ბორჯღალოსნებმა“ საწვრთნელი შეკრება საფრანგეთის საკურორტო ქალაქ კანში გამართეს და პორტუგალიის დედაქალაქში ხუთშაბათს ნიციდან უნდა გადაფრენილიყვნენ. სამწუხაროდ, დიდთოვლობის გამო ჩვენი გუნდი აეროპორტში დაყოვნდა. „ბორჯღალოსანთა“ ერთმა ნაწილმა ნიციდან გაფრენა მაინც მოახერხა, გუნდის ნაწილი მიკროავტობუსით მარსელში გაემგზავრა და ლისაბონამდე იქიდან ჩააღწია.

არადა, პორტუგალიასთან მატჩის მნიშვნელობა იმდენად დიდია, თითოეულ უქმად დაკარგულ საათს, შესაძლოა, ოქროს ფასი ჰქონდეს. საწვრთნელ შეკრებაზე ერთ-ერთი ვარჯიშისას დაშავდა გარემარბი **მალხაზ ურჯუკაშვილი**, რომელიც, იმედია, თამაშს მაინც შეძლებს. ფულბეკ **მერაბ კვირიკაშვილს** ფეხის კუნთი ჰქონდა დაჭიმული, თუმცა ახლა ჯანმრთელადაა და საბრძოლველადაც მზად არის.

პორტუგალიელები ამ დროს მშვიდად ემზადებიან მზიან ლისაბონში. სოჭში რუსეთის ნაკრებთან მარცხის შემდეგ „ლობუშების“ მთავარმა მწვრთნელმა **ტომაშ მორაეშმა** გუნდში ორ ახალ მორაგბეს უხმო, შუამარბ **დავიდ მატეუშს** და ფრანგ შერკინების კვაჭს **ლიონელ კამპერუს**, რომელსაც საქართველოს ნაკრებთან მატჩში დებიუტი ექნება.

შეგახსენებთ, რომ აქამდე საქართველოს ნაკრები პორტუგალიის ეროვნულ გუნდს ცამეტჯერ შეხვედრია. აქედან შვიდჯერ „ბორჯღალოსნებმა“ გაიმარჯვეს, ორი მატჩი ფრედ დასრულდა და ოთხშიც გამარჯვება „ლობუშებს“ დარჩათ.

ამრიგად, პორტუგალიელები სამი უცხოელით გაძლიერებულნი დაგვხვდებიან. შეგახსენებთ, რომ სამხრეთაფრიკელმა **კონრად სტიკლინგმა** და ავსტრალიელმა **ჯო გარდნერმა** ერთი კვირის წინ რუსეთის ნაკრებთან მატჩში უკვე ითამაშეს. ჩვენი გუნდისთვის მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ პორტუგალიელებს მარცხის შემთხვევაში მსოფლიო თასზე მოხვედრის უმცირესი შანსიღა რჩებათ. მათთვის გადამწყვეტი ბოლო ტურში, 20 მარტს გასამართი შეხვედრა იქნება შინ რუმინეთის ნაკრებთან, რომელიც ასევე ზელანდიაში გამგზავრების უფლების მოსაპოვებლად იბრძვის.

მანამდე კი, „სტეუარი“ საპორტო ქალაქ კონსტანცაში აუტსაიდერ გერმანიის ნაკრებს უმასპინძლებს. გერმანელებმა გუნდის შემადგენლობა, ფაქტობრივად, მთლიანად შეცვალეს, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, მათ რუმინელებს პრობლემები შეუქმნან.

„მუხის ფოთლები“ მეტოქეს უძლიერესი შემადგენლობით დაუხვდებიან. მწვრთნელმა **რობერ ანტონინმა** თავს ექსპერიმენტის ჩატარების უფლებაც მისცა. მგეზავის პოზიციაზე რუმინელთა ფრანგი თავკაცი ფულბეკ **ფლორონ ვლაიკუს** გამოცდის.

საკმაოდ ძნელი ბრძოლის გადატანა მოუწევს სტუმრად, მადრიდში რუსეთის ნაკრებს. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები მასპინძლების წინააღმდეგ იმავე შემადგენლობით ითამაშებენ, რომლითაც სოჭში პორტუგალია დაამარცხეს.

„ლომები“ წლეულს სრულიად სხვა გუნდით წარდგებიან მეტოქეთა წინაშე. ესპანელთა ინგლისელმა თავკაცმა **გედ გლინმა** ნაკრებში ცხრა ფრანგ მორაგბეს უხმო. შერკინების პირველ ხაზში კი ქართველი **დავით გურგენაძე** მიიწვია.

### 13 თებერვალი. პორტუგალია-საქართველო

პორტუგალია: 15. ჯო გარდნერი, 14. დავიდ მატეუში, 13. პედრო სილვა, 12. დიოგო მატეუში, 11. ანტონიო აგილარი, 10. დუარტე პინტუ, 9. ჟოზე პინტუ. 1. ფრანსისკო ფერნანდესი, 2. ჟოაო კორეია, 3. ჟუან მურე, 4. კონრად სტიკლინგი, 5. დავიდ პენალვა, 6. ლიონელ კამპერუ, 7. ვასკო უვა, 8. ჟუან სევერინო

*16. ჟოაო ჟუნიორი, 17. ედუარდო აკოსტა, 18. გონსალო უვა, 19. სალვადორ პალია, 20. პედრო კაბრალი, 21. პედრო ლეალი, 22. გონსალო ფორო.*

საქართველო: 15. მერაბ კვირიკაშვილი, 14. მალხაზ ურჯუკაშვილი, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. ირაკლი მაჩხანელი, 10. ლაშა მალაღურაძე, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. აქვსენტი გიორგაძე, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ილია ზედგინიძე, 5. გიორგი ნემსაძე, 6. გიორგი ჩხაიძე, 7. გია ლაბაძე, 8. ბესო უდესიანი.

*16. დავით ქუბრიაშვილი, 17. ანტონ ფეიქრიშვილი, 18. ლევან დათუნაშვილი, 19. ლაშა თავართქილაძე, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. ირაკლი გიორგაძე, 22. ალექსანდრე თოდუა*

### რუმინეთი-გერმანია

რუმინეთი: 15. იულიან დუმიტრაში, 14. იონუც ბოტეზატუ, 13. იონიც დიმოფტე, 12. რობერტ დესკალუ, 11. კატალინ ფერკუ, 10. ფლორინ ვლაიკუ, 9. ლუჩიან სირბუ. 1. ბოგდან ბალანი, 2. მარიუს ტინკუ, 3. სილვიუ ფლორეა, 4. სორინ სოკოლი, 5. კრისტიან პეტრე, 6. სტელიან ბურეა, 7. ოვიდიუ ტონიცა, 8. მიჰალ მაკოვეი

*16. პაულიკა იონი, 17. ბოგდან ზებეგა, 18. ვალენტინ ურსაკე, 19. დანიელ კარპო, 20. ვალენტინ კალაფეტეანუ, 21. სტეფან ჩუნტუ, 22. კონსტანტინ გეარა.*

გერმანია: 15. რაფაელ პირაში, 14. რობერტ მორი, 13. ალექსანდრ მეცი, 12. კრისტოფერ ლიბიგი, 11. სტეფან ლიბიგი, 10. ბენიამინ კრაუზე, 9. ბენ ჰიუსტონი, 1. კეჰომა ბრენერი, 2. ტიმ კოლი, 3. კირონ დევისი, 4. რობ ელოვეი, 5. მუსტაფა გუნგური, 6. რაფაელ ჰასკლი, 7. ალექსანდრ ჰუკი, 8. ლუკას ჯონსონი.

*16. ბენიამინ სიმი, 17. მარკ ცინდერი, 18. ედმურ ტაკაენდესა, 19. მარკუს ტრისკი, 20. კლემანს ფონ გრუმბკოვი, 21. ალექსანდრ ვიდიკერი, 22. მანუელ ვილჰელმი.*

### ესპანეთი-რუსეთი

#### ესპანეთის ნაკრები

შერკინება: ხოსე-მარია ბორხესი (სევილია), დავით გურგენაძე (მადრიდი), ალეხანდრო ონეგა (მადრიდი), ხესუს მორენო (ბორდო), მარკო პინტო (კლერმონი), მატიე სიდრი (კარკასონი), ლეანდრო არამბურუ (სევილია), ხესუს რეკუერდა (სევილია), სერხიო სოუტო (ელ სალვადორი), რაფაელ კამაჩო (სევილია), მარტინ აკენა (ლა ვილა), მეთ კუკი (ლა ვილა), ჟულიენ ტურტულუ (კოლომიე), დამიენ ელგოიენი (სენ ჟან დე ლუზი).

უკანა ხაზი: პედრო ფეიხოო (მადრიდი), მატიე ლოპესი (მონ დე მარსანი), სეზარ სემპერე (მონპელიე), მატიო გრატონი (გროლე), მარტინ ერედია (კოსტა დელ სოლ), ბენიამინ პარდო (ვალიადოლიდი), ხაიმე ნავა (ალკობენდასი), ხავიერ კანოსა (მადრიდი), პედრო მარტინი (ბაიონი), იგნასიო მარტინი (პარმა).

#### რუსეთის ნაკრები:

შერკინება: ევგენი პრონენკო, ანდრეი ფატახოვი, ანდრეი ტემნოვი, (სამივე - ენისეი), ანდრეი გარბუზოვი (კრასნი იარი), ვიქტორ გრესევი, ვლადისლავ კორშუნოვი, ალექსანდრ ვოიტოვი, ევგენი მატვეევი, ალექსეი ტრავკინი, ალექსანდრ ხროკინი, (ყველა-ვვა), კარლო მალლაკელიძე (პენზა), კირილ კულემინი (კასტრი), ანდრეი ოსტრიკოვი (ორიაკი).

უკანა ხაზი: მიხაილ ბაბაევი, იგორ კლუჩნიკოვი, იური კუშნარიოვი, ანდრეი კუზინი, ალექსანდრ იანუშკინი, ალექსანდრ შაკიროვი, სერგეი ტრიშინი, ვასილი არტიომოვი, (ყველა - ვვა), ალექსეი კორობეინიკოვი (ენისეი), ალექსანდრ გვოზდოვსკი, ალექსეი მაკოვეცკო, (ორივე - კრასნი იარი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 6 | 5 | 1 | 0 | +164 | 11 |
| 2. რუსეთი | 6 | 5 | 0 | 1 | +89 | 10 |
| 3. პორტუგალია | 6 | 3 | 1 | 2 | +36 | 7 |
| 4. რუმინეთი | 5 | 2 | 0 | 3 | +16 | 4 |
| 5. ესპანეთი | 5 | 1 | 0 | 4 | -74 | 2 |
| 6. გერმანია | 6 | 0 | 0 | 6 | -231 | 0 |

ექვსი ერი

# საფრანგეთი-ირლანდია, რევანშის შანსი

დღეს ექვსი ერის გათამაშების მეორე ტურის შეხვედრები გაიმართება. ყველაზე საინტერესო მატჩი, ვფიქრობთ, პარიზში, „სტად დე ფრანსზე“ გაიმართება. საფრანგეთის ნაკრები მოქმედ ჩემპიონს, ირლანდიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. ამ შეხვედრის შედეგს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. გამორიცხული არ არის, გამარჯვებულმა საბოლოოდ ექვსი ერიც მოიგოს.

საფრანგეთის ნაკრების თავკაცმა **მარკ ლივერმონმა** პირველ ტურში შოტლანდიის სტუმრად დამარცხების შემდეგ გუნდში ორი ახალი მორაგბე იხმო, **ვენსან კლერი** და **ალექსის პალისონი**. სპეციალისტების შეფასებით, პალისონმა მნიშვნელოვნად უნდა გაამრავალფეროვნოს „ლე ბლეს“ თამაში. შოტლანდიელებთან მატჩის შემდეგ საყოველთაო კრიტიკის ობიექტი ფრანგთა მგეზავი **ფრანსუა ტრინ-დუკი** გახდა. მას შემოქმედებითი თამაშის უუნარობას აბრალებენ, თუმცა ლივერმონი მაინც ნდობას უცხადებს.

ირლანდიელებს პირველ ტურში ნაკლებად რთული ბრძოლა გადახდათ. „სამყურებმა“ იტალიის ნაკრები 18 ქულის სხვაობით დაამარცხეს. სიახლე ირლანდიელთა ბანაკშიცაა. გუნდს **სტივენ ფერისი** დაუბრუნდა, თუმცა, საყოველთაო აღიარებით, მატჩის ბედს რვა ნომრების, **იმანოლ არინორდოკისა** და **ჯიმი ჰისლიპის** დუელი გადაწყვეტს. არინორდოკი პირველ ტურში ფრანგთა შორის საუკეთესო იყო. ჰისლიპის ლელომ კი მეტოქე საბოლოოდ გატეხა და ირლანდიელთა გამარჯვება მნიშვნელოვნად განაპირობა. Planetrugby-ის პროგნოზით, ფრანგები მცირე უპირატესობით გაიმარჯვებენ.

ინგლისის ნაკრებისთვის პირველ ტურში „თვიქნემზე“ უელსთან ურთულეს მატჩში გამარჯვებასთან შედარებით, რომში იტალიელებთან დაპირისპირება გასეირნება იქნება. მით უფრო, რომ მასპინძლებს ტრავმის გამო **კარლო დელ ფავა** დააკლდებათ.

**მარტინ ჯონსონმა** გუნდში ახალ ზელანდიაში დაბადებული შუამარბი **რიკი ფლატი** დააბრუნა და **ტობი ფლუდი** სათადარიგოთა შორის დასვა. რომის „სტადიო ფლამინიოზე“ რიკისგან სასწაულებს ელიან, უფრო ზუსტად, მან მნიშვნელოვნად უნდა გაუადვილოს საქმე მგეზავ **ჯონი ვილკინსონს** და მანევრირების მეტი არეალი შეუქმნას მეორე შუამარბ **მეთიუ ტაიტს**. Planetrugby-ის პროგნოზით, სტუმრები მინიმუმ 20 ქულით მოიგებენ.

შოტლანდიის ნაკრებს კიდევ ერთი სერიოზული გამოცდა კარდიფში ელის, გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტ უელსის ნაკრებთან. მასპინძლები ყველაფერს ილონებენ, წლეულს პირველი გამარჯვება იზეიმონ და დაგეგმილი ორი ქულა მიითვალონ.

შოტლანდიელების შერკინება პირველ მატჩში ფრანგებთან საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა. მორკინალებს მხარი თუ უკანახაზელებმაც აუბეს, უელსელებს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიან, თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდოა. Planetrugby-ის პროგნოზით, უელსის ნაკრები, სულ მცირე, 15 ქულით მოიგებს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | +18 | 2 |
| 2. ინგლისი | 1 | 1 | 0 | 0 | +13 | 2 |
| 3. საფრანგეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +9 | 2 |
| 4. შოტლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | -9 | 0 |
| 5. უელსი | 1 | 0 | 0 | 1 | -13 | 0 |
| 6. იტალია | 1 | 0 | 0 | 1 | -18 | 0 |



ჯონი ვილკინსონი შეტევაში

# სებასტიან შაბალი მწვრთნელებს აუმხედრდა

საფრანგეთის ნაკრების განრისხებული მეორეხაზელი **სებასტიან შაბალი** მწვრთნელთა შტაბს „თავს დაესხა“. ექსტრავაგანტური ფრანგის აღშფოთება მისი ზურგის ტრავმასთან დაკავშირებულმა სპეკულაციებმა გამოიწვია. შაბალის გულისწყრომა კიდევ უფრო გაამძაფრა საფრანგეთის რაგბის ფედერაციის პოზიციამაც.

„ფიგაროსთვის“ მიცემულ ინტერვიუში პირველყოფილი ადამიანის გარეგნობის 32 წლის ფრანგმა ფედერაციის პოზიცია მკაცრად გააკრიტიკა.

*„მართლაც გაოცებული დავრჩი ფედერაციის წარმომადგენელთა განცხადებით. ერთ-ერთი ვარჯიშისას ზურგი მართლაც დავიზიანე, თამაში ნამდვილად არ შემეძლო. სანამ საწვრთნელ ბანაკს დავტოვებდი, პირადად ვნახე მთავარი მწვრთნელი* ***მარკ ლივერმონი****, ტელეფონით ვესაუბრე ნაკრების მენეჯერ* ***პიერ ბერბიზიეს****, ტრავმის შესახებ ვაცნობე ჩემი კლუბის, „მეტრო რასინგის“ ხელმძღვანელობასაც. ვერ გამიგია, ყველაფერი თავდაყირა რატომ დააყენეს?*

*ახლა ყველაზე მეტად დასვენება მჭირდება. ოთხშაბათს პირველად ვივარჯიშე. ცოტა ველოსიპედითაც გავისეირნე. იმედი მაქვს, მომდევნო კვირის განმავლობაში მწყობრში ჩავდგები. ყველაზე მეტად იმაზე ვღელავ, შევძლებ თუ ვერა სათანადო ფიზიკური კონდიციების აღდგენას. დავბრუნდები თუ არა ნაკრებში? ეს მარკ ლივერმონის გადასაწყვეტია.“- დასძინა სებასტიან შაბალმა.*

გვერდი მოამზადა

**ბესიკ ჯანგავაძე**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. III ტური

# ჩემპიონი ვარდება



ევროლიგის TOP16-ის ეტაპზე მესამე ტური დასრულდა და ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია ტურნირის მოქმედმა ჩემპიონმა "პანათინაიკოსმა". წინა ტურებისგან განსხვავებით, ამჯერად ბერძნების წაგება არავის გაჰკვირვებია, რადგან "პაო" ერთ-ერთ მთავარ ფავორიტ "ბარსელონას" სტუმრობდა, რომელიც ასევე დამარცხდა წინა ტურში და შესაბამისად, ჟელკო ობრადოვიჩის გუნდზე არანაკლებ მოტივირებული იყო.

"ბარსა" პირველივე მეოთხედში 11 ქულით გაიქცა და დიდი მცდელობის მიუხედავად, "პანათინაიკოსი" ველარ დაეწია მეტოქეს. ბოლო მეოთხედის წინ კატალონიელები 14 ქულით იყვნენ წინ და უპრობლემოდ შეინარჩუნეს ეს დიდი უპირატესობა.

ამავე ჯგუფში "მარუსიმ" "პარტიზანს" მოუგო და ახლა სამი გუნდი 2 მოგებითა და 1 წაგებით პირველ-მესამე ადგილს იყოფს. სამი წაგებით ბოლო ადგილზე "პანათინაიკოსია".

ყველაზე დაძაბული სიტუაცია F ჯგუფში იყო შექმნილი - ოთხივე გუნდს თითო-თითო მოგება და წაგება ჰქონდა აქტივში და შესაბამისად, ყოველ გამარჯვებას აქ ოქროს ფასი ენიჭება.

ტურის მეორე ცენტრალური შეხვედრა სიენაში გაიმართა, სადაც ადგილობრივი "მონტეპასკი" მადრიდის "რეალს" მასპინძლობდა. აქაც პირველ მეოთხედში მასპინძლები გაიქცნენ და ათი ქულით დაწინაურდნენ. ეს სხვაობა დიდი შესვენების შემდეგაც ძალაში დარჩა.

თუმცა "რეალმა" გაბრძოლება მოახერხა და საფინალო სირენამდე 6 წუთით ადრე ანგარიში ორ ქულამდე შემცირდა. და სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში იტალიელებმა მომდევნო სამი წუთი 12:0 მოიგეს და ამან გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი.

F ჯგუფის მეორე ლიდერი გახდა ისრაელის ჩემპიონი "მაკაბი". „ეფეს პილსენის" წინააღმდეგ ებრაელებმა ბრწყინვალედ ითამაშა დაცვაში და მეტოქეს მხოლოდ 62 ქულა ჩააგდებინეს.

პირველი სამი მეოთხედი მოედანზე თითქმის თანაბარი თამაში იყო და ბოლო 10-წუთეულისთვის მასპინძელთა უპირატესობა მხოლოდ 2 ქულას შეადგენდა. მეოთხე მეოთხედში "მაკაბიმ" კონტრშეტევებზე ააგო თამაში. შეუჩერებელი იყო წინა ტურის საუკეთესო მოთამაშე, ამერიკელი ლეგიონერი **ალან ანდერსონი**. ამჯერად მან 23 ქულას, 9 მოხსნასა და 3 ჩაჭრას მოუყარა თავი და რაც მთავარია, რვა ორქულიანიდან ყველა ჩააგდო. სწორედ მისი მონდომების წყალობით "მაკაბიმ" ბოლო მეოთხედი რვა ქულით მოიგო და ახლა "მონტეპასკისთან" ერთად ლიდერობს F ჯგუფს.

**E ჯგუფი**

**ბარსელონა-პანათინაიკოსი 83:71**

29:18, 18:20, 21:16, 15:17

ბ: გრიმაუ (17), ნდონგი (16), ლორბეკი (14), ნავარო (11+5 პასი).
პ: ბატისტა (19+7 მოხსნა), ნიკოლასი (11+5 პასი), პეკოვიჩი (11), სპანულისი (10), დიამანტიდისი (8).

**მარუსი-პარტიზანი 57:49**

20:7, 2:11, 22:19, 13:12

მ: ლუკასი (15), პომანი (10+9 მოხსნა), პელეკანოსი (9+4 ჩაჭრა).
პ: ვრანიეში (12+11 მოხსნა), მაკალები (10).

| | მ/წ | სხ |
|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 2/1 | 21 |
| 2. მარუსი | 2/1 | 0 |
| 3. პარტიზანი | 2/1 | -2 |
| 4. პანათინაიკოსი | 0/3 | -19 |

**F ჯგუფი**

**მაკაბი-ეფესი 72:62**

18:13, 18:20, 15:16, 21:13

მ: ანდერსონი (23+9 მოხსნა+4 ჩაჭრა), ბლუტენტალი (11), პნინი (10).
ე: სმიტი (15), ტორნტონი (13), სანტიაგო (10).

**მონტეპასკი-რეალი 83:76**

26:16, 19:19, 19:24, 19:17

მ: მაკინტაირი (24+11 პასი), სატო (14+7 მოხსნა), მარკონატო (11), ეზე (10), დომერკანტი (8).
რ: ლავრინოვიჩი (24), კაუკენასი (21), ველიჩკოვიჩი (13+7 მოხსნა).

| | მ/წ | სხ |
|---|---|---|
| 1. მაკაბი | 2/1 | 11 |
| 2. მონტეპასკი | 2/1 | 1 |
| 3. რეალი | 1/2 | -5 |
| 4. ეფესი | 1/2 | -7 |

**G ჯგუფი**

**ცსკა-პროკომი 84:73**

22:21, 18:15, 24:21, 20:16

ც: კაუნი (18+10 მოხსნა), პოლდენი (17), ლენგდონი (14), ხრიაპა (13), შიშკაუსკასი (11+6 პასი).
პ: ვუდსი (16), ვარდა (15), ლოგანი (15).

**უნიკახა-ჟალგირისი 86:68**

21:6, 19:23, 24:18, 22:21

უ: დიქსონი (16), არჩიბალდი (15), პრინტეცისი (14), კუკი (13).
ჟ: ბრაუნი (11), პოციუსი (11), ბეგიჩი (10).

| | მ/წ | სხ |
|---|---|---|
| 1. ცსკა | 3/0 | 34 |
| 2. პროკომი | 2/1 | 33 |
| 3. უნიკახა | 1/2 | -10 |
| 4. ჟალგირისი | 0/3 | -57 |

**H ჯგუფი**

**ოლიმპიაკოსი-ციბონა 78:75**

16:15, 18:20, 24:26, 20:14

ო: ტეოდოშიჩი (17+5 პასი), ვუიჩიჩი (16), ჩილდრესი (11), კლეიზა (10).
ც: ტომასი (23), გორდონი (20), ბოგდანოვიჩი (15), ანდრიჩი (12).

**კახა ლაბორალი-ხიმკი 71:82**

16:26, 20:18, 14:19, 21:19

კ-ლ: ელიაპუ (17), სპლიტერი (15), უერტასი (10).
ხ: მაკარტი (23), ლოპესი (18+5 პასი), ლონგფორდი (14).

| | მ/წ | სხ |
|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 3/0 | 25 |
| 2. ხიმკი | 2/1 | 6 |
| 3. კახა ლაბორალი | 1/2 | -12 |
| 4. ციბონა | 0/3 | -19 |

**ტურის მოთამაშე**

ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის საუკეთესო მოთამაშედ სიენის "მონტეპასკის" გამთამაშებელი **ტერელ მაკინტაირი** აღიარეს. 32 წლის ამერიკელმა "რეალთან" მოგებულ მატჩში (83:76) 24 ქულა დააგროვა (სულ ერთი ორქულიანი ჩააგდო, 9-დან 6 სამქულიანი გამოიყენა და ოთხიდან ოთხი საჯარიმო ჩააგდო კალათში), აგრეთვე 11 შედეგიანი პასი, 3 მოხსნა და 3 ჩაჭრა გააკეთა. გარდა ამისა, მეტოქის კალათბურთელებმა მის წინააღმდეგ 7 პერსონალური ჯარიმა მიიღეს. ამ ყველაფერმა ჯამში 43 სარეიტინგო ქულა შეადგინა.

კალათბურთი

## ნეტსი მწვრთნელს ეძებს

ცნობილი სპეციალისტი **რიკ პიტინო**, რომელიც ბოლო დროს ლუისვილის უნივერსიტეტის გუნდთან მუშაობს, "ნიუ ჯერსი ნეტსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად განიხილება.

"ნიუ ჯერსის" პრეზიდენტ **როდ ტორნთან** დაახლოებულმა წყარომ დაადასტურა, რომ ამ მომენტში მიმდინარეობს მოლაპარაკებები 57 წლის სპეციალისტთან.

პიტინოს გარდა, რეგულარული ჩემპიონატის აუტსაიდერის მწვრთნელად კიდევ ერთი კანდიდატი - **ჯეფ ვან განდი** განიხილება.

რალი

## რალიში ახალი წესებია

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ფორმულა 1-ის შემდეგ რალიში შეცვალა ეტაპზე ქულათა დარიცხვის სისტემა. ახალი წესის თანახმად, ჩასათვლელ ზონაში არა რვა, არამედ 10 პილოტი შევა. ქულათა განაწილების განახლებული სქემა ასე გამოიყურება:

პირველი ადგილი: 25 ქულა; მეორე - 18; მესამე - 15; მეოთხე - 12; მეხუთე - 10; მეექვსე - 8; მეშვიდე - 7; მერვე - 4; მეცხრე - 2; მეათე - 1.

ახალი სისტემა უკვე მოიწონეს და დაამტკიცეს მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეებმა და ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ.

ავტოსპორტი

## რალფმა მხარი მოიტეხა

ერთ-ერთ ავსტრიულ კურორტზე თხილამურებით სრიალის დროს სერიოზული ტრავმა მიიღო გერმანელმა ავტომრბოლმა **რალფ შუმახერმა**.

მხრის ტრავმა იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ უმცროს შუმახერს ოპერაციის გადატანა მოუხდა და ახლა მას წინ გრძელი აღდგენითი პროცესი ელის. არადა ცნობილია, რომ რალფი სერიოზულად ფიქრობს ფორმულა 1-ში დაბრუნებაზე.

გოლფი

## შვედი ლეგენდა გოლფიდან მიდის

ლეგენდარული შვედი გოლფისტი **იესპერ პარნევიკი** ძველი ტრავმის გამო პროფესიული კარიერის დასრულებას აპირებს.

სკანდინაველს უკვე დიდი ხანია აწუხებს ზურგის ტრავმა - თავის დროზე, ხერხემალზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ პარნევიკს ისევ აწუხებს ტკივილები ზურგის არეში. ამის გამო 44 წლის შვედს მორიგი ოპერაცია ელის, რის შემდეგაც ის ველარ მოახერხებს კარიერის გაგრძელებას.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

**ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი**

**კალგარი-დალასი. 1:3**

1:0, 0:1, 0:2

გოლები: 1:0 იგინლა-25, 1:1 რიბეირო-12 (მოროუ-18, ბ. რიჩარდსი-49), 1:2 ბენი-14 (მოროუ-19, რიბეირო-24), 1:3 რიბეირო-13.

**ფლორიდა-ვანკუვერი 0:3**

0:0, 0:2, 0:1

გოლები: 0:1 ბაროუზი-26 (პ. სედინი-54, ედლერი-24, 0:3 ჰანსენი-6 (სალო-14), 0:4 კესლერი-16 (სამუელსონი-19, ედლერი-25).

**ტამპა ბეი-ბოსტონი 4:5**

0:4, 2:1, 2:0

გოლები: 0:1 შატანი-3 (სავარი-21, დ. მორისი-21), 0:2 ლუჩიჩი-4 (რაიდერი-10, ფერენსი-6), 0:3 რაიდერი-14 (ველერი-18, დ. მორისი-22), 0:4 რაიდერი-15 (სავარი-22, პ. ბერჟერონი-25), 0:5 ლუჩიჩი-5 (ხარა-28, პეი-9), 1:5 სენტ ლუისი-21 (პედმანი-12, სტემკოსი-31), 2:5 სენტ ლუისი-22 (ფოსტერი-20, სტემკოსი-32), 3:5 დაუნი-12 (პედმანი-13, სტემკოსი-33), 4:5 დაუნი-13 (პედმანი-14, სენტ ლუისი-47).

**დეტროიტი-სან ხოსე 2:3 (ბ)**

1:2, 0:0, 1:0, 0:0

გოლები: 1:0 ფრანცენი-2 (ზეტერბერგი-31, ლიდსტრომი-28), 1:1 ჯ. ტორნტონი-16 (ვალინი-6, ბოილი-34), 1:2 პელმინენი-1 (ტ. მიტჩელი-3, ნიკოლი-12), 2:2 ჯეისონ უილიამსი-4 (ლებდა-6, ჰოლმსტრომი-9).

ბულიტები გაიტანეს: მარლო (სან ხოსე).

**კაროლინა-ბაფალო 4:3 (ო)**

2:2, 1:0, 0:1, 1:0

გოლები: 0:1 დ. როი-15 (მაკარტური-12), 0:2 პეხტი-13 (ტიმ კონოლი-40, მონტადორი-13), 1:2 ბ. სატერი-14 (სამსონოვი-10, ტ. რუუტუ-15), 2:2 რეი უიტნი-17 (ი. იოკინენი-25, პიტკანენი-31), 3:2 იელე-4 (ბ. სატერი-13), 3:3 დ. როი-16 (ვანეკი-21, ბატლერი-18), 4:3 სამსონოვი-12 (ბ. სატერი-14).

**ოტავა-ვაშინგტონი 6:5**

3:1, 1:3, 2:1

გოლები: 1:0 სპეცა-14 (კუბა-21, პიკარი-11), 2:0 მ. მიხალეკი-20 (სპეცა-17), 2:1 ფლეიშმანი-18 (სიომინი-34, მაიკ გრინი-43), 3:1 ალფრედსონი-17 (მ. მიხალეკი-9, სპეცა-18), 3:2 შულტცი-3 (ოვეჩკინი-47, მაიკ გრინი-44), 3:3 სიომინი-27 (ლეიჩი-24), 3:4 სიომინი-28 (ბ. მორისონი-22, ლეიჩი-25), 4:4 კ. ნილი-7 (ვინჩესტერი-8, კუბა-22), 5:4 კ. ფილიპსი-7 (კოვალიოვი-27), 6:4 კოვალიოვი-16 (კუბა-23, მ. მიხალეკი-10), 6:5 სიომინი-29.

**ლოს ანჯელესი-ედმონტონი 2:3 (ბ)**

0:0, 0:1, 2:1, 0:0

გოლები: 0:1 გრებეშკოვი-6 (სტაიოსი-7, მორო-7), 0:2 პენერი-24 (ნილსონი-14, ვიშნოვსკი-22), 1:2 დ. ბრაუნი-15 (სკუდერი-8, დაუტი-33), 2:2 რ. სმიტი-19 (დ. ბრაუნი-27, კოპიტარი-36).

ბულიტები გაიტანეს: კოპიტარი (ლოს ანჯელესი), პორკოფი (ედმონტონი), სიმონდსი (ლოს ანჯელესი), პენერი (ედმონტონი), პანძუში (ლოს ანჯელესი), ბრული (ედმონტონი), ვიშნოვსკი (ედმონტონი).

**ცხელი ხაზი**

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა** | |
| ბარტონი-ქრიუ | 1:2 |
| ნორთჰემპტონი-ალდერშოტი | 0:3 |
| **იტალია** | |
| მილანი-უდინეზე | 3:2 |
| **სერია B** | |
| ემპოლი-ანკონა | 3:0 |
| **გერმანია** | |
| ბორუსია (მ)-ნიურნბერგი | 2:1 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ალენი-არმინია | 0:1 |
| პადერბორნი-უნიონი | 3:0 |
| სტ. პაული-ფრანქფურტი | 0:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ანჟერსი-არლი | 3:1 |
| ბასტია-დიჟონი | 3:4 |
| ისტრი-ლავალი | 0:2 |
| ტური-მეცი | 1:1 |
| კაენი-გინგამი | 2:0 |
| ნიმი-ჰავრი | 1:1 |
| **ჰოლანდია** | |
| ნიიმეგენი-ბრედა | 4:2 |
| **II დივიზიონი** | |
| გრააფსხაპი-ემენი | 2:3 |
| ომნივორლდი-მაასტრიხტი | 1:1 |
| ვოლენდამი-აპელდოორნი | 0:1 |
| ცვოლე-ტელსტარი | 1:0 |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლომელი-ოსტენდე | 2:1 |
| **პორტუგალია** | |
| ფერეირა-სპორტინგი | 0:0 |
| **ავსტრია** | |
| ლინცი-რაპიდი | 4:2 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ანაგენისი-კერკირა | 1:0 |
| **უელსი** | |
| ებერისთვითი-პორტ ტელბოტი | 2:1 |
| სეფნი-ბალა თაუნი | 1:2 |
| უელშპული-ეირბასი | 0:0 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ტრირი-ლუდვიგსბურგი | 88:92 |
| **საფრანგეთი** | |
| გრაველენი-ჰავრი | 76:59 |
| ნანსი-ლე მანი | 92:70 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ვოლფსბურ.-შტრაუბინ. | 3:3 ბულ. 1:0 |
| დიუსელდორფი-აუგსბურგი | 2:3 |
| ინგოლშტადტი-კიოლნი | 5:4 |
| იზერლონი-კრეფელდი | 3:3 ბულ. 1:0 |
| კასელი-ფრანქფურტი | 5:2 |
| მანჰაიმი-ჰამბურგი | 7:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-ჟილინა | 6:3 |
| მიკულაში-ზვოლენი | 3:5 |
| ნოვა ვესი-კოშიცე | 1:4 |
| პოპრადი-სკალიცა | 7:2 |
| სლოვაკეთი (U20)-მარტინი | 2:3 |
| **ფინეთი** | |
| ტაპარა-კალპა | 3:4 |
| ესეტი-ილვესი | 1:2 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. კოშტა დო საუიპე** | |
| ბელუჩი-ხიმენო ტრავერო | 6:4, 6:2 |
| გრანოლერსი-ფონინი | 6:0, 1:6, 6:7 |
| მონტანიესი-კუზოტი | 2:6, 2:6 |
| ჰანესკუ-მელო | 5:7, 3:6 |
| ანდრეევი-კუევასი | 6:1, 6:1 |
| **ATP. როტერდამი** | |
| სიოდერლინგი-ბენეტო | 6:0, 6:1 |
| დავიდენკო-მელცერი | 6:3, 6:2 |
| მონფილსი-იუჟნი | 7:5, 2:6, 3:6 |
| **ATP. სან ხოსე** | |
| კოლშრაიბერი-ისტომინი | 1:6, 6:1, 3:6 |
| **WTA. პარიზი** | |
| პენეტა-გარბინი | 6:1, 6:3 |
| პეერი-საფაროვა | 3:6, 0:6 |
| დემენტიევა-პეტკოვიჩი | 3:6, 6:4, 6:2 |
| ოუდინი-შავაი | 2:6, 6:4, 6:2 |
| **WTA. პატაია სიტი** | |
| ზვონარევა-ბამერი | 6:0. 7:6 |
| ტანასუგარნი-ჩაკვეტაძე | 6:1, 6:4 |
| შვედოვა-მალეკი | 7:6, 6:1 |

**TV პროგრამა**

**13 თებერვალი. შაბათი**

**I არხი**

14:00 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. სსაუ-შსს (LIVE).
19:00 რაგბი. ერთა თასი. პორტუგალია-საქართველო (LIVE).
20:45 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. გახსნის ცერემონია. ვანკუვერი. კანადა.
23:45 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. სამთო-სათხილამურო სპორტი. სწრაფდაშვება. კაცები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
01:15 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ტრამპლინიდან ხტომა. HS106. ვანკუვერი. კანადა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ვოლფსბურგი (LIVE).
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-დორტმუნდი (LIVE).
23:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-ფიორენტინა (LIVE).

**SPORT 2 (უკრაინა)**

21:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-პალერმო (LIVE).
01:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ბიატლონი. სპრინტი. 7.5 კმ. ქალები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

18:30 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ვოლფსბურგი (LIVE).
21:00 იტალიის ჩემპიონატი. რომა-პალერმო (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ხერესი-რეალი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

16:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
05:25 კალათბურთი. NBA-ის ვარსკვლავური უიქ ენდი. კონკურსები (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ჰამბურგი (LIVE).
20:30 მძლეოსნობა. ATLETISMO CIUDAD DE VALENCIA. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
23:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ლანსი (LIVE).
06:00 პროფესიული კრივი. საჩემპიონო ბრძოლა. ნონიტო დონეირი-გერსონ გერერო. აშშ (LIVE).

**EUROSPORT**

20:45 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ტრამპლინიდან ხტომა. HS106. ვარჯიში. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
21:30 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ტრამპლინიდან ხტომა. HS106. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
23:30 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. სამთო-სათხილამურო სპორტი. სწრაფდაშვება. კაცები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
01:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ბიატლონი. სპრინტი. 7.5 კმ. ქალები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
02:15 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ციგურებით სრბოლი. 5000 მ. კაცები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
05:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. შორტ-ტრეკი. 1500 მ. კაცები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
07:30 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ფრისტაილი. მოგული. ვანკუვერი. კანადა (LIVE).

**EUROSPORT-2**

16:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

**14 თებერვალი. კვირა**

**I არხი**

18:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ვანკუვერი. კანადა.
20:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
22:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. კაცები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
01:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. სამთო-სათხილამურო სპორტი. სუპერკომბინაცია (სლალომი). ქალები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
04:30 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ფიგურული სრიალი. სპორტული წყვილები. მოკლე პროგრამა. ვანკუვერი. კანადა (LIVE).

**რუსთავი 2**

14:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კალიარი-ბარი (LIVE).
23:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ინტერი (LIVE).

**SPORT 2 (უკრაინა)**

18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-კიოლნი (LIVE).
22:15 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ბიატლონი. სპრინტი. 10 კმ. კაცები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

17:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერაკლესი-ეინდჰოვენი (LIVE).
19:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-დეპორტივო (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ოსასუნა (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბარსელონა (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

17:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
05:15 კალათბურთი. NBA-ის ვარსკვლავური უიქ ენდი. ყველა ვარსკვლავის მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-კიოლნი (LIVE).
21:25 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოლტჰიმი (რუმინეთი)-დინამო (რუსეთი) (LIVE).
23:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ინტერი (LIVE).

**EUROSPORT**

23:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. სამთო-სათხილამურო სპორტი. სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება). ქალები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
23:15 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ბიატლონი. სპრინტი. 10 კმ. კაცები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
01:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. სამთო-სათხილამურო სპორტი. სუპერკომბინაცია (სლალომი). ქალები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
02:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. სათხილამურო ორჭიდი. რბოლა 10 კმ. ქალები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
02:30 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. შორტ-ტრეკი. 3000 მ. ქალები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
03:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ციგაობა. კაცები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
05:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ფიგურული სრიალი. სპორტული წყვილები. მოკლე პროგრამა. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
06:45 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ფრისტაილი. მოგული. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
07:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ფიგურული სრიალი. სპორტული წყვილები. მოკლე პროგრამა. ვანკუვერი. კანადა (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA



# და მაინც კობის გარეშე

## ლიგაში ხელფასები შემცირდება

როგორც მოსალოდნელი იყო, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველი **კობი ბრაიანტი** და „ფილადელფია სიქსერზის" გამთამაშებელი **ალენ აივერსონი** მონაწილეობას ვერ მიიღებენ „ყველა ვარსკვლავის მატჩში", რომელიც უახლოეს უქმეებზე დალასში გაიმართება. ეს კალათბურთელები შესაბამისად დასავლეთი და აღმოსავლეთი კონფერენციების ნაკრებთა სასტარტო შემადგენლობებში იყვნენ არჩეულნი.

ალენმაც და კობიმაც უკვე რამდენიმე მატჩი გამოტოვეს რეგულარულ ჩემპიონატში. ბრაიანტი სამი შეხვედრაა არ გადის მოედანზე მარცხენა ფეხის ტრავმის გამო, აივერსონმა კი ქალიშვილის ავადმყოფობის მიზეზით ზედიზედ ხუთი თამაში გამოტოვა.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა** უკვე დაასახელა ამ კალათბურთელთა შემცვლელები. ბრაიანტის ადგილს დასავლეთში „დალას მავერიქსის" გამთამაშებელი **ჯეისონ კიდი** (მეათედ ითამაშებს „ოლ სტარზე") დაიკავებს, აივერსონის ნაცვლად კი ვარსკვლავთა მატჩში „ნიუ იორკ ნიქსის" ცენტრ **დევიდ ლის** ვიხილავთ, რომლისთვისაც ეს სადებიუტო შეხვედრა იქნება.

გუშინვე გაირკვა დასავლეთის ნაკრების სასტარტოში ბრაიანტის შემცვლელის ვინაობა. გუნდის მწვრთნელმა **ჯორჯ კარლმა** ლიგის ხელმძღვანელობას აცნობა, რომ სასტარტო ხუთეულში ადგილს „დალასის" ფორვარდი **დირკ ნოვიცკი** დაიკავებს.

გულშემატკივართა გამოკითხვაში გერმანელმა კალათბურთელმა სულ ცოტა წააგო „სან ანტონიოს" ფორვარდ **ტიმ დანკათან** და ვერ მოხვდა სასტარტო ხუთეულში. კარლს სურს აღადგინოს „მავერიქსის" ძველი ტანდემი - ნოვიცკი-**სტივ ნეში**. ამ დუეტის გარდა, დასავლეთის მხრიდან მატჩს დანკანი, **კარმელო ენტონი** („დენვერი") და **ამარე სტაუდმაიერი** („ფინიქსი") დაიწყებენ.

■ ■ ■

ცნობილი გახდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მოთამაშეებისთვის ხელფასების შემცირების ახალი დეტალები. ლიგის ხელმძღვანელობამ უკვე გაუგზავნა NBA-ის მოთამაშეთა კავშირს წინადადების ტექსტი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ კალათბურთელებს შესამჩნევად ჩამოაჭრიან ჯამაგირს.

ასე მაგალითად, ახალბედების ხელფასი 30 პროცენტით შემცირდება, ლიგის მინიმალური ხელფასი კი 20 პროცენტით დაიკლებს.

ახალი პირობები ასოციაციის ვარსკვლავებსაც შეეხებათ. იმ ვეტერანის კონტრაქტი, რომელსაც ლიგაში ექვს სეზონზე მეტი აქვს გატარებული, 60 მილიონ დოლარს არ გადააჭარბებს. ეს დაახლოებით ნახევარი თანხაა იმისა, რასაც **ლებრონ ჯეიმსი** წელს ზაფხულში „კლივლენდთან" ახალი კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში მიიღებს.

ჯერჯერობით უცნობია მოთამაშეთა რეაქცია ლიგის ახალ პირობებზე. ამერიკულ პრესაში არ გამორიცხავენ მოთამაშეთა მხრიდან გაფიცვას.

**კლივლენდი-ორლანდო 115:106**

**37:23, 29:40, 21:20, 28:23**

**კ:** ჯეიმსი (32+13 პასი+8 ჩაჭრა), ჰიქსონი (20), ვარეჟაო (16), შიბსონი (11+5 პასი) შ. ო'ნილი (10+6 მოხსნა).

**ო:** ჰოვარდი (19+11 მოხსნა), ლუისი (19), კარტერი (14), ნელსონი (13+5 პასი), უილიამსი (10)

**დენვერი-სან ანტონიო 92:111**

**29:32, 16:22, 25:29, 22:28**

**დ:** ნენე (20+9 მოხსნა), ენტონი (19+6 მოხსნა), ბილაპსი (17+7 პასი), სმიტი (14+6 მოხსნა).

**ს-ა:** ბლეირი (17+9 მოხსნა), ჰილი (17+6 მოხსნა), დანკანი (16+7 მოხსნა), ჯინობილი (15+6 მოხსნა+6 პასი), ჯეფერსონი (14), მეისონი (14), მაკდაესი (10).




ჩოგბურთი

# რაფა ვარჯიშს იწყებს, დელ პოტრო ორი თვე დაისვენებს

მსოფლიოს მეოთხე ჩოგნის **რაფაელ ნადალის** ბიძა და მწვრთნელი **ტონი ნადალი** ჟურნალისტებს ესპანელი ჩოგბურთელის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მოუყვა. მისი თქმით, აღდგენითი პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს და რაფა უახლოეს დღეებში განაახლებს ვარჯიშებს.

*„მუხლთან დაკავშირებით რაფაელს ყველაფერი წესრიგში აქვს. მან რამდენიმე ტესტი წარმატებით გაიარა და აღდგენითი პროცესიც გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. შესაბამისად, ის ორშაბათიდან განაახლებს ვარჯიშს.*

*პროფესიულ ტურს რაფა ინდიან უელსის ტურნირზე დაუბრუნდება, რაც შეეხება დევისის თასზე გამოსვლას, ეს საკითხი ჯერ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ განვითარდება სიტუაცია და რას იტყვის ექიმი"*, - ამბობს ტონი ნადალი ამერიკული Herald Tribune-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ ნადალმა ავსტრალიის ღია პირველობაზე მუხლის ტრავმის გამო ვერ შეძლო ბრიტანელ **ენდი მიურეისთან** მეოთხედფინალის დასრულება.

■ ■ ■

ნაკლებად გაუმართლა მსოფლიოს მეხუთე ჩოგან **ხუან მარტინ დელ პოტროს**. არგენტინელ ჩოგბურთელს საბოლოოდ ულალატა ტრავმირებულმა მაჯამ. ხუთშაბათს გამართული ვარჯიშის დროს ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებულმა ძველი ტრავმა გაიმიზეზა და ახლა ორი თვე ვერ შეძლებს კორტზე გასვლას.

არგენტინელის მწვრთნელი **მარტინიანო ორასი** აცხადებს, რომ მის შეგირდს ერთი თვე დასვენებისთვის დასჭირდება, კიდევ ერთ თვეს კი სპორტული ფორმის აღდგენა წაიღებს.

■ ■ ■

ერთი კვირით გადადო პროფესიულ ტურში დაბრუნება მსოფლიოს მესამე ჩოგანმა **ენდი მიურეიმ**. ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტს მომავალი ორშაბათიდან მარსელის ტურნირში უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ ბრიტანელმა დაღლილობა მოიმიზეზა და განაცხადი გამოიტანა.

სულ მალე მიურეი დუბაიში გაემგზავრება, სადაც 22 თებერვალს სტარტს აიღებს The Dubai Tennis Championships, ამის შემდეგ კი ენდის გეგმებში ინდიან უელსისა და მაიამის მასტერსებზე გამოსვლა შედის.



კრივი

# ვალუევისთვის 2 მილიონი გაიმეტეს



სუპერმძიმეწონაში WBC-ის მსოფლიოს ჩემპიონმა **ვიტალი კლიჩკომ** სატიტულო ბრძოლისთვის 2 მილიონი დოლარი შესთავაზა რუს **ნიკოლაი ვალუევს**.

*„მოლაპარაკებები გრძელდება. ვალუევმა დიდი შეცდომა დაუშვა, როცა დონ კინგთან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ნიკოლაი ამ ბრძოლისთვის 4 მილიონ დოლარს ითხოვს, არადა მას ასეთი თანხა მაშინაც კი არ მიუღია, როცა საჩემპიონო ქამრის მფლობელი იყო. მე მას ოფიციალური წინადადებით მივმართე - 2 მილიონ დოლარს ვთავაზობ და თან ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსს ვაძლევ. თუ მომავალ კვირამდე პასუხს არ მივიღებთ, აუცილებლად სხვა მოწინააღმდეგესთან გავაფორმებთ კონტრაქტს"*, - ამბობს უკრაინელი მოკრივე.

კლიჩკომ აღნიშნა, რომ მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მისი და ვალუევის ბრძოლა ამა წლის მაისში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე ცნობილმა ამერიკელმა პრომოუტერმა **დონ კინგმა** ვალუევისთვის ჰონორარის სახით 4 მილიონი დოლარი მოითხოვა, თავად რუსმა მძიმეწონოსანმა კი უარი თქვა კლიჩკოსთან ბრძოლისთვის ერთმილიონიან ჰონორარზე.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

